

4'2010

აპრილი


306
2010

ქართული მწერლობა



გალაკტიონ
ტაბიძის

უცნობი ფოტოს
ისტორია



ზურაბ
ხალვაშვის

ცხოვრების
ნიგნიდან



რამინ მარია
რილკის

კვალდაკვალ

ქართული მწერლობა

სალიტერატურო შურნალი

დაარსებულია
1926 წელს

აღდგენილია
1990 წელს

განახლებულია
2008 წელს

4

აპრილი

2010

რედაქტორი

ლევან ბრეგაძე

რედაქტორის მოადგილე

ზვიად კვარაცხელია

სარედაქციო ჯგუფი

მაია კუდავა

ნინო მინიშვილი

პაატა ნაცვლიშვილი

მეგი ობოლაშვილი

ნინო ყულოშვილი

გვანცა ჯობავა

კონცეფცია და დიზაინი:

© პაატა ნაცვლიშვილი, 2008.

ISSN 1512 - 4444

© გამომცემლობა „ინტელექტი“, 2008.

ქრისტე აღსდგა

"ქრისტე აღსდგა" ძეგლის ილუსტრაციები
ბედაძე თეიმურაზი ილუსტრაციები
საალდგომო ოდა

ქრისტე აღსდგა!

გივი შეყილაძე. საალდგომო ოდა 5

პოეზია

მარიამ ნიკლაური. ლექსები 7
დალილა ბედიანიძე. ლექსები 12

მხატვრული პროზა

გიორგი შერვაშიძე. ვერ-ვარ-ძია 15
ქრისტინე ბებია. შარფი 27

დებიუტი

ბექა კოკია. ნაამაყარი 29

ესეისტიკა/დოკუმენტური პროზა

ნინო ჩხიკვიშვილი. უფალმა უსმინა შევარდენს 33
ფრიდონ ხალვაში. რატომ დავტოვეთ კრემლის დარბაზი 39
ლულუ დადიანი. რილკეს კვალდაკვალ 43

ქართვლები შინ და გარეთ

ფარნა-ბექა ჩილაშვილი. დამსხვრეული შუშის დღე 49

კრიტიკა

- 52 გვანცა ჯობავა. აზრი გამოთქმული აღმანახ „თაობების“
თაობაზე წამოწყებული დისკუსიის შესახებ

ახალი თარგმანები

- 57 გუსტავ რუ. რექვიემი
(ფრანგულიდან თარგმნა კონსტანტინე ზ. გამსახურდიამ)

ერთი ფოტოს ისტორია

- 70 თამილა წონორია. საოცარი დღის მაღლით...

თეატრი

- 71 იოსებ ჭუმბურიძე. ქარიშხალი სიმშვიდეში
74 ნათელა არველაძე. ცრემლზე მწარე სიცილი

ქრისტე აღსდგა!

გივი შეყილაძე

სააღდგომო ოდა

ესეც აღდგომა საკვირველი იესო ქრისტესი.
გუშინ რომ იყო, დღე გათენდა თითქოს ისეთი,
მამლის ყივილით,
მზის ამოსვლით,
ნათლის მოფენით,
ჩვეულებრივად, ვით სუნთქავდა, სუნთქავს სოფელი.
თუმცა...

ცის კიდით გარდმოსული სხივების კონა,
ტაძართა ჯვრებს რომ შარავანდად გადმოეკონა,
ღვთაებისაგან მოვლენილი რამ სასწაული
გვირგვინად ბრწყინავს უბრწყინვალეს დღესასწაულის.

*

ეკლესიებში სანთლებით მდგარ მრევლის შიგა რომ,
სხვათ დასანახად, ვითომ ქრისტეს შვება მიჰგვარონ,
ფარისევლები მოარღვევენ მლოცველებს მკერდით,
როგორ გგონიათ, უწმინდურებს ვერ ხედავს ღმერთი?
ხედავს და როგორ – ყველას თავის მისაზღველს უზღავს,
მცნებათა დამრღვევთ – ჯოჯოხეთის, ხოლო მრევლს უზღვავს
სამოთხის მკვიდრად შეიგულებს, ყველგან მხედვარი.
ამაო არის ცრუნადილი ქვეგამხედვარის.

*

დადგა აღდგომა ჩვენთვის მსხვერპლი იესო ქრისტესი.
გუშინ რომ იყო, დღე გათენდა არა ისეთი,
შუქმა, ბრწყინვალემ, გადმოფოთლა ზეცა და მიწა,
ამაოება სოფლისანი გადაგვაგინცა.

*

შენში მე ვხედავ თამარს, ქეთევანს,
როცა სათქმელი გამომკვეთრდება
წიაღში ბნელის, და ეფინება
დღიური მადლი კმაყოფილებად
უმანკო ლანვებს, ჩრდილსათნო არილს.
ყველა ტაძრისა და ნატაძრალის
ჩაესმის სუნთქვა შენს ფაქიზ სმენას
და სიხარულით გული გევისება.
დგახარ ხატთ შორის ნორჩი ასული
და არ აქვს რწმენის გზას დასასრული.
ქრისტე მაცხოვრის ზეობს აღდგომა!



24711

ფოტოზა:

სამების საკათედრო ტაძარი



*

ცა დედამინად ჩამოსული რად
 მოგჩვენებია – ყველგან, სრულიად
 სანთელთა ალი ვარსკვლავებად კრთის,
 მათ სიმრავლესაც თვალი ვერ დათვლის,
 გეამაყება, რომ არ შეგშლია:
 შენ ქრისტეში ხარ, ქრისტე შენშია!
 რომ მადლმოკითხულს სახარებიდან
 ბევრჯერ ალაღად გაგხარებია,
 რომ ამაოდაც არ გიკვნესია,
 ღვთის ნებით, შენ თვით ხარ ეკლესია!
 შენში აღმდგარა დღეს მაცხოვარი.

*

„– ო, ზეციურო, ო, დიდო ღმერთო,
 უბრწყინვალესო და ერთადერთო,
 მარადიული თვალთ კეთილით,
 სამების ნიშნით გამოკვეთილით,
 გადმოგვხედავდე შენს ბეჩავ სამწყსოს,
 დაგვიმკიდრებდე თვინიერ ანწყოს,
 რომ კვლავ შევიძლოთ მომავლის გზათა
 შენკენ შენება,
 რამეთუ,
 რათა

არ დაგვებედოს გადაშენება“, –
 ზეშთაგონებით, ლოცვით, ცრემლებით
 და მოლოდინის საკვირველებით
 მუხლმოყრილს ხატთან იმ ასულს ვხედავ.
 და ვგრძნობ, ღვთაება ვით გადმოგვხედავს.
 დღეს, რწმენის დღეს, ქრისტე ბრუნდება!

*

ზეობს აღდგომა საკვირველი იესო ქრისტესი.
 გუშინ რომ იყო, დღე გათენდა არა ისეთი.
 ცის კიდით წყნარად გარდმოსული სხივების კონა
 ტაძრის გუმბათებს შარავანდად გადმოეკონა
 დაგვირგვინებად უბრწყინვალეს დღესასწაულის.

პოეზია

მარიამ ნიკლაური

ე-ლი

ლამის მწყემსები –
ჭრიჭინები არ გეგონოთ,
ჩაქუჩის ხმაა.
ზოგჯერ ჩაქუჩსაც ხმა აქვს ასეთი,
ტაშსა ჰგავს,
მაგრამ არც ტაშია –
ზეთისხილის ტოტი ჭრიალებს,
ქარმა იცის საით წაილოს.
ელი,
ე-ლი,
ე-ლი და არ ჩანს.
თქვენც ასე ხართ?
მონაფეები შეგპირდებიან,
მაგრამ მოსვლას აგვიანებენ,
დიდებასავით,
დგახარ და ელი,
ელი, ელი.
კი არ ე-ლი, ელოდები,
ე-ლოდები,
ე-ლოდები, მაგრამ არ ჩანან.
დათქმული დრო რომ აღესრულება,
გამოილევა საათები,
ბედისწერაც ვარსკვლავივით დაიყვავილებს,
ცვივა ფოთოლი,
ხან იელვებს, ხან გრიგალია,
დღეებია, ღამეებია,
და არის კიდევ იმათ შორის რაღაც, რომელსაც
ეპატრონები და სახელი ჯერ არც კი იცი.
ე-ლოდები, ე-ლოდები,
და ამ ლოდინით შეეზრდები კიდევ სამყაროს.
ბოლოს კი, როცა მოვლენ ისინი,
ძეგლი ხარ უკვე,
უკვარცხლბეკო,
ძეგლი ხარ მძიმე.
აბა, მერეც დაგკრან ხელი მხარზე – ვა, ძმაო, –
გითხრან, – ჩაინი, დავსხდეთ, დავლიოთ.
გითხრან – რაბი, ასე არ იყო?
გითხრან – რატომ შენ და ჩვენ – არა?
როდის ყოფილა კითხვას პასუხიც ჰქონიყო ქვეყნად?!
მერე რა, რომ მოიყოლეს არაყიც, პურიც.
მერე რა, რომ თუთუნით აქვთ სავსე ქისები,
იშინაურონ, რამდენიც სურდეთ,
იშინაურონ.



მარიამული დღესასწაული

ფოსტით გასაგზავნი
წერილებიდან

და, მიუხედავად იმისა, რომ პირადი წერილების კითხვა და გამოქვეყნება დიდი სითამამე და შესაძლოა, სისულელეცაა, ძალიან მომინდა მარიამის განცდაში მთელი სამყარო ჩამეზიარებინა და, ყველასთვის მიმელოცა მარტის ერთი დღე, როცა ჩემმა დიდმა მეგობარმა თავისი დაბადების დღე აღნიშნა...

სამი მარიამი მყავს: შენ, დედა მარიამი ძეგვში და ლეთისმშობელი. ესაც – ჩემი სამება. ქალური კედლით, აი, ასე, მარიამულად ვებში სამყაროს.

შენზე დაუსრულებლად მინდა ხოლმე ვილაპარაკო. შენ ის ადამიანი ხარ, ვისზეც უცნობებს უნდა მოვუთხრო. თუნდაც ნაცნობებს, რომ უფრო მეტად დაიხლოვო, უფრო მეტად ჩაიღრმავო გულში ისინი, საერთო ენაც გამოინახო.

აი, ამ სიტყვასაც მივაღებ – შენ ძალიან გავხარ ენას. ყველაზე შინაურს და ყველაზე ახლობელს – ადამიანთა ენას, რომელიც კიდევ გესმის და რომელსაც გამოთქვამ.

ჯერ ხომ ენაა და მერეა სამშობლოც, დედაც, შეყვარებულიც. ჯერ არის ენა, აი, ასეთი ბებერი სიტყვით, როგორიცაა, მაგალითად „ნიკი“ ან „ქარქარაკი“, და მერეა მისი სურნელი პოეზიაში. ეს სიტყვები შენი ლექსებიდან მოვისმინე. შენ გამუდმებით რაღაც ძალიან შორეულს, ძალიან ძველს მახსენებ... ხანდახან საჭიროა ხოლმე გვერდით გედოს ძვირფასი ნიგნი „სიტყვის კონა“ და შენ ლექსებს კაკლის ლებნებივით მასშივე ფცქვნიდე.



ასეთი ენა ხარ – ძველი და შორეული და მაშინ, როცა ადამიანთა ნაკონინები გაფხეკილი სიმარტივისკენ მიექანება, შენ მაინც ურჩად და ერთგულად ბრუნავ შენივე მახსოვრობის ტბებში და ყველაზე ძირიდან სიტყვები ამოგაქვს, როგორც მზეზე გასაშრობი ოქროს მარცვლები. ვისაც ოქროს სურვილი აქვს, მიეტანება. ყალბით კი, უხეირონიც კმაყოფილდებიან. და ეს ყოველივე ხანდახან იცი, რას მაფიქრებს? გეგონება შენმა ხატმა დაგავალა, შენმა რომელიმე სალოცავმა, ისე, რომ ამის შესახებ თავადაც არ იცი. თავსაც ხომ შემოუძახებ ხოლმე, ხან საიდან წამოაფხიზლებ, ხან რითი აუხირდები – სიფხიზლის განცდა წამით არ გტოვებს. და აბა, რა სხვა ძალას დაეაბრალო ყოველი ენითუთქმელი მშვენიერება შენში? თითქოს ხატი დაგძახოდეს ზევიდან: წერე, მარიამ! იცხოვრე, მარიამ! იჭირისუფლე!

ჩემო ყველას ჭირისუფალო... დღე ღამდება და აბა, ვინ დაგრჩა დღეს მოსაკითხი? შენს პოეტებს სათითაოდ ჩამოურეკე? იმათი ამბები გაიგე?

შენს მაშვრალსა და შენუხებულებს შეეხმიანე, ვის რა უჭირს, ვის რა ენატრება, ვისი სიხარული ვისთან გაქვს ყვავილის მტვერით ფრენით გადასატანი. ვინ ავადაა და შენი შველა ჭირდება, ვინ კარგადაა და მაინც უშენოდ გაძლება უჭირს. ხომ არავინ გამოგრჩენია?

ვისი ფიქრი უნდა შეიყოლო ბალიშში თავშერგულმა?

ხანდახან საკუთარ საფიქრალს ხელი აუქნიო და სხვისაზე წამოიგო ლოცვის კრიალოსანი... როგორ თქვი? – ღამით რომ ხეებია, იმათ გაეხარ – მდუმარეებს და მომლოდინეებს, ვარსკვლავებში გაყურსულებს... რალაც დიდი და უნებლიე საიდუმლოს შემსწრეებს... გათენდება და სიცოცხლე

მტრედს და ბელურას დაუყარონ საკენკი უხვად, ძეგლის მხრებზე რომ ათენებენ ნათლის ღამეებს. ჩამოსხდნენ, ჩვენ რა?!

დედამინა ყველას დაიტევს,
დროც დაიტევს,
სიტყვაც დაიტევს.

თვითონ ისინი რას დაიტევენ, თორემ ძეგლებს, დარაჯებად, ჩიტებიც ჰყოფნით. ღამეებს კი, სავსე რომ აქვთ მუჭი ვარსკვლავით, ისე აქვთ ყური გაჩვეული მარტოობაზე, რას გააკვირვებ?!

რაში სჭირდებათ საფლავებს მეხრე?

უკვე ვიცი, მეგობრები მხოლოდ იმას გაიხსენებენ, რაც შენ არც გახსოვს.

თქვენც ასე ხართ? აგვიანებენ?

მაინც რა გაბმით, რა უწყვეტად

ურტყამენ ჩაქუჩს,

ან რატომ ვიცით ხოლმე ასე ხმების არევა?

სად ჭრიჭინები,

სად დახეთქება,

სად ზეთისხილი,

სად ცისკრისძვრა,

სად გარდამოხსნა.

ე-ლი, ე-ლი, ე-ლი და მაინც

არავის სჯერა.

არადა გზები გახსნილია ოთხივე მხარეს,

ბიჯის წადგმაც არა გჭირდება,

ფრთის გაშლას ვინ გთხოვს?!

მხოლოდ თავი მიაბრუნე,

ხმა თუ მოგესმა...

ხმა იცანი,

ხმა იცანი,

შენც, სულ რომ ელი,

ხმა იცანი იმ წამებისა,

წა-მე-ბი-სა, წა-მე-ბი-სა –

მარადისობის ნამცეცეებად რომ აპნევს ქარი.

ის სიჩუმის ხმაც არ გეცნობა,

ლოდის ქვემოდან ბალახივით რომ მოგუგუნებს?

ანგელოზებს თავის საქმე აქვთ.

ჩვენ რა ვქნათ, თორემ,

რაში სჭირდება ამ დღე-ღამეებს დათვლა, აღწერა,

როდის იყო, ვინმემ იცოდა,

ზუსტად რამდენჯერ გათენდა და დაღამდა ქვეყნად,

ზუსტად რამდენჯერ თქვა უფალმა,

მომეშველეთო,

ზუსტად რამდენჯერ უყვარდათ და რატომღაც მაინც,

არ მივიდნენ,

არ მივიდნენ იმ ხმაზე,

ელი.

თეთრი ხბორები

სადი ნიმარს – ჩემს უსაყვარლეს პოეტს

სასუფევლის წნული ლობია შენი წამწამები.
 მოვადგები დაღლილი და ვიყურები გადაღმიდან,
 აყვავებულ ვაშლის ხესავით.
 მწვანიანზე თეთრი ხბორები დაკუნტრუშობენ,
 მცნობენ უკვე და რომ დამლანდავენ,
 ლობეს ერთბაშად მოაწყდებიან.
 მომაშტერებენ ნისლიან თვალებს.
 იმათ დრუნჩებს კი,
 სულ ახლახან მოძოვილი ბალახის სუნით
 და ცვრიან ცურის გეშით მოსვრილებს,
 მოეკითხებათ განა სხვა სიბრძნე ზმუილის გარდა – დედა,
 დედაო?
 ასე მიმზერ, შენც, მეგობარო.
 აღარც მიკვირს, რატომ მომენდე.
 ერთმანეთის საიდუმლოთა ლოცვანის ფურცლებს
 ისე ფრთხილად ვშლით, ისე რიდით,
 თითქოს ვშიშობთ,
 ზედმეტი დილა ანდა ღამე არ გადავფურცლოთ ამ სამყაროში,
 ღმერთს რომ ჯერაც არ შეუქმნია.
 მე კი მეგონა, ადამიანს თუ ცეცხლი არ სდის თმის ძირებიდან,
 არც ნაჭრილობევ ტუჩით მელანს არ ეწაფება,
 არ შეიძლება მისი ნდობა, როგორც პოეტის!
 მე ხომ არასდროს ჩამიბნევია ღილაკილოში ალის მიხაკიც.
 არც გრძელ ყალიონს ვაბოლებდი,
 ჩემს სამოსსაც არასოდეს შერჩენია ღვინის სურნელი.
 მანიფესტებიც არ შემიქმნია.
 რატომ მომენდე?
 ვერსად მიპოვნი დასერილ ვენებს,
 არც რევოლვერი, არც მარყუჟი, არც ქარვის მძივი,
 ჩემს მენამულ მოსასხამზე დაცვენილი ხმელი ფოთოლი,
 დიდიხნის წინათ,
 მენამულ ზღვის მენამულ ფსკერზე რომ გადავმალე
 და პალატების გასაღებთა მთელი აცმაც იქვე ჩავფალი,
 შეურაცხადებს კარი ფართოდ რომ გავუხსენი
 და მერცხლებივით გავყარე გარეთ,
 სად დაინახე?
 სასუფევლის კარის ძებნაში დღესაც ასე
 უღამდებათ ხრამის პირზე
 თამაშით გართულ იმ დიდი ბავშვებს.
 სად დაინახე ან ის ცეცხლი, ის კოცონი,
 ზედ რომ არავის დავუწვივარ?
 გამოვისყიდე ჩემი თავი შენს გაჩენამდე.
 და როცა ჩემი მარტოობის ფსალმუნებს ვმღერი,
 ცხვრის ფარასავით მივუყვები საკუთარ თავს,



ფესვებიდან წამოგაყენებს... შენ ხომ შეგიძლია სამზარეულოში საათობით მოფუსფუსემ, ძალიან ჩვეულებრივ ქვაბებში ძალიან ჩვეულებრივი სანოვავისგან პოეზია ხარშო და აცხო და გულში ამ დროს სტრიქონს რანდავდე და მომავალი ლექსისთვის ახალი მოტივი ადუღებულ ჩაიდნის ხმას აუნყო.

შენ ხომ შეგიძლია ისე გადახსნა შავი პურის ნაჭერი, რომ მისი თბილი ნიგვზის ოხშივრიანი გულიდან სამშობლოს სუნი შეიყნოსო, ყველაზე შეუცვლელი სუნი და მერე გახედო დანარჩენ სამყაროს. შენ ხომ შეგიძლია, გყავდეს ორი ულამაზესი შვილი თავიანთი ფერადი და ათასმეგობრიანი ცხოვრებით, გყავდეს დიდი და მშვენიერი სიხარულით სავსე ოჯახი და მაინც იყო ძალიან მარტო, სრულიად მარტო და ღმერთის პირისპირ შენ მარტოობას ლექსებით მღეროდე. შენ ხომ შეგიძლია, ისე მიმეგობრო, რომ სიყვარულისგან გულგაქვავებულს მეჩვენებოდეს, თითქოს მხოლოდ ჩემი, მარტო ჩემი მეგობარი ხარ და ვერავისთან გაგიყო. სწორედ ისე, როგორც ადამიანის წესია. ადამიანებიც ხომ იშვიათად, მაგრამ რალაციით მაინც ღმერთს ვემსგავსებით.

„ვეფხისტყაოსნის“ მეგობრობაც აბა, სხვა რაა! ან სად წავიდოდა ის ნიჭი ჩვენგან, ცხრა საუკუნე რას გაცვეთდა და რას გამოლევდა! ეს მეგობრობა დღესაც ცოცხლობს და ამ ქვეყნად ყველა ნიგნი მხოლოდ მაშინაა ცოცხალი, როცა ის დღევანდელზე გესაუბრება.

შენთან ყოფნა ათასწლოვან სიცოცხლის განცდას ნიშნავს.

შენი მარტოობაც გადამდებია, ისევე როგორც ყველა დიდი დღესასწაული და ამ ზეიმში, ამ ქართულ, მარიამულ ზეიმში, შენთან ერთად მე დღეს მთელ სამყაროს ვეპატიუები!

ღმერთით, მარიამ!

ნინო სადღობელაშვილი



როცა ბიბლიურ ხრიოკ მინდვრებს ჩავუვლი ხოლმე,
 სულ მახსენდება ტყვია, რომელიც დაიჭირე პეპლის საჭერით
 და ბავშვური, მიამიტური ფოკუსებით გვირილებად გადამიქციე,
 გადააპნიე მერე ჩემს მინდვრებს და
 ბედნიერი შეექეცი ტკბილ „მამალოს“,
 მე რომ ლამეებს მითენებდა
 და ყვილით ზეცის კიდეს ბათქაშს ამსხვრევდა.
 რა პატარა იყავი მაშინ, ან როგორ მენდე?
 ჩვენ ორიდან ერთ-ერთი ხომ მერე გავჩნდით,
 ამ ამბების უხნესად მერე.
 მაგრამ სიბრძნე დაგვყვა მამიდან,
 რომ გვერწმუნა სრულად სოფელი.
 ორთავე მხარე ჩვენთვის ისე მშობლიურია,
 როგორც ფურცლის ორივე გვერდი, როცა ვკითხულობთ
 და ყდა როცა ზეცასავით გვახურავს თავზე.
 ზღვის ზვირთების მწყემსებით –
 ან ვის უნახავს დაბადება ჩვენი ამქვეყნად?
 დედ-მამისათვის ჩვენ ყოველთვის ვარსებობდით და
 ვიარსებებთ,
 სხვებისთვის კი ხვალინდელი ამინდით ვართ,
 ან გავამართლებთ ან გავწვიმდებით და
 ლაფით მოვთხვრით მაღალ ქუსლზე შემდგარ ცხოვრებას.
 მაინც მენდობი, მეგობარო,
 მე კი ჩემი ბასკი დედაც ვერ გაგაცანი.
 გაუჩენელი შვილებით,
 ვერც ზანდუკები გაგიხსენი ფურცლებით სავსე.
 იმ ქალღმერთების ცოცხალი კლიტე,
 სიტყვები რომ აღებდნენ მხოლოდ,
 შემეშინდა ჩემზე არავის მოერგო და ისიც დავმალე.
 თეთრ კაბაზე აფარებულ სადაგობის დიდ ჯიბეებში
 გადამალული სუფთა ფურცლის
 ნახევილა გინილადე თამბაქოსავით,
 რომ შენს ჩიბუხში, აკვანს რომ ჰგავდა,
 წვალე-წვალეებით ამოგენვა მარტოობის დღესასწაული,
 შენ კი მაინც ბოლომდე მენდე,
 და ისე თქვი „ღმერთით, ღმერთითო“,
 გათენების მაუნყებელი
 ჟივჟივი გედგა რტოებში, ხეო!
 გიყურადებდი და ვიცოდი,
 რომ ჩიტები არ ჟღურტულებდნენ,
 ეს, ხე გალობდა, ხე გალობდა,
 ფრთოსნები კი, ანგელოზები იყვნენ ამ ხისა.
 სიზმრების ხაოს ხელს რომ უსვამ,
 ხავერდების კვლებს რომ მიჰყვები,
 შიგ რომ თესავ მტრედების ლულუნს,
 ნეტა თუ გრძნობ, უკან რომ მოგდევ,
 რომ არ წამოკრა ფეხი ნისლის ბელტს, არ დაეცე,
 ფრთებით მიჭირავს შენი ნაბიჯი.

შენ კი ამ დროს ატატიებული გყავარ თურმე აღმაფრენებით.
 რა ერთნაირად გვიყვარს ხოლმე სევდის ჭის ფსკერზე ყურება და
 როცა ერთად მივადგებით ჭის ოქროვან გვიმს,
 გვეშინია, არ ჩაიქცეს და
 ერთდროულად ერთმანეთის კიბეც ვხდებით,
 ფრთებიც გვესხმება,
 ერთმანეთის სტრიქონს ვებმებით
 და ნუგეშ-ნუგეშ სიყვარულს ვმღერით,
 ღამეში მარტოობას რომ მღერიან შიშის მგზავრები.
 მე ხომ არასდროს მიწერია დღიურები მომავლისათვის,
 შენ კი სულ მფურცლავ,
 მარჩიელობ ჩემს ვარსკვლავებზე,
 წეროების გუნდებს მიჰყვები.
 ამ უსასრულო გადაფრენაში შემომიცივითე შფოთვაც თანდათან,
 რადგან უკვე ზეპირად ვიცით ჩვენი ფრთის ძალაც.
 ცის ბილიკებიც, როგორც მიწისა, გაკვალულია.
 ჩვენ გზებიც ვიცით, უსახელო შესახვევებიც.
 ყველა სტიქია მოვიცისმარეთ, მოვიმზისნამეთ, მოვიქარიშხლეთ,
 და უძირო მწვერვლებზე, თოვლი რომ ჰყვავის,
 შენ ნაფეხურთა ედელვალისებს,
 ისე ვპოულობ, არც კი გითქვამს, რომ მსტუმრებიხარ.
 ალბათ მეძინა ჩათვლემილს მშვიდად,
 შენ კი ისე გეძვირფასება ჩემი სიმშვიდე,
 ფეხაკრეფით მოგივლია ჩემი შინ და ნასულხარ შენთან
 ჰოდა, ახლა ამ სიზმრიდან როცა ავდგები
 და მოვადგები სასუფევლის წნულ ღობეს ისევ,
 სადაც ჩემი თეთრი ხბორები მეგულებიან
 სადაც სინრფელე სუფთა ფურცლის ისე გაღელვებს,
 თითქოს ბილილებს გადათელავს შენი ნაწერი,
 მოვალ და გკითხავ, როგორ მენდე და დამემგზავრე?
 შენ კი თეთრ ხბორებს ხელს აუქნევ და ჩაიციინებ –
 „ღმერთით, ღმერთით“...





დალილა ბედიანიძე

•
 მიიზღაზნება სიზმრის მდინარე
 და ჩემი პანანინა სიზმრები ნაკადულებივით უერთდებიან.
 დარღვეულია რეალობის ნაპირები,
 დანგრეულია რეალობის ჯებირები
 და სიზმრის ტალღები ტბორავენ ცხადის ველს.
 მიიზღაზნება სიზმრის მდინარე,
 ძალაგამოცლილს მიმატივტივებს იმ შავი ზღვისკენ,
 რომელიც ყველას, ყველას დაგვიტევს
 ჩვენი პატარა, ფერადი სიზმრებით
 და ყველას, ყველას შეგვახვედრებს ერთიმეორეს,
 ვინც ცხოვრებაში ერთმანეთი ისე დავკარგეთ,
 თუ არა სიზმრად, ველარსად ვხვდებით.
 მიიზღაზნება სიზმრის მდინარე,
 გამჭვირვალე და ჭრელი ტალღებით
 ჩვენს სულში მიდის რალაც ლამაზი, რალაც წკრიალა,
 რომელიც ჩვენ გვესიზმრება ნიშნად იმისა,
 რომ კარგი დილა გვექნება და კარგი ხვალე
 და ვინც ძალიან მოგვენატრა, იმასაც ვნახავთ.
 მიიზღაზნება სიზმრის მდინარე
 და რეალობის აისბერგი დამდნარია და მდინარეს ერთვის.
 ადიდებული, მაცნე დიდი ბედნიერების
 მიმატივტივებს სიზმარი და მეჩქარება, გამოვიღვიძო,
 რათა ამიხდეს.

•
 ლიმონის ხიდან გამოვიდა ლიმონის კაცი,
 ლიმონის კაცი ფოთლებისფერი თვალებით და
 მწიფე ლიმონისფერი სახით, ხის ტანით.
 გამოვიდა, ხელები გაშალა და
 ყოფნა-არყოფნის საზღვარს ისე გადააბიჯა,
 როგორც მზემ, რომლის შუქშიც
 ლიმონისფერი ნათელიც ურევია.
 ლიმონის ხიდან გამოვიდა ლიმონის კაცი
 ზურგზე მოკიდებული მზით.
 ჩამოიხსნა მზე, როგორც ტვირთი,
 და დაგვიტოვა სახსოვრად წასვლის წინ,
 მოსაგონებლად ლიმონის გემოსი და
 ლიმონის ფერებისა.
 ვეფერები ამ მზეს, როგორც ახალშობილ ბოჩოლას.
 იგი სველია და ორთქლი ასდის

და, როგორც ბაგაზე ბოჩოლა,
ნებივრად მიწოლილა.
ლიმონის ხიდან გამოვიდა ლიმონის კაცი,
ლიმონის კაცი დაიბადა ლიმონის ხიდან,
მზის მომტანი და ნათლის მომტანი.
გადაიარა ოთახი და გაუჩინარდა,
როგორც ლიმონი უჩინარდება ბნელში,
როცა მზე დაიძინებს.

•
გაიშალა გაზზე გვირილები ცეცხლის,
შეერია ცეცხლის ოქროს ალი ვერცხლის.
დილის ცეცხლი ღვივის, ღვივის ჩემი კერა
და დაიწყო ცეცხლზე ჩაიდანმა მღერა.
ცეცხლი არის ჩემთან და არა ვარ მარტო,
მე და ცეცხლი ერთად დილის სტუმარს ვნატრობთ,
რომ მან მოგვილოცოს ახალი წლის დილა
და ახალი ცეცხლი დილის კაბას ღილად
დაეკეროს, როგორც მზე ჰკიდია ზეცას,
ვით წითელი ჩიტი, გალობს და ფრთებს კეცავს.
გაიფურჩქნა გაზზე ყვავილები ცეცხლის,
მესმის მათი ხმები, ვით ჟღერს მერცხლის.
მეც ბუდეში ვზივარ, ჩემს ბუდეშიც თბილა,
ნასიზმრევეზე ღიმილს თვალებს ახელს დილა.
მიყვარს სახლში ყოფნა, ჭვრეტა ცეცხლის ალის,
რაც მე შემახსენებს, რომ ვარ მე აქ ქალი,
დიასახლისი და ამ ოჯახის ბურჯი
და ყინვის საცეცებს ცეცხლით გადავურჩი.
ფანჯარაზე ჭირხლი იშლება და დნება,
ფანჯრის იქით ყინავს, ფანჯრის აქეთ ნება
უფლის აყვავილებს ცეცხლს და მეუფლება
დილის მადლი, დილა, სითბოს მეუფება.
წუხანდელი ყინვა თითქმის აღარ მახსოვს,
ცეცხლის მზისებრ ბრწყინვა გულზე ნათელს მაქსოვს.
გაიფურჩქნა გაზზე გვირილები ცეცხლის,
თითქოსდა მზემ დადო ცეცხლის ოთხი კვერცხი.
მიხარია დილა, გათბა, გათბა გული
და მომართვა დილამ ცეცხლის თაიგული.



ჰაერბურთი

ვარ დაჩუტული ჰაერბურთი.
თავზე ვარსკვლავი მახატია, მკვდარი ვარსკვლავი
და ველოდები, ვინმემ სული ჩამბეროს და
ვარსკვლავი გამიცოცხლოს და კვლავ ავფრინდე.
ირგვლივ მტვერია და ნაგავი და ამ ნაგავში



ყვავილად არის ამოზრდილი ჩემი ოცნება
 გაფრენაზე და ცის გზაზე.
 ვარ დაჩუტული ჰაერბურთი.
 სული არ შემრჩა ამ დაუნდობელ წუთისოფელში
 და ველოდები სულის გადასხმას
 სისხლის გადასხმასავით.
 ცას მოსწყდა ჩემი წილი ვარსკვლავი,
 თავზე დამეცა და დამეხატა,
 როგორც ცის გზის მაჩვენებელი.
 მძიმეა ჩემი ვარსკვლავი და
 მე – უსულო ვერ ვზიდავ და ფეხზე ვერ ვდგები.
 გამვლელები გაოცებით მიყურებენ და
 არავის მოსდის აზრად, რომ სული, სული მაკლია
 და ნეტავ კი მე – დამუნჯებულს
 მიმიხვდებოდეს ვინმე, რომ მჭირდება სულის გადასხმა
 და ჩამბერავდეს თბილ და მოცახცახე სულს.
 ველარ მივფრინავ – ვარ დაჩუტული ჰაერბურთი
 და მშველელს ველოდები.
 სიცოცხლისათვის სული არ მყოფნის.

„ინტელექტი“ გთავაზობთ



გივი ალხაზიშვილი
 „100 ლექსი“

გამომცემლობა „ინტელექტი“ აგრძელებს სერიას „100 ლექსი“. ახალ ტომში
 პოეტ გივი ალხაზიშვილის შემოქმედებიდან არჩეული 100 საუკეთესო ლექსია
 შესული.

კრებულს ერთვის ზაზა შათირიშვილის, მერაბ ლაღანიძის, როსტომ ჩხე-
 იძის, ლელა კოდალაშვილისა და ივანე ამირხანაშვილის წერილები პოეტის
 შესახებ.



მხატვრული პროზა

გიორგი შერვაშიძე

ვერ-ვარ-ძია


ერთ მშვენიერ დღესა თუ საღამოს, მე და ჩემმა ძმამ გადავწყვიტეთ, რომ ვარძიაში წავსულიყავით. უფრო სწორედ კი, ეს ერთი დღისა, თუ ერთი საღამოს ნაფიქრი ამბავი კი არ იყო, არამედ დიდი ხნის ნაოცნებარი სურვილი გახლდათ. ანუ ყოველთვის გვინდოდა, გვენახა ვარძია და როგორც ხდება ხოლმე, ვერ ვახერხებდით. ჰოდა, ერთ მშვენიერ დღესაც, გადავწყვიტეთ, რომ ახლა უკვე დანამდვილებით უნდა განგვეხორციელებინა ეს ჩვენი სულაც უწყინარი ოცნება და წავსულიყავით „მღვიმეთა მძინარე ქალაქში“. თანაც, თითქოს სიტუაციაც აი, ისეთი იყო, ხელსაყრელი, ყოფას რომ უფრო ადვილად გაექცეოდით. ანუ ჩემი მეუღლე კვლავ ფეხმძიმედ იყო და ჩემს ძმას კი, ჯერ საერთოდ არ ჰყავდა ცოლი. ჩემს სამსახურს შაბათ-კვირა ჰქონდა და ჩემი ძმისა კი ჯერ საერთოდ არა არსებობდა. ანუ, მე უნდა მომელოცა, ხოლო მას კი შეელოცა და ვინღა შეგვეწინააღმდეგებოდა ესოდენ პატიოსან განზრახვაში, გინდა თუ არა, ეგ საქმე არა ქნათო? ვერც ვერავინ და ჩვენც წავედით...

გავარკვიეთ, რომ საპატრიარქოში არსებობდა ცალკე სამსახური, რომელიც აწყობდა მსურველთათვის ერთგვარ ექსკურსიებსა და მოსალოც გასვლებს წმინდა ადგილებში. ჰოდა, სწორედ ეს სამსახური აწყობდა გასვლას ვარძიაში. ჩვენც ავდექით და დავრეკეთ. ჩავენერეთ და დეტალებიც გავარკვიეთ. ტური ორდღიანი აღმოჩნდა. მომსახურებაში შედიოდა მრავალი წმინდა და ისტორიული ადგილის მონახულება და რაღა თქმა უნდა, მოლოცვა. ამ ყველაფერს ემატებოდა მგზავრობა ავტობუსით და ერთი დამეც ადგილობრივ სასტუმროში. მეტი რაღა უნდა გდომებოდა შთაბეჭდილებათა მაძიებელს? არც არაფერი და მითუმეტეს, რომ კვება მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფილი გახლდათ. ანუ მშიერი არ მოკვდებოდით და სწორედ ამოტომაც, ჩვენ წინასწარვე თადარიგი დავიჭირეთ და გასვლამდე წინა დღით ადრე, შევიძინეთ აუარება სანოვაგე. მთელი დღე „დეზერტირების“ ბაზრის ნაგავი ვტკეპნეთ და საბოლოოდ კი, თითქმის ორი ხურჯინი გავავსეთ. მოკლედ, რა აღარ მოიპოვებოდა, ამ ჩვენს მარაგში?! ძეხვეული და კონსერვები, მწნილი და ყველის ასორტი, ბოსტნეული და ხილი, შოკოლადის „პლიტკები“ და ორიც შემწვარი ქათამი. მაგრამ ამ ყველაფერს დედამ, რომ ხუთი ხაჭაპური დაამატა, სერიოზულად ეჭვის თვალთ გადამოგვხედა, რამე გრძელვადიან ექსპედიციაში ხომ არ მიდიხართ და ჩვენ ხომ არ გვიმაღავთო? არა ტო, დედიჯან, ორ დღეში დავბრუნდებით და ერთი თუ გიყვარდე, მოხარული კვერცხი და სუფრის მწვანილიც გაგვატანე-მეთქი. მშობელი კი რაზე გეტყვის „ვარს“ და თანაც, კვება ხომ მათი სუსტი წერტილია და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი კალორია დაემატა ამ ჩვენს პროვიზიას?! ამას დაამატეთ ტანისამოსი, რომელიც იცოცხლე, თითო ჩანთა ჩავალაგეთ, თანაც იმხელა, დეკაბრისტებს არ წაუღიათ მაგდენი გადასახლებაში და თან ყველას ერთად. ეგეც შენი ერთი ურემი ბარგი გამოვიდა. მოკლედ, ყველაფერი მზად გვექონდა მარსზე გასამგზავრებლად და აბა, ვარძიამდე როგორღა ვერ ჩავალწევდით?! თუმცა კი...

ზუსტად წინა საღამოს დამირეკა ერთმა ჩემმა მეგობარმა და საკმაოდ მაცდური წინადადება შემომთავაზა. „მე და ის ვიქნებით, იმ ლუდის ბარში და იქნებ შენც გამოხვიდეთ“. ეს კიდევ ძალიან მაგარ ამბავს ნიშნავდა ჩემთვის, რადგან წინასწარვე ვიცოდი, რომ ის და ის მეორე, ძალიან მაგრად იმ-



გიორგი შერვაშიძე დაიბადა 1979 წელს. 1998 წელს დაამთავრა თბილისის 24-ე საშუალო სკოლა, 2004 წ. თსუ ფილოსოფია-სოციოლოგიის ფაკულტეტი. 2008 წლიდან არის მწერალთა კავშირის წევრი. გამოცემული აქვს ნივნები: „სიბრძნის ნაყოფი“ (რომანი, 2002), მოთხრობების კრებულები – „მგრაგნელი“ (2005) და „სხვისი ცხოვრება“ (2009). პერიოდულად იბეჭდება სალიტერატურო ჟურნალებში: „ცისკარი“, „მნათობი“, „სტუდია“, „ლიტერატურული პალიტრა“, „ლიტერატურა და ხელოვნება“, „ჩვენი მწერლობა“. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.



ღერებდნენ, თანაც სადაც მოუხდებოდათ იქ და მითუმეტეს, ყოველგვარი შეზღუდვებისა და თავშეკავების გარეშე. ჩემთვის კიდევ მათი სიმღერითა და გაბადრული სახეების ცქერით ტკბობა, ერთი რამე ძვირფასი საჩუქრის ტოლფასი იყო. ჰოდა, მეც, ბევრი ყოყმანის გარეშე, დავთანხმდი. თანაც ვიფიქრე, ვარძიამდე საკმაოდ დიდი მანძილია გასავლელი და თუ ნაბახუსევი ვიქნები, იქნებ უკეთესიც იყოს ავტობუსში ჯანჯღარი-მეთქი. განწყობაზე ავეწყე და ღია ცის ქვეშ მდებარე ლუდხანაში, სულ ტაშის კვრით შევეგებეთ ერთმანეთს. იმდენი ვსვით და იმდენი ვიმღერეთ, რომ ანგარიშიც კი ვიღაც უცხო კაცმა გადაგვიხადა. ეს, რალა თქმა უნდა, ჩემი დამსახურება სულაც არ იყო, რადგან თუ ვინმე მღეროდა – ეს ის ორი იყო, თორემ მე, ძირითადად ხელს ვუშლიდი და „ჰარმონიას ვანვალედი“. „სიტყვებს გეტყვი საალერსოს, დავილლები ვედრებით“, გაისმოდა ჩვენი სუფრიდან და სხვა სუფრებიდან კიდევ, მოდიოდა ნაირ-ნაირი მოსაკითხი. მოკლედ, საბოლოოდ, ჩვენი სამკაცციანი სუფრა, სულ მცირე ათ კაცს მაინც უმასპინძლებდა და თანაც ისე, ჩიტის რძესაც არ მოაკლებდა. მაგრად ვიქეიფეთ და ალბათ, ესოდენ მტკიცე გადაწყვეტილება რომ არა, მეორე დღეს ბალიშიდან თავის ამწევი ნამდვილად არ ვიყავი. ზედმეტი მომივიდა, თანაც რამდენიმე ლიტრა არაყითა და ლუდით. რალა თქმა უნდა, სხვა შემთხვევაში, მეორე დღისით, წოლითი რეჟიმი მექნებოდა, თუმცა იმ დილით, ნაადრევად ადგომა მომიხდა და თანაც ვაი რომ, ბევრი სხვა რამის გაკეთებაც მომიწია.

დილა. შვიდი საათია. თვალებს ძლივს ვახელ. საშინელი ბინდი გადამკვრია თვალთ და დახამხამებაც კი დიდ ძალისხმევას ფასად მიჯდება. ვდგავარ დავით აღმაშენებლის ჯერ კიდევ ადგილზე მდგომ ძეგლთან და იმედი მაქვს, რომ საერთოდაც არ გათენდება. თუმცა, მე ვინ მისმენს და კვლავ თენდება. ვძაგძაგებ და ყველაფერი მძულს, გარდა იმ ერთი, რომელშიც თავს „შერგავ“ და ყველაფერი დაგავინწყდება. თუმცა კი, სამწუხაროდ, წინასწარვე ვიცი, რომ ეგ სორო, საერთოდაც არ არსებობს და მითების სფეროდანაა. ჩემს „პახმელიას“ თვითონვე უნდა გავუძლო და თანაც, როგორც ყოველთვის, საკმაოდ მძიმედ. ჩემი ძმა კიდევ, თითქოს ჯინაზე, საკმაოდ ფხიზლად გამოიყურება. უბრალოდ გამოუძინარია და მეტი არაფერი. ამ თქნარებს, ზანტად მოძრაობს და სახეს იფშენებს. ბუნებრივად იქცევა რა!

გაჩერებაზე ორი „მარშრუტკა“ დგას. ერთი თეთრი და ერთიც წითელი. ჩემთვის, პირადად, სულერთია სად ჩავჯდები, ოღონდ კი ფეხები გავშალო. ზურგჩანთა უსაზღვროდ მამძიმებს. შემწვარი ქათმები უცხო ენაზე კაკანებენ და წინადლით შესმული არაყიც „სამა-წიოკით“ გამომდის. ჩემი ძმა რალაცებს მელაპარაკება და ვატყობ, რომ ალტკინებულია. მიკვირს, მე რატომ არ მჭირს იგივე და მერე უცებ მახსენდება, გუშინდელი საღამო. ბევრი, ძალიან ბევრი, სხვა მაგიდიდან გამოგზავნილი სასმელი და უსასრულობა...

ხალხი ნელ-ნელა გროვდება და ყველა თეთრ „მარშრუტკაში“ იყრის თავს. მე კიდევ ვდგევარ იქვე, შორიახლოს და ველოდები რომელიმე „მარშრუტკის“ გასვლას. ვენევი ღერი-ღერზე და ჩემს ძმასაც ჩემი უაზრო ქმედებებით ვტანჯავ. უეცრად, გაისმის ვიღაც ქალის ხმა: „ბოდბეში წამომსვლელები გავდივართ“. აუფ... ქშინვასავით ამომდის და ორი იმდენი შემდის. ხალხი სადღაც ქრება. მძლოლი მანქანას ქოქავს და ვატყობ, გაჩერებაზე მხოლოდ მე და ჩემი ძმა ვრჩებით. გუმანით ვხვდები, რომ რალაც გაურკვეველობაში ვეხვევი და დაქოქილ მანქანასთან მივდივარ.

– გამარჯობათ. და ვარძიაში მიმავალი მანქანა რომელზე გადის? – ჩემს მეტყველებაში იმდენი ენერჯია იხარჯება, პასუხს ველარც ვისმენ და ჩემი ძმაც იძულებულია, მითარგმნოს.

– ბიჭო, გესმის, ესენი ვაბშე, ბოდბეში გადიან და ვარძია, კიდევ საერთოდ გაიმაზა რა! ხალხი არ შეგროვდა და გადაიდო! ფულს აბრუნებენ,

ფოტოზე:

ვარძია. კლდეში ნაკვეთი სამონასტრო კომპლექსი.

მაგრამ თუ გინდათ, სხვაობას დაგიბრუნებთ და თქვენ კიდევ, ბოდბეში წამოგვეყვით, რაღა აქამდე მოხვედითო. – საკმაოდ დამაჯერებლად უღერს ჩემი ძმის ბაგეთაგან ეს სიტყვები და მეც თავს ვუქნევ თანხმობის ნიშნად, ოღონდ კიზედმეტი აღარავინ მკითხოს რამე და თუ გინდა...

– რა თავს აქნევ?! მითხარი, ნავიდეთ თუ არა? – ეს სიტყვები უფრო მეტ სერიოზულობას იძენს მის მერე, რაც მძლოლის დასისხლიანებულ თვალებს ვაწყდები. ვხვდები, მიუხედავად იმისა, რომ მორწმუნეთა „დასი“ გარშემო, ეს მძლოლი აშკარად კერპმთაყვანისმცემელია და უმაღლეს ცეცხლს მიმცემს, თუ კიდევ წუთს დავალოდინებ.

– ამ ქათმების უკან ნამლები მე აღარ ვარ, წამო და ნავიდეთ რა?! რაღა ვარძია არ გამოდის, რაღა გაენყოფა და თანაც, არც ბოდბეში ვართ ნამყოფები. მე მგონი არ გვანყენს იქ წასვლა, ჰა? – „მარშრუტკაში“ თავშეყრილი საზოგადოება აშკარა შვებას გრძნობს და თითქოს მძლოლსაც გუგები უყვითლდება.

– ნავიდეთ რა! – მეთანხმება ჩემი ძმა და იქაურ გიდს, თანხმობის ნიშნად, თავს უქნევს. ჰოდა, ჩვენც ვჯდებით თეთრ „მარშრუტკაში“ და მოგზაურობაც იწყება. ვარძიის ნაცვლად მივდივართ ბოდბეში და რატომღაც ჩვენი ახალი გიდიც, ამ ვითარებას, საზეიმოდ აცნობს სხვა დანარჩენ ცნობისმოყვარე თვალებსაც. მანქანა იძვრის. თვალებს ვხუჭავ და სწორედ ამ დროს მესმის ვიღაც ქალის განწირული ხმა: „აბა, ამყევით ძმებო ვარძიელებო“ და შემდეგ ისმის გალობა: ქრისტე აღსდგა მკვდრეთით...


ჩემი ძმა დაბნეული ილიმება და მე კიდევ თავი ყველაზე საშინელ „პახ-მელიაზე“ მგონია, თუმცა ძირითადი განსაცდელი ჯერ კიდევ წინა მაქვს და მე კიდევ არაფერს ვუნცი. ეს ჩვენი მოწინავე მორწმუნე ქალი ფეხზე დგება, ამ ისედაც ვინრო-დაბალ მიკროავტობუსში და საჯაროდ, კიდევ ერთხელ, აცხადებს: „პატივცემულო მეგობრებო, აი ეს ბიჭები, თურმე ვარძიაში აპირებდნენ წასვლას. იმის გამო, რომ ხალხი არ შეგროვდა და გასვლა გადაიდო, გადანყვიტეს ჩვენ შემოგვერთებოდნენ. მოდით მივესალმით ამ ჩვენს ახალ მეგობრებს და ყველამ ერთად ვიმღეროთ, შენ ხარ ვენახი. ამყევით ძმებო ვარძიელებო. აბა დავინყეთ: შეეეეენ ხაააარ ვეეეენააახიი...“

არა, ის ქალი რომ თავის „მატორზე“ ვერ იყო, ეგ თავიდანვე შევნიშნე, მაგრამ ამდენს თუ იკადრებდა, ნამდვილად აღარ მეგონა! გარდა იმისა რომ მაგრა იხალისა ჩვენს იმედგაცრუებაზე, არც ამას დასჯერდა და სახელიც კი გამოგვიგონა – ძმები ვარძიელები. მეტი რაღა უნდა მენატრა აფიკაში შემწვარ ქათმებით ხელდამშენებულსა და ჯერაც კი მთვრალს?! ვერც ვერაფერი და მეც დავნებდი თანამგზავრთა ნებას – გავხდი, ერთი უბრალო ვარძიელ ძმათაგანი, თუმცა, წინსანარ რომ მცოდნოდა, ეს ქალი ყოველ თხუთმეტ წუთში „ძმებ ვარძიელებზე“ იკაიფებდა, თანაც გიჟივით იხარხარებდა, აუცილებლად თავიდანვე რამეს ვილონებდი და როგორმე აღვკვეთავდი მის ამ თავნებობას.

მთელი გზა მაძაგძაგებდა და ჩემს ამ გაურკვეველ მდგომარეობას პირდაპირ ეხმიანებოდა „დაცურებული“ მორწმუნე მანდილოსანი. აბა, წარმოიდგინეთ, ვზივარ ჩემთვის შენუხებული, ის კიდევ მეუბნება, მოდი ახლა ხელები ჩავჭიდოთ ერთმანეთს და ისე ვილოცოთო. მე ვეუბნები, ქალბატონო, ხომ არ ჯობია, ჯერ დანიშნულების ადგილზე მივიდეთ და მერე ვილოცოთ-მეთქი, იმან კიდევ არაო. ახლა მგზავრობის წინალოცვა ნავიკითხოთ და სხვა დანარჩენი მერეო. ეგრევე დამჯაბნა თეოლოგიაში და მეც გავყურდი. მორჩილად ჩავჭიდე ხელი მის საეჭვო კიდურებს და მლოცველის სახე მივიღე. არადა, ძალიან მაღიზიანებდა, მისი ეს ფამილიარობა. მე ხომ „უჩვეულო“ ვიყავი ასეთი დონის გულწრფელობას?! მერე კიდევ, თითქოს გაგვიმართლა და ჩვენდა გასახარად, უცნაური თანამგზავრი, ვიღაც სხვა



ფოტოგრაფია:
ბოდბის მონასტერი



ინდივიდებით დაინტერესდა და სანამ იმათ ვინაობას გამოკითხავდა, ჩვენი „დელეგაცია“, როგორც იქნა, ჩავიდა დანიშნულების ადგილას. აე, ახლა კი გაგვიხარია-მეთქი, ვანიშნე ჩემს ძმას, თუმცა კი ნაადრევად, რადგან ეს ჩვენი უცნაური თანამგზავრი, ჩვენს გვერდიდან მოშორებას, საერთოდ არ ფიქრობდა. უხერხულია, მაგრამ მოსასაქმებლადაც ვცადე დამოუკიდებლად გასვლა, მაგრამ სულ ტყვილად. მართალია, საპირფარეოში არ შემოსულა, თუმცა არც ყურადღება მოუღუნებია და კართან მელოდა. ის ყველგან იყო, სადაც მე და ჩემი ძმა გავიფიქრებდით, რომ ვყოფილიყავით. მერე, თითქოს, შევეჩვიეთ კიდევ და...

ჩავედით ბოდბეში და ზუსტად მივხვდი, რომ ესეც ღვთის განგება იყო. ანუ ტყუილად არაფერი ხდება ამქვეყნად და რაღაი განგებამ ასე ინება, რომ ჩვენც აქ აღვმოჩენილიყავით, ესე იგი, ამაშიც რაღაც ფარული აზრი იდო. აზრი, რომელსაც, თუ მიხვდი, ხომ დიდებული, თუ არადა, ისე ჩაგივლის გვერდით, როგორც სხვა დანარჩენი მინიშნებები, რომელთაც ვერასდროს გაიგებ.

ბოდბის დედათა მონასტერმა თავიდანვე მომნუსხა თავისი სილამაზით. შევდგი თუ არა ფეხი უფლის ამ კიდევ ერთ სავანეში, წამიერ თვალში მეცა რაღაცნაირად განსაკუთრებული წესრიგი და თითქმის იდეალურად მოწყობილი გარემო. ანუ იმან, რასაც ჰქვია, რომ ზედმეტი ფოთოლიც კი არ ეგდო არსად. თითქოს, ყველაფერი თავისთავად სუნთქავდა და ამავდროულად, შენც გითრევდა თავის სამყაროში. ყველაფერი ზღაპრის წიგნში ამოკითხულს ჰგავდა. საუცხოოდ ასვეტილი სამრეკლო, ისიც რაღაცნაირად გამორჩეული თავისი არქიტექტურითა და მასშტაბით. დედათა სენაკები, ასევე უჩვეულო, რადგან განთავსებული იყვნენ რამდენიმე სართულიან უცნაურ შენობაში, რომელიც ძველ ბიბლიოთეკას უფრო ნააგავდა, ვიდრე ჩვეულ კელიებს. და თავად საყდარი. არც დიდი და არც პატარა, არამედ ზუსტად ისეთი, როგორიც ამ სამრეკლოსა და ამ სენაკებს, ერთ სფეროდ ჰკრავდა. პატარა, ქვით მოპირკეთებული ბილიკები კი განსაკუთრებულ ემხსა და შტრიხებს სძენდნენ ნაირფერი ყვავილებით მოფენილ მოლს.

რაღა თქმა უნდა, ყველაფერი ეს, ადამიანის დიდი შრომისა და ღვანლის შედეგი იყო. უფრო სწორედ კი, იქ მოღვაწე დედათა დაუზოგავი შრომისა. ჩემი აზრით, მხოლოდ ქალი თუ შესძლებდა ასეთი „პენის“ შექმნას. ჭეშმარიტად წმინდა ნინო სუფევდა იქ და თითქოს მე ეს ვიგრძენი. ვიგრძენი ისიც, რომ სწორედ ქალური სანყისი, მისი მიდგომა, მისი მზრუნველობა და დედის ინსტინქტი იყო განმაპირობებელი იმ საოცარი მუხტისა, რომელიც ყვავილთა სურნელსაც კი მოჰყვებოდა. არა, განა ნაკლები ღვანლი, წესრიგი, სილამაზე და მაღლი ტრიალებდა მამათა მონასტრებში? რაღა თქმა უნდა, არა, მაგრამ არ ვიცი, ბოდბე ჩემთვის სულ სხვა, რაღაცნაირი ქალური კდემამოსილების ხატი შეიქმნა. ღვთისმშობლის წიაღში შობილი სავანე...

მერე ვიხილეთ ტაძარი. მისი დახვეწილი ფრესკები. თემატურად მოხატული კედლები და „მსუყე“ ფერები. თითქოს ეზოში მიმოფანტული ყვავილებით მოეხატა ნაცად ხელს იქაური კედლები. და თითქოს ოდნავ სიბრტყეს აცდენილი სახეებები თავისთავად გვიყვებოდნენ გაცარცულ კედელზე ასახულ უწყვეტ გზას. მოკლედ, ძალიან ლამაზი იყო იქაურობა და როცა წმინდა ნინოს საფლავს ვემთხვიე, ცრემლიც კი მომადგა თვალთ, რადგან შინაარსი ქვაშიც კი ჩანდა და არათუ იგრძნობოდა. ბევრი ვილოცე ჩემი ცოდვილი თავისთვის და ჩემი ოჯახის წევრებისთვის. განსაკუთრებით ჩემი მეუღლის თავს ვავედრებდი წმინდა ნინოს, რომლის სახელის მატარებელიც იყო ეს უკანასკნელი და მის მშვიდობით მოლოგინებაში შემწეობას ვთხოვდი. მერე მონუსხულმა მოვიარე საყდრის ყველა კუთხე და რასაც კი შემეძლო ხელი შევახე, შევიყნოსე, შევიგრძენი და შევიმეცნე. თუმცა, რამდენი



წრეც უნდა დამერტყა ეკლესიის შიგნით, საბოლოოდ მაინც ღვთისმშობლის ხატთან ვჩერდებოდი. ხატთან, რომელიც თითქოს მატყვევებდა თავისი დიდრონი თვალებით. ეს სწორედ ის ხატი იყო, რომელსაც ურწმუნონი ხორცის საჭრელ დაფად იყენებდნენ. შემდეგ კი გაგულისებულებმა ლახვარიც აძგერეს ნიკაპთან და იქიდან კი სისხლმა გადმოხეთქა. თუმცა მაინც ვერაფერი დააკლეს. ან კი რას დააკლებდნენ, როდესაც ის ისევ იმ თვალებით იყურებოდა, რომლითაც მზერა მხოლოდ მიმტევებელ დედას ძალუძს.

საყდრიდან გამოვედით და ახლა მის ლამაზ ეზოში გავიშალეთ. ათასი ფიქრი მომდის თავში და განსაკუთრებით კი კითხვა: რატომ ვარ აქ? პასუხი, როგორც ყოველთვის არ მაქვს, უბრალოდ ვიცი, რომ ადრე თუ გვიან მივხვდები. მონასტრიდან პატარა ბილიკი ეშვება თავქვე და ჩვენც მას მივუყვებით. გიდი გვიხსნის, რომ ახლა სასწაულმოქმედ წყაროსთან მივდივართ, სადაც უნდა განვიბანოთ. და ამ სიტყვებზე თითქოს მახსენდება ვინ ვარ მე. საზიზღარი, სახედასიებული ტიპი, რომელიც ყოვლად უღირსად ეზიარება ასეთ სინმინდებს. უმალ ვფხიზლდები და ის ყოველივე ამალღებული რაც წელან განვიცადე, სადღაც ქრება. თითქოს ვიღაცამ მომიყვა და მე არ მეხილოს. მე ვარ ისევ მე და ჩემი ჯვარიც ასევე, მანვეს ისევ მე.

– ბიჭო, მე რომ აქ დავრჩე, არ მოსულა? რაღაცა მაგრა ვერა ვარ და აქ დაგელოდებით რა? – თან ვხვდები, რომ მაგარ სისულელეს ვიძახი, მაგრამ თითქოს, მინდა კიდევ ერთხელ დავრწმუნდე ამაში და სხვისგანაც მოვისმინო დასტური.


– გაგიჟდი შეჩემა? აქ ჩამოხვიდე და იქ არ განიბანო, ეს იგივეა რომ... არ ვიცი, ეხლა ბანძ შედარებებს ნუ გამაკეთებინებ რა?! თანაც მარშუტკა უკვე წავიდა, მოსავლელი გზით ჩავა და დაბლა დაგვხვდება. ჩვენ კიდევ აქედან მოკლეზე მოვჭრით. ცოტაც მოითმინე რა? განვიბანოთ ძმაო და მერე რაც გინდა ის გიქნია. – საკმაოდ წარმატებით მარწმუნებს ჩემი ძმა ჩემი მოსაზრების უსაზრისობაში და მეც მორჩილად მივდექ იმ კადრს, რომელიც თვალწინ სულ განმეორებით თამაშობს და მეორდება. დაღმართი, ბუჩქები, ქვები, დაღმართი, ბუჩქები, ქვები... მეტის დანახვის თავიც კი არა მაქვს.

– მერე მეც სწორედ მაგისი არ მეშინია ძმაო?! ეხლა, ასეთ პახმელიაზე რომ ცივ წყალში შევიდე, ხომ გამისკდა გული? – მიუხედავად ამდენი სულიერებისა, მაინც ხორცმა იმძლავრა ჩემში და კიდევ ერთხელ „დავეცი“. როგორც ყოველთვის, უმალ ეჭვი შევიტანე წმინდანთა და სინმინდეთა სასწაულმოქმედ ბუნებაში და უფალი დავგმე. ეს იგივეა, რომ გაციებულზე თქვა, ზიარებისას, სხვისი ნაპირალი კოვზიდან გადამედო ვირუსიო. არადა, გაგონილი მქონდა, ნაბახუსევს ცივ წყალში შესვლა არაფრით არ შეიძლებაო, თუმცა ისიც ვიცოდი, ნეტარ არიან მორწმუნენიო. გამოდის, რომ ყველაფერი ვიცოდი და თან არც არაფერი. ჩვეულ ბრძოლაში ვიყავი რა?!

– აუ, შენ მართლა მაგარი გაჭედე რა?! ბიჭო სასწაულმოქმედი ეგ წყალი და რაღა შენ განყენს, შე აბდალო. ჩვილ ბავშვებს ნათლავენ და სნეულნი ინკურნებიან და ამან კიდევ არ გადამაყოლა გუშინ ჩაცეცხლილ არაყს? – კიდევ დიდხავს ბურდლუნებდა რაღაცას ჩემი ძმა, მაგრამ მისი მოსმენის თავი ნაღდად აღარ მქონდა, რადგან მზემ ისე დააჭირა, რომ თავი ალაზნის ველივით გამეზარდა. თანაც, აბა, ერთი ის კაცი მითხარით, ვისაც შენიშვნა სიამოვნებდეს.

– ჰო, კაი, მორჩი ეხლა. – ჩავიღრინე და სულ მცირე ოცი წუთი მაინც მოვანდომე წყარომდე ჩასვლას, მაგრამ იქ ჩასულს გზად განცდილი დისკომფორტი მსუბუქ მოთელვად მომეჩვენა. როგორც გაირკვა, სამი იკარუსი ხალხი ელოდებოდა თავის რიგს, რათა სასწაულმოქმედ წყალში განებანა. სანათლავში განსაბანად კი სამ კაცზე მეტს ერთად არ უშვებდნენ, რადგან იქ არსებული სივრცე მეტის საშუალებას არ იძლეოდა. რაღა გაენყობოდა?





გუნებანამხდარმა მივაშურე უსაშველო რიგის ბოლოს და ჩრდილს დავუნყე ძებნა, თუმცა სულ ტყვილად, რადგან ადვილად სინმინდეს ნამდვილად ვერ ეზიარები და იქ კი ხეები სულაც არ იზრდებოდა. პატარა ხეობა იყო, უფრო სწორედ კი ხევში გაჭრილი გზა და მის გვერდებზე ბუჩქნარიანი ფერდობი. ძალიან უნდა მოგენდომებინა, რომ თავი სადმე შეგეფარა, მაგრამ ამაზეც გაგვაფრთხილეს: არც განზე დგომა ივარგებსო, რადგან დიდხანს რიგში არ ყოფნა, ფაქტიურად იქიდან ამოვარდნას ნიშნავსო. აბა, როგორი ასახსნელი იქნებოდა ახლა, რელიგიური ექსტაზითა და ყოფისეული შფოთით შეპყრობილი ხალხისთვის, მე აქ ვიდექი, უბრალოდ თავი მქონდა, აი, იმ ბუჩქში შეყოფილი და ჩემს ჯერ ველოდიო. მერე, არ იტყოდნენ, ნადი შენი... ჩვენ აქ რა, თაკარა მზეში კი არ გვსიამოვნებს დგომაო. ისე, ჯერ ზიარების რიგში რას ჭიდაობენ ხოლმე „გამორჩეული“ რწმენის მაძიებელნი და ახლა აქ, შეიძლება ხელითაც შეგხებოდნენ და თან ვგონებ, გამშველებელიც არავინ იქნებოდა. მეც დავყევი იქაურ განანესსა და ნებას და მზის დისკო დავიფარე თავზე.

ჯერ ოფლად გავინურე, მერე ფიქრებად და ბოლოს უკვე სულერთი იყო, როგორ ვიყავი, რადგან სულაც აღარ ვიყავი. ჯერ ვიფიქრე, დადგა ჩემი განსასჯელის უამი და უეჭველი გული დამარტყავს, როდესაც იმ ცივ წყალში შევალ-მეთქი. მერე მეგონა, ღმერთი არ გამწირავს, რადგან ასეთ წმინდა ადგილზე სასწაულები ხდება და არა ცოდვილთა განკითხვა-თქო. სულ ბოლოს კი, ველარც ვფიქრობდი, არამედ, ვიდექი ცხენივით გახვითქული და მივშტერებოდი რიგს, რომელიც საერთოდ არ იძროდა. სხვები აშკარად უფრო მომზადებულნი იყვნენ ამგვარი განსაცდელისთვის და უდრტვიწველად იტანდნენ იმას, რაც მე ტანჯვას მგვრიდა. ჯერ ერთი, „პახმელიაზე“ არავინ იყო ჩემს მეტი და მეორეც, ყველას კეპი, ან რაღაც მაგდაგვარი ეფარა თავზე. ისე კი გაუთავებლად ჩოჩქოლობდნენ, ხმაურობდნენ, კამათობდნენ – ცხოვრობდნენ რა?!

ის სანათლავე კი, ერთ პატარა, ეკლესიის ყაიდაზე აშენებულ ნაგებობას წარმოადგენდა, რომელსაც მგონი, სულ ორი სარკმელი და ერთი კარი ჰქონდა. როგორც მერე გაირკვა, ეს ნაგებობა აშენებული იყო პატარა აუზის გარშემო, რომელშიც სწორედ ის სასწაულმოქმედი წყარო ჩაედინებოდა. მომცრო აუზს ორივე მხრიდან რამდენიმე საფეხურიანი კიბე ჩაუყვებოდა. მომლოცველნი, წყალში ერთი მხრიდან ჩადიოდნენ, შემდეგ სამჯერ ყვინთავდნენ შიგ და თან მოკლე ლოცვას წარმოთქვამდნენ, ხოლო მერე მეორე მხრიდან ამოდისოდნენ. იქვე, კუთხეში, იყო მოწყობილი, ასევე მომცრო, ღია ოთახი, სადაც ხალხი იცვლიდა და იმშრალედა. თვითონ სანათლავეში კი ისე ბნელოდა, რომ წყლის ხმა უფრო „ჩანდა“, ვიდრე საფეხურები. შუქრიდილთა თამაში, წყლის შხეფები, შეძახილები ლოცვისას და მთლიანობაში აღუნერელი გარემო, საოცარ მისტიკას ქმნიდნენ.

– აი, ესენი არიან, ძმები ვარძიელები. – უცებ გამომარკვია ვილაცის ნაცნობმა ხმამ და ეგრევე მივხვდი, რომ ისევ ის დაცურებული ქალი ღადაობდა ჩვენზე. როგორც მერე აღმოვაჩინე, თურმე ის დიდი ხალისით უხსნიდა, რიგში ჩვენზე წინ მდგომ უცხოეთიდან ჩამოსულ ქართველთა ოჯახს, რომელთაც თხუთმეტ წელზე მეტია სამშობლოში აღარ უცხოვრიათ და მათმა შვილებმა კი მშობლიური ენა საერთოდ არ იცოდნენ, თუ როგორ აღვმოჩნდით მე და ჩემი ძმა ბოდბეში. მაგარი სახალისო ამბავია რა, პირდაპირ. თუმცა მისთვის და თქვენ წარმოიდგინეთ იმ თითქმის გაუცხოებელი ქართველებისთვისაც, ეს ყოველივე ფრიად თავშესაქცევი აღმოჩნდა, რადგან ეს უკანასკნელნი, ყოველივე მოსმენილს თავის ნაშიერთ უთარგმნიდნენ, ისინი კიდეც გერმანული აქცენტით ხარხარებდნენ. ნეტა რა აცინებდათ? აბა, ერთი ჩვენთვის ეკითხათ, რა მაგრა გვეხატებოდა გულზე იქ, იმ

ქალის ბუთური და მაგათი სულაც ვერ ღადავი? თან გერმანელები ბავშვობიდან არ მევახებოდა.

– ეს ქალი თუ არ გაჩერდება, იცოდე გავგუდავ. ჩემი გამჭირვებია და ეგ ნახე რა დღეშია?! კაცი არ გამაზა ტო, რომ ჩვენზე არ აკაიფოს. – ვითომ დავასწარი ჩემს ძმას ამ სიტყვების თქმა, თუმცა მის დუმილში უფრო მეტი დაძაბულობა იგრძნობოდა, ვიდრე ჩემს „თანხმობებში“.

– აბა, ახლა მაინც ამყევით ძმებო ვარძიელებო, თუ სულ აგერიათ გონება? ვაი, რა კარგი საჩინო, რა ავად მიგიჩნიესო... – წამოიწყო საგალობელი და თან ჯერ ერთი თვალი ჩაუკრა თავის ახლად შეძენილ მოგერმანელო მეგობრებს, ვითომცდა, ეხლა ნახე, ამათ რა ვუყო და მერე, მეორე თაველიც ჩაუპაჭუნა, ჰე ბიჭო, თქვენ მაინც ამყევით, თორემ ხომ ხედავთ, ესენი ღმერთს არ უქნიაო. და იმათმაც დაიწყეს ქართულ-გერმანული ზმუილი და იმ წმინდა ადგილზე რომ არ ვმდგარიყავით, მე ვიცი, რა ფილმის გახმოვანებასაც შევთავაზებდი მაგათ.

– წავალ და სადმე წყალს ვიშოვი. – ველარ გაუძლო ჩემმა ძმამ იქაურ კაკაფონიას და დამტოვა მარტო, ჩვენს ახლად გამომცხვარ ოკუპანტებთან ერთად. ვლოცულობდი, ღმერთო შენ შემაძლებინე-მეთქი და ისინი კიდევ სულ უფრო ახლოს მოიწვედნენ. ბოლოს ჩემს გვერდითაც აღმოჩნდნენ ყველანი, ალყა შემომარტყეს და დაცურებულმა ქალმაც უმაღლესი გამანადგურებელი იერიში მოიტანა ჩემზე. ფაქტიურად, მეორედ მომატყუა ერთი და იმევე ფინტი: აბა, ახლა ყველამ ხელები ჩავჭიდოთ ერთმანეთს და მამაო ჩვენო ვთქვათო. ამის თქმა იყო, მტაცეს ოფლიანი ხელისგულები და ნამდვილად არ ვიცი, სადამდე გაგრძელდებოდა ჩვენი ეს ერთობლივი ლოცვა, თუ წვალემა, მართლაც რომ ღვთისნიერ გიღს არ დაეძახა, მოემზადეთ ჩვენი შესვლის ჯერიც დგებაო.


– ჰე, ბიჭო სადა ხარ აქამდე? ჩვენი შესვლის ჯერია. – ეს სიტყვები ნაწილ-ნაწილ წარმოვთქვი, რადგან შუალედებში ცივ წყალს ვიყუდებდი და ყელს ვიგრილებდი.

– რას მეჩხუბები? წყალს ხომ კარგად ყლურნავ? ბიჭო, მოდი, ორი კვართი ვიყიდოთ რა, თორემ შენ მართლა სველი რომ ჩაიცვა, შეიძლება ადგილზე გათავდე. – ჭეშმარიტად ბრძნული რჩევა მომცა ჩემმა ძმამ და დღემდე არ ვიცი, რატომ გადაწყვიტა, რომ მაინცდამაინც მე უნდა ჩამეცვა სველი კვართი და არა მას.

– ბაზარი არ არის ტო. შენ ოღონდ იქ შემიყვანე და თუგინდ, საერთოდაც არაფერს ჩავიცვამ. – უკბილოდ ვიხუმრე და ყურადღება რომ მეტად აღარ გაემახვილებინა ჩემს სულელურ ფრაზაზე, სანათლავის შესასვლელს მივაჩერდი, ვითომცდა, რაღაცას ველოდებოდი.

არადა, მართლა ერთი სული მქონდა, როდის განვიბანდი იმ სასწაულმოქმედ წყალში. სიმართლე გითხრათ, იმდენი ლოდინისა და წვალეების შემდეგ, ჩემთვის უკვე ნამდვილად აღარანაირი აზრი აღარ ჰქონდა, დამარტყავდა გული თუ არა. აღარც იმისი მეჯერა, რომ ამდენჯერ „დაცემის“ შემდეგ, რამენაირი მაღლი მაინც თუ გადმოვიდოდა ჩემზე, მაგრამ რაც მოსახდენია, ის არ ამცდება-მეთქი, მტკიცედ დავიჟინე და გათავდა. თანაც რაღაცნაირი ინტერესი გამიჩნდა, ნეტა, მერე რა მოხდება-თქო? შევიგრძნობ სასწაულს, თუ ისევ უღირსად დავრჩები?! ისე, გარდა ამ სპორტული ინტერესისა, რაღაცნაირი სინანულის განცდაც მტანჯავდა. სულ თვალწინ მედგა წმინდანის საფლავი, ღვთისმშობლის მზერა და მოფუსფუსე მონაზვნები. ძალიან მინდოდა, ნაწილობრივ მაინც, მეც ამ სამყაროს ნაწილი გავმხდარიყავი. უფრო მეტი სიმძაფრით შემეგრძნო ის მაღლი, რომელიც აქ ტრიალებდა. უფრო მეტად მენანა შეცოდებანი ჩემნი და უფრო მეტი სიმხურვალით მელოცა შენდობისთვის. შემდეგ კი, უფრო მეტივე ბედნიერებით მეგრძნო





უფლის წყალობა, ისეთ მარტივ მოვლენებსა და ნივთებში, როგორც იყო მზის სხივების ნათება და მწვანე ბალახი. და იქნებ, მერე ჩემზეც გადმოსულიყო მადლი. ან კი სულაც, ჩემი აქ მოხვედრაც, ღვთის მადლი იყო. იქნებ, რაღაც მჭირდა და მე, ჩემდა უნებურად, აქ მოლოცვითა და განბანვით ვიკურნებოდი სნეულებისგან, ისე რომ, ამას ვერც კი ვხვდებოდი? და შესაძლებელია, სწორედ ეს იყო მიზეზი, ჩემი აქ მოხვედრისა?! ჟრუანტელმა დამიარა და გავყუჩდი.

ჩვენმა ჯერმაც მოატანა და ჩვენთვისაც გაიღო სანათლავის კარი. ჩემმა ცოდვილმა ფეხმაც გადააბიჯა იქაურ ზღურბლს და რაღაი მეხი არ დამეცა მე ცოდვილს, ცოტათი შევგულიანდი კიდევ. იქ კი, ზუსტად ის გარემო დამხვდა, რაც ზემოთ აღვწერე. მსწრაფლ გავიძრე სამოსი, გადავიცვი ახლად შეძენილი კვართი, წარმოვთქვი მოკლე ლოცვა, პირფვარი გარდავისახე და აუზში ჩამავალ საფეხურებს ჩავუყევი. როცა სისველე მუხლებს მომწვდა, ზუსტად მივხვდი, რომ მცნება „ცივი“ ჩემთვის სულ სხვა და თანაც საკმაოდ მცდარი განმარტება გახლდათ. ნელს ქვემოთ რომ ჩავედი, სიტყვა „ცივი“ საერთოდაც დავამიწყდა. დამრჩა მხოლოდ აჩქარებული სუნთქვა და გახშირებული გულისცემა. მკერდამდე რომ მომწვდა წყალი, დანამდვილებით ვიფიქრე, რომ მეორე მხარეს გამსვლელი მე აღარ ვიყავი. ცივი და ცხელი კიდევ, პირადად მე, ბავშვობიდანვე მერეოდა. მაგრამ ჰოი, საოცრებავ?! თითქოს ტუჩები თავისთავად ამოძრავდნენ და ჩემ და უნებურად წარმოთქვეს სასწაულმოქმედ წყალში განბანვის სათქმელი ლოცვა. მერე კი, თითქოს ყველაფერი თავისთავად მოხდა. მართალია, აღარ მახსოვს სამჯერ როგორ ჩავყვინთე იმ ყინულიან წყალში, მაგრამ იქიდან ამოსულმა, მართლაც რომ კიდევ ერთხელ ვირწმუნე უფლისა და მივხვდი, რომ ის იმაზე მეტად უფრო მიმტევებელი იყო, ვიდრე მეგონა.

მოკლედ, საბოლოოდ, მშვიდობით დასრულდა ყველაფერი. ეს რაღა თქმა, უნდა ჩემთვის, თორემ დანარჩენთათვის არა მგონი თავიდანვე პრობლემა ყოფილიყო იქ განბანვა. მჭიდროდ დავახვიეთ ჩვენი სველი კვარტები და „მარშრუტკას“ მივაშურეთ. რაც მართალია მართალია, შეგროვებაზე დიდი დრო ნამდვილად აღარ დავვიხარჯავს, რადგან ერთმენეთის თანმიმდევრობით შევედით განსაბანად. ის დაცურებული ქალი ისევ ჩვენ წინ დაჯდა და ჯერ ამოსულიც არ იყო, რომ ძმებ ვარძიელებს დავგინყო თვალთ ძებნა. აღარც ჩვენ გვინვალეებია დიდხანს და პირადად მე, მეგობრულადაც კი დავუქნიე ხელი, აქა ვართ-მეთქი. იმანაც, მექანიკურად ჩვენსკენ მოაშურა და სანამ სატრაპეზოდ შერჩეულ ადგილს მივადგებოდი, ყურები გამოგვიჭედა თავისი შთაბეჭდილებებით. არადა, მიუხედავად უცნაური ლაპარაკისა, მისი შეგრძნებები და განცდები აშკარად უფრო ფერადი და მსუყე იყო, ვიდრე ჩემი. გამიკვირდა, ერთი პირი ისიც გავიფიქრე, რამე ხომ არ მეშლებოდა, ამ ქალთან მიმართებაში-მეთქი, მაგრამ ტელეფონის ნომრების გაცვლა რომ შემომთავაზა, უმალ თეთრი ბილეთის მფლობელი გავხადე. აბა, ახლა მინდოდა მე, ამასთან კიდევ ერთხელ შეყრა? მერე ცოტაოდენ ვიმგზავრეთ და გიდისგან წინასწარ შერჩეულ ადგილზე გავჩერდით, სადაც ბუნების წიაღში, სახელდახელოდ იყო მოწყობილი ხის პატარა მაგიდა და სკამები. სუფრაც მალევე გაიშალა და ამოიღო ყველამ თავისი ულუფა საჭმელი. ჩვენც ჩვენნილ ამოვალაგეთ საკუთარი ხურჯინების შიგთავსი და ვგონებ, სხვა არც არაფერი იდო მაგიდაზე.

და ჩვენც დავცხეთ. წარმოიდგინეთ სცენა: მე და ჩემი ძმა მადიანად ვილუკმებით, პირში ვიტენით, რაც კი შეგვეტევა და სხვა ყველა დანარჩენი კი სდუმან და ჩვენ მოგვჩერებიან. და ჩვენც, რაღაც გაურკვეველობაში მოყოლილნი, უნებურად ვჩერდებით და შევცქერით ჯერ ერთმანეთს, მერე სხვა დანარჩენთ. ისინი კი, თითქოს ჩვენი პაუზით ისარგებლესო, იწყებენ

საკვების მიღების წინ სათქმელ ლოცვას. და იშლება საოცარი სანახაობა უცხო თვალისთვის, რომელიც, სამწუხაროდ, იქ არ იყო და ვერ გვიყურებდა. მე და ჩემი ძმა ვზივართ პირგამოტენილნი, იმას ქათმის ფრთა მოუჩანს პირიდან, მე კიდევ ბარკალის გადანახსენი ხაჭაპურის ნაჭერითურთ. სხვა თანამეინახენი კი მორჩილად ლოცულობენ და საკვებისკენ არც იხედებიან. პირდაპირ საიდუმლო სერობის სრულიად სანინააღმდეგო ტრაპეზის სცენაა. მე, რაღა თქმა უნდა, ამ უეცარი სილით შეცბუნებული, ძვლიანად ვყლაპავ ჩემს პირში გაჩრილ ბარკალს და ჩემი ძმა კიდევ, უშნოდ გამოშვერილ ფრთას პამიდორით იტენის დანიშნულების ადგილზე. აბა, მეტი რაღა უნდა გვექნა? „ამინ“-ის თქმალა მოვასწარით და იმ მორწმუნე ხალხმა კიდევ ლოცვა რომ გაასრულა, ჩვენ უკვე კარგად დანაყრებულნი გახლდით.

– რა მადიანი ჭამა გცოდნიათ ძმებო ვარძიელებო?! ღმერთმა შეგარგოთ, რას ილუკებით?! – ლუკმა ყელში გამეჩხირა და გავწითლდი. ახლა ამან უნდა მითვალოს-მეთქი ნაჭრები, გავიფიქრე, მაგრამ აღარაფერი ვთქვი. თუ უხარია, დაე, ითვალოს?! ის კიდევ არ გაჩერდა და თან ჩვენი ყველის ჭამას შეუდგა. არა, განა ყველს ჩიოდა ვინმე, უბრალოდ თან სქლად ჭამდა და თან ისევ ჩვენზე ლადაობდა.

– ვითომ ახლა ყველანი ვარძიაში ვართ და ვტრაპეზობთ არა?! ხომ მოგწონთ ვარძია, ძმებო ვარძიელებო?! მართლაც, რომ არაჩვეულებრივი ადგილია, არა? ხა, ხა, ხა... – სისხლი გაგვიშროო, სწორედაც რომ ამაზე იყო ნათქვამი და ამანაც, პირნათლად შეასრულა თავისი მოვალეობა.

– აუ, სიმონ, ეს ქალი როდესმე მორჩება ჩვენზე ლადაობას? – უკვე იმედდაკარგულმა ვკითხე ჩემს ძმას და სუფრიდან წამოვდექი. არანაირი აზრი აღარ ჰქონდა ჩვენს იქ ყოფნას, რადგან წინასწარვე ვიცოდი, რომ დაცურებული ქალი, რაღაი მსმენელს დაიგულეებდა, უმალ დაუკრეფავში გადავიდოდა და ისევ ჩვენი გაქილიკებით დაიწყებდა თავის შექცევას.

– კაი, გაუშვი. წამო გავისეირნოთ და თან გავაბოლოთ. აქ რაღაცნაირად, სიგარეტის მოწვევაც ტეხავს. – აშკარად ჩემი ძმაც დათრგუნული იყო და ჩვენც გავისეირნეთ. გავიარეთ იქით, გამოვიარეთ აქეთ, გავაბოლო-გამოვაბოლოთ და მერე უკვე გიდმაც დაგვიძახა, წავედითო. ჩვენც მეტი რა გვინდოდა? სუფრა უკვე აელაგებინათ, ნაგავი დაესაწყობებინათ და ახლა ჩვენლა გველოდენ მადლობის სათქმელად. სამწუხაროდ, მადლობა არავის მოუხდია. მეტიც, ისე დავიძარით, ზედაც არ შემოუხედავთ. იჯდნენ გატრუნულ-გამაძღრები და ყველა თავის ფანჯარას მისჩერებოდა.


და უეცრად მივხვდი, რომ რაღაც მაკლდა. უფრო სწორედ კი, ის დაცურებული ქალი არ ჩანდა არსად. ჩემს ძმას გადავხედე შეშფოთებულმა, ის სად არის-მეთქი, იმან კიდევ მხრები აიჩეჩა.

– და, ისა, აი, ის ქალბატონი ხომ არ დაგვრჩა, აი, სიმღერა რომ უყვარს?! – მორიდებით ვიკითხე და პასუხს დაველოდე. რაც უნდა გასაკვირი იყოს, ჩემს კითხვას არავინ გამოხმაურებია. შეშფოთებული წამოვდექი და პირდაპირ გიდთან მივედი, რომელიც მძლოლის გვერდით იჯდა.

– არც თქვენ გინახიათ, აი, ის მხიარული ქალბატონი, ჩვენ რომ ძმებ ვარძიელებს გვეძახდა? ტრაპეზის მერე ყველა ჩაჯდა „მარშუტკაში“? – მივაყარე კითხვები და ნათლივ დავინახე მის სახეზე, როგორ ცვლის შფოთი ადამიანის ნაკვთებს. „გააჩერეთ მანქანა“-ო იკივლა განწირული ხმით და თითქოს უმალ ყველა გონს მოეგო. ატყდა ერთი ყაყანი და ფორიაქი, ვაიმე, ეს რა მოგვივიდა, მგზავრი როგორ დაგვრჩაო.

დავინწყეთ ძებნა. ჯერ მანქანა მოვაბრუნეთ და გზას დავუნწყეთ თვალთვლიერება, მერე კი იმ ადგილს მივადექით, სადაც ტრაპეზი გვექონდა გამართული. გამოცდილი მაშველებივით რამდენიმე ჯგუფად გავიყავით და სამი მიმართულებით დავინწყეთ დაკარგული თანამგზავრის ძებნა. მე და ჩემი ძმა, –





რალა თქმა უნდა, ერთ „სამაშველო რაზმში“ აღვმოჩნდით. რომ გითხრათ, დიდი ენთუზიაზმით გამოვიჩეოდით-თქო, მოგატყუებთ, მაგრამ სუფთა ადამიანური პრინციპებიდან გამომდინარე, ხმა ნამდვილად არ დაგვიზოგავს და „ქალბატონოს“ დაუზარებლად გავიძახოდით. როგორც მერე აღმოჩნდა, სახელი არავინ იცოდა და ამიტომაც, ამ ზოგადი სიტყვით შემოვიფარგლებოდით. რაც შეეხება ჩვენს ენთუზიაზმს, აქ კი თავად განსაჯეთ, როგორი მონდომებულები ვიქნებოდით, როდესაც მთელი გზა ჩვენი გაქილიკებით ირთობდა თავს?

– ისე გაასწორა არა, რომ დაიკარგა? – ბოროტად ვიხუმრე და მუჯღუგუნი გავკარი ჩემს ძმას. იმან კი, რალაცნაირი, ნაწყენი სახით შემომხედა და თავი გააქნია.


– ერთი შენი ვინმე ყოფილიყო, მერე ნახავდი, როგორ გაასწორებდა, როცა გაიგებდი, რომ ტყეში დარჩათ თანამგზავრებს?! რას ერჩი, თავისებურად უბერავდა რა, ცუდს ხომ არაფერს შვრებოდა. – დათვის ნათესავით კი გამოუვიდა და თითქოს, ზედმეტსახელი „ძმები ვარძიელები“-ც მხოლოდ მე მეკუთვნოდა. მენყინასავით, მაგრამ აღარაფერი მიპასუხია და გზა განვაგრძე.

ოც წუთში სრულიად ავითვისეთ ის ტერიტორია, რომელიც ჩვენს პერიმეტრში შედიოდა და ყოვლად უშედეგოდაც, რადგან დაცურებული ქალის ნიშანსაც კი ვერსად მივაგენით. ასეთივე წარუმატებელი აღმოჩნდა სხვა ორი ჯგუფის სამაშველო ოპერაციაც და ერთად რომ შევიკრიბეთ, მიინდა, გითხრათ, სახეში ვერ ვუყურებდით ერთმანეთს. ყველას დაუფარავი სინდისის ქენჯნა და შიშნარევი ფორიაქი სტანჯავდა. სამაშველო სამუშაოების მეორე ეტაპი თეორიათა და ვერსიათა ჩამოყალიბებაში გამოიხატა. ანუ ყველა ცდილობდა, პასუხისმგებლობა მოეხსნა საკუთარი თავიდან და დაცურებული ქალის გაუჩინარებისთან დაკავშირებით ყველასთვის „მე რა შუაში ვარ“ ვერსია მოედებნა. ერთმა თქვა, ეტყობა, ნაცნობი შეხვდა ვინმე და იმათ გაჰყვაო. მაგრამ არ დაუჯერეს. მაშინ მეორემ, ალბათ იმ გერმანელებმა მოაკითხეს და თავისთან წაიყვანესო. ამას გერმანულადვე გასცეს პასუხი და ეს ენა რამდენად უხეშია, თავადაც იცით. მესამემ კი, ნამდვილად ჩვენ გვეძებდა და რომ ვერ გვიპოვა, პატრულმა წაიყვანაო. ამ ფრაზაზე კი რატომღაც ყველამ მე და ჩემს ძმას შემოგვხედა, თითქოსდა იმ ქალის დაკარგვა ჩვენი უყურადღებობის ბრალი ყოფილიყო. მაგრამ არც მე დავიბენი და მგლებმა შეჭამეს-მეთქი, თავი ვიმართლე. მოკლედ, არ ვიცი, სადამდე გაგრძელდებოდა, ეს ჩვენი ფუჭი ყბედობა, ისევ თვალმდარისსხლიანებულ მძლოლს რომ არ ევაჟკაცა და შემდეგი აქსიომა არ წამოეყენებინა.

– ეგ ჩემისა, იმდენს ბჟუტურობდა, რომ ეტყობა, სულ დაუსტვინა. ადგა და წავიდა მამაჩემის მამასთანა. ჰო, ჰო, აი, ეგრე რა, მოეხოშა და წავიდა. ხელი დაუქნია სხვა მარშუტკასა, შეხტა შიგა და მორჩა. თქვენა კიდევა დამდგარხართ და თავებს იმტვრევთ. დასხედით ახლა ყველანი და წაველით, დროზე აქედანა, თორემა მეზობლის ორმოცზე მაგვიანდება და საკლავი მყავ დასაკლავი. – იმდენი დამაჯერებლობა და ქარიზმა იგრძნობოდა ამ კაცის სიტყვებში, ის ქალი ახლა რომ გამოჩენილიყო, ნამდვილად ქვების სროლას დაუნყებდნენ, გასწი აქედან, დაიკარგეო. რალა გაენყობოდა, კაცს ორმოცზე ეჩქარებოდა, ის უნამუსო ქალი კი თავხედურად იგვიანებდა და ალოდინებდა ამ პატიოსან ადამიანს. აი, ეს კი სწორედ ის არგუმენტი იყო, რომელზეც ყველა უსიტყვოდ შეჯერდა და ჩვენც დავიძარით. მძლოლმაც უმაღ „ბლატნოი“ სიმღერები ჩართო და მის მერე, ის საწყალი ქალი აღარც არავის გახსენებია.

ამ ამბის მერე რამდენიმე წელი გავიდა, მაგრამ კვირა არ გაივლიდა,

იმ დაცურებული ქალის გაუჩინარების ამბავი არ გამხსენებოდა. ათასი თითქოსდა „არაფერშია“ ასოციაცია ჩემს ფიქრებს იმ გაურკვეველი ამბისკენ აბრუნებდა და ჩემი გულიც ძალუმად იკუმშებოდა. მოკლედ, ხან ხაჭაპურის ჭამისას გამახსენდებოდა ის ქალი, ხანაც ეკლესიაში შესვლისას და აბა, ახლა თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ, რამდენ მოვლენასა თუ საგანთა ვარიაციას შეეძლო ჩემში აღედრა მოგონებანი იმ უცნაური დღისა?! არა, განა თავს ვიდანაშაულებდი რამეში ან სინდისი მქენჯნიდა, უბრალოდ, რატომღაც დამამახსოვრდა ის დღე და ახლა ნამდვილად მერჩინა, რომ მაშინ იმ ქალის უკბილო ხუმრობებზე ნაკლები ყურადღება გამემახვილებინა, ვიდრე უნინ. ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, აი, ისეთი განცდა მქონდა, ჯერ რომ იტყვი და მერე ინანებ. უფრო ზუსტად კი, აი, გარდაცვლილთა მიმართ რომ განცდა უჩნდებათ ხოლმე, იქნებ ნაკლები მენწყინებინა და მეტს მოვფერებოდი.



მერე კიდევ რამდენიმე წელი გავიდა და ეს ამბავიც ნელ-ნელა მივიწყებას მიეცა. მეც ალბათ სხვანაირი გავხდი და ჩემი მოგონებანიც უფრო ახალი გახდა ვიდრე ძველი. ანუ ასაკის მატებასთან ერთად ადამიანის მეხსიერებაც უფრო უკანასკნელ მოვლენათა დაფიქსირებით შემოიფარგლება, ვიდრე წლების წინ განვლილ დღეთა აღდგენით. ეს ბავშვობაშია მხოლოდ, ყველაფერი რომ დღევანდელი დღესავით გახსოვს, თორემ მერე, მხოლოდ იმ წლის მოგონებებსღა თუ ერევი და იტევ. ერთ დღესაც, ისევ მომინია სილნალში ნასვლა რალაც სამსახურებრივ საქმეზე. ვიცოდი, რომ ერთი საათის საქმე მქონდა და ამიტომ, ოჯახიც თან წავიყვანე. სანამ მე ჩემს საქმეებს ვაგვარებდი, ცოლ-შვილი სილნალს ათვალეირებდა, ხოლო როდესაც განვთავისუფლდი, ყველამ ერთად ბოდბის დედათა მონასტერისაკენ გავსწიეთ. ვერანაირად ვერ გავუშვებდი ხელიდან ამ შემთხვევას – იმ მხარეში მოვხვედრილიყავი და წმინდა ნინოს საფლავი არ მომელოცა. სწორედ იმ ხატთან არ ჩამემუხლა, რომელმაც ისმინა ჩემი ლოცვები და მშვიდობით მოალოგინა ჩემი მეუღლე. თანაც, ოჯახიც თან მახლდა და როგორც აღმოჩნდა, მოსაყოლიც ბევრი რამ მქონდა მათთვის. ამჯერად პირიქით მოგვინია და ჯერ სასწაულმოქმედ წყაროში განვიბანეთ და მერე ავედით მონასტერში მოსალოცად. გზადაგზა, ჩემს მეუღლეს სულ იმ ამბავს ვუყვებოდი, რაც წინა ჩამოსვლაზე მე და ჩემს ძმას გადაგვხდა და სევდანარევი იუმორით ვცდილობდი, დეტალებში გამეხსენებინა ყოველი. ბევრი ვიხალისეთ სანამ მონასტერში ავედით და უფრო მეტი ჩემს გულში ვიცინე საკუთარ თავსა და იმდროინდელ ჩემს სიყეყეჩეზე. იქ კი თითქოს არც არაფერი შეცვლილიყოს. ისევ ის განსაკუთრებული წესრიგი, ყვავილების „ათასფერით“ მოხატული საყდარი და საგნების განლაგებაშიც კი საგრძნობი ქალური სანწყისი სუფევდა. უბედნიერესი ვიყავი, რომ კიდევ ერთხელ ვეზიარებოდი ყველაფერ ამას და თან ახლა ჩემს ცოლ-შვილთან ერთად. საათზე მეტი დავყავით უფლის ამ კიდევ ერთ დიდებულ სავანეში და უკვე წამოსასვლელად ვემზადებოდით, როდესაც ერთი, შუა ხნის მონაზონი მოგვიახლოვდა და სალამი მოგვცა.

– ღმერთმა დაგლოცოთ შვილებო და მშვიდობა მოგცეთ. ეს რა ლამაზი გოგო-ბიჭები გყოლიათ. აი, მე თქვენ წმინდა ნინოს ხსენების დღეზე, მის საფლავთან დანთებული სანთლები უნდა გაჩუქოთ. აიღეთ, აიღეთ შვილებო და როცა კი განსაცდელში იგრძნოთ თავი, დაანთეთ და ევედრეთ ქართველთა განმაქრისტიანებელს შენევენაზე. და ისიც შეგეწევათ, ნამდვილად შეგეწევათ. აჰა, გამომართვით და დედ-მამასაც გაუნანილეთ. – ქალი დაიხარა, ბავშვებს სამ-სამი სანთელი მიანოდა და სამივეს თავზე ეამბორა. შემდეგ მე და ჩემს მეუღლეს მოგვიტრიალდა, ოდნავ შესამჩნევად გაგვიღიმა და თავის დაკვრით დაგვემშვიდობა. აუჩქარებლად გაგვშორდა და რამდენიმე ნაბიჯიც არ ჰქონდა გადადგმული, რომ გალობა წამოიწყა: ტყუეთა გან-

მათავისუფლებელი... დიდო მონამეო გიორგი... შეწყალებად სულთა ჩუენ-
თათვის...



– აუ, დედას გეფიცები, ეს ის ქალი თუ არ იყოს, წელან რომ გიყვებოდი.
ვააა... დიდება უფალს. – ჯერ თვალები გამახსენდა, მერე ხმა და ბოლოს
მიხვრა-მოხვრაც კი ვიცანი. მართალია, სულ ერთხელ შემომხედა თვა-
ლებში, სულ რამდენიმე სიტყვა შემომესმა მისი გალობიდან და თვალის მ-
ოლოდ რაღაც ნამებით ვკიდე მის სილუეტს, მაგრამ არანაირი ეჭვი აღარ
მქონდა, რომ ეს სწორედ ის ქალი იყო, რომელიც მაშინ ტყეში... და ის ახლა
კარგად იყო!

ყველაფერი ერთბაშად დამიტრიალდა თავში. მოგონებები, განცდები,
ფიქრები და რეალობა. თან უსაზღვროდ გამიხარდა და თან რაღაცნაირმა
უცნაურმა ფორიაქმა შემიპყრო. გამიხარდა, რომ ის კარგად იყო და თან
ღმერთს ემსახურებოდა და ავფორიაქდი, რომ არ ვიცო... ალბათ, წარსულში
ჩემს მიერ წარმოთქმულმა სიტყვებმა შემანუხა. ყველაზე მეტად კი სიტყვამ
„დაცურებული“. ძალიან შემეზარა საკუთარი თავი და გულით მომინდა, რომ
დავწეოდი, მუხლებში ჩავვარდნოდი და ბოდიში მომეხადა იმ სიტყვების-
ვის, რომლებიც მისთვის არ მითქვამს. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ყველაფერი
ვერ შევძელი და ვერ გავბედე. ვიდექი ასე, გახევებული და ვუმზერდი ფუ-
ჭად გასროლილ სიტყვათა ჩრდილებს, რომელთაც ფონი არ უჩანდათ.

– მამიკო, წავიდეთ რა სახლში, ძალიან დავიღალე. – ბავშვის ხმამ გა-
მომაფხიზლა, რომელიც გაფართოებული თვალებით მომჩერებოდა და
მკლავზე მექაჩებოდა. მაშინ ხომ, პირველად რომ აქ მოვხვდი, სწორედ მის
ამქვეყნად მშვიდობით მოვლინებაზე ვლოცულობდი?!

– წავიდეთ. – ბავშვი კისერზე შევისვი და მეუღლეს ხელი ჩავჭიდე. და-
წარჩენი შვილები წინ წავიმძღვარე და ისე გავედით ყველანი მონასტრის
ეზოდან, რომ უკან არც ერთს არ მოგვიხედავს. თურმე რამდენი დრო გა-
სულა?!

და თურმე ღმერთი მას რისთვის ამზადებდა და მე კიდევ რა მეგონა?!

უფალო შემწყალე.

„ინტელექტი“ გთავაზობთ



მაკა ჯორჯაძე

„სამოთხე უსიყვარულოდ“

„სამოთხე უსიყვარულოდ“ – ეს ერთი შეხედვით პარადოქსული სა-
თაური მაკა ჯორჯაძემ შემთხვევით არ დაარქვა თავისი ესეებისა და ლიტე-
რატურული წერილების ახალ წიგნს – როგორც მწერალი და როგორც
პიროვნება ყველაზე დიდ საფრთხეს სწორედ სიყვარულის უკმარობაში ხე-
დავს. ამიტომაც, რომ არა მხოლოდ სამყაროსეული ყოველნამიერი ხედვა,
არამედ მაკა ჯორჯაძის მეხსიერებაც კი ამ დიდი სიყვარულითაა სავსე და
გაუღენთილი.

ქრისტინე ბეზია

შარფი

ერთი გოგო იყო. უყვარდა დედიკო.

უყვარდა სალამო ჟამს დედიკოსთან ერთად სავარძელში მყუდროდ მოკალათება. თვალეზღაფეტილი უყურებდა, როგორ ქსოვდა დედა.

– ჩემო დედიკო, მეც მინდა ქსოვა.

– გასწავლი, მაგრამ როცა დრო მოვა.

ძალიან პატარა იყო გოგო და ქსოვისთვის მისი თითები იყო ცოდო.

ხანი გამოხდა. გაიზარდა გოგონა ცოტა.

ისევ უყვარდა სალამო ჟამს დედიკოსთან ერთად სავარძელში მყუდროდ მოკალათება. თვალეზღაფეტილი უყურებდა, როგორ ქსოვდა დედა.

– ჩემო დედიკო, ქსოვა მეც მასწავლე, რა.

– გასწავლი, მაგრამ ჯერ-არა. ადრეა.

ჯერ კიდევ პატარა იყო გოგო და ქსოვისთვის მისი თითები იყო ცოდო.

კიდევ გავიდა დრო. გაიზარდა გოგო.

ძველებურად უყვარდა სალამოს დედიკოსთან ერთად სავარძელში მყუდროდ მოკალათება. თვალეზღაფეტილი უყურებდა, როგორ ქსოვდა დედა. იხიბლებოდა დედის თითების სწრაფი თამაშით.

– ჩემო საყვარელო, უკვე დრო არის. ქსოვას გასწავლი. უფრო ახლოს მოდი, მომიჩოჩდი. არ მომაცილო თვალი. დააკვირდი: აი, როგორ უნდა ამოიყვანო თვალი.

წლები გარბოდა. ბევრი რამ მოხდა.

ისევ უყვარდა სალამოს სავარძელში მყუდროდ მოკალათება, მაგრამ არ იყო დედა. მარტო ქსოვდა. დედა მოკვდა.

კოხტად ქსოვდა.

ქსოვდა და ქსოვდა. ძაფი ილეოდა. ნაქსოვში დედაზე ფიქრებს აქსოვდა: გაახსენდა ყველაფერი. ცრემლებით აევსო თვალები, რადგან არ იყო დედა. გაახსენდა, როცა მოსალამოვდებოდა, დედიკოსთან ერთად სავარძელში მყუდროდ მოკალათდებოდა, დედას ჩაეხუტებოდა, მოეფერებოდა, მოესიყვარულებოდა. დედაც იმავე ალერსით პასუხობდა და იმ წუთებში შემოუღობავ ბედნიერებას გრძნობდა. როგორ უხაროდა, დედა რომ ქსოვდა. იცოდა, ეს ყველაფერი წარსულში რჩებოდა და რომ არასდროს განმეორდებოდა, მაგრამ რატომღაც გული არ ტკიოდა. პირიქით, – დედაზე ფიქრები გულზე მალამოდ ედებოდა. თითქოსდა, დედაც მასთან ერთად ქსოვდა.

დედაზე ფიქრს რომ მორჩა, დაასრულა ქსოვაც.

საოცარი გამოვიდა შარფი: თბილი, ფუმფულა, ლამაზი.

„ო, რა მშვენიერია!“

ყელზე მოიხვია. სარკის წინ დადგა. კმაყოფილი დარჩა. მსგავსი ჯერ არაფერი მოექსოვა. საერთოდაც, ვინმეს თუ ჰქონდა. სარკის წინ დგომა არ ბეზრდებოდა. შარფი უხდებოდა. მოსწონდა და იღიმოდა.

მეორე დღით ადგა. ხელ-პირი დაიბანა. თმა დაივარცხნა. საუზმე გაიმზადა. შეჭამა. ჩაიცვა. შარფი მოიხვია. სახლიდან გავიდა.

– რა ლამაზი შარფია! შენი მოქსოვილია?

– კი. წუხელ მოვქსოვე.

– კარგია! ბრავო, შენ!

მეორე მეზობელს შეხვდა.

– დღეს განსაკუთრებულად ლამაზი ხარ! რა ხდება? შარფი ძალიან გიხდება, მე და ჩემმა ღმერთმა!





გადასძახ-გადმოძახეს მეზობლებმა ერთმანეთს.
ბევრი აქეს. კომპლიმენტები დააყარეს.
– რა ლამაზი შარფი მოუქსოვია, ნახეთ!
– არ გვეგონა, თუ ქსოვდი ასე.
– გეფიცები, მსგავსი არაფერი მინახავს!
– ნეტავ, ასეთი ლამაზი შარფი ვინმეს აქვს?!
გამოეპარა გოგო მეზობლებს. ამაყად გაუყვა ქუჩის ბილიკებს.
ხალხი ქუჩაში მოძრაობას წყვეტდა. ლამაზშარფმობხვეულ გოგონას
უყურებდა. თვალს აყოლებდა. ყოველი მხრიდან უმზერდა. ცხადად თუ
მალულად უჭვრიტინებდა. ყველა დიდ ინტერესს იჩენდა.
ავტობუსი გაჩერდა. ავიდა. იგივე სიტუაცია შეიქმნა.
სამსახურში მივიდა და იქ ამბავი იქნა?!
– ეს შარფი საიდან?
– ახალია?
– შენი მოქსოვილია?
– რა „უზორია“?
– გოგოებო, ნახეთ, რა უშრომია!
– საოცარი შარფია!
– შენნაირი შარფი არავის უკეთია, დარწმუნებულები ვართ.
– შენი კეთილი შურით გვშურს, როგორც იტყვიან.
მოკლედ რომ ითქვას, ყველგან ყველას ყურადღება მიიქცია შარფმა.
მთელი ქალაქი გოგონას საოცარ შარფზე ალაპარაკდა. მსგავსი შარფი არა-
ვის არავის კისერზე არ ენახა მანამ. ლამაზი შარფი ბევრს მოუქსოვია, მა-
გრამ გოგოს შარფის მაგვარი – არა. გოგოს შარფი ლეგენდად იქცა. როგორ
მოქსოვა, რანაირად, საიდან, – უკვირდათ. შარფი ასეთი რატომ გამოვიდა,
ნეტავ, თავად გოგო თუ მიხვდა.

კერძი

უნდა მოვინდომო და გემრიელი კერძი გავაკეთოო, – გადანყვეტილება მიიღო.

და დაიწყო:

ინგრედიენტები ერთმანეთში აურიო. რალაც გათქვიფა, რალაც ჩააჭყ-
ლიტა, რალაც მოხარშა, რალაც მოხრაკა, რალაც გაფცქვნა, რალაც დაჭრა,
რალაც ჩაასხა, რალაც გადაღვარა, რალაც დაბეგვა, რალაც შეწვა, რალაც
მიაღესა, რალაც – ესა და რალაც – ისა, შეზილ-მოზილა, მოურია, შეკმაზა
და კერძი გაამზადა. კერძს არომატული სუნი აუვიდა. თავბრუდამხვევმა,
მადისალმძვრელმა სურნელმა ცხვირში შეუხიციანა. კმაყოფილმა გაიღიმა.

გაიფიქრა: „მარილის მოყრა აკლია და უგემრიელესი კერძი გამომივა“.

სამარილე ცარიელი აღმოჩნდა. მარილი არ ჰქონდა, არადა კერძი
მარილის გარეშე რაა, გინდ გიჭამია, გინდ – არა, გემოს მაინც ვერ ჩაატან,
დაგიქვეითებს მადას. კერძს მარილი კი სჭირდება, მაგრამ აუცილებლად
ზომიერად. უმარილო კერძი უგემური არის, ზედმეტად მარილიანი –
უგემურიც და საშიშიც, მთელი რიგი დაავადებების საწყისი.

ამდენი ვიშრომე, მთელი სული და გული ამ კერძში ჩავაქსოვე. მხოლოდ
მარილიღა მაკლია და ერთი მარილის გულისთვის ასეთი გემრიელი კერძი
რომ გავაფუჭო, არ მინდა, – თქვა და მარილზე გავიდა.

კერძი გაცივდა. გავიდა და გავიდა! ნეტა, რა იქნა?!

კერძი ამჟავდა, ის კი ისევ არ ჩანდა, სადღაც გაუჩინარდა.

არსად არ ხდება მარილზე გასულის უკან დაბრუნება! – ეს ასეა და რა
შეიცვლება, დღე და მოსწრება ასე იქნება!



დებიუტი

ბექა კოკაია

ნაამაყარი

ცარიელი ფურცლის შიში ნასვამზე უფრო მოქმედებს...

აშკარად!

როცა მოვლენ მუზები,

ალარ „დავიგრუზები“...

მარა სადაა ასე?

„თუ მუჰამედი არ მიდის მთასთან, მთა მივა მუჰამედთანო“, – ამბობენ...

და მეც ავაგებ გემს, სახელწოდებით „ფანტაზია და მარჯვე ხელები“, შევ-
ცურავ დიდ ზღვაში და

იქვე გადავუშვებ ლუზას,

სადაც შევეყრები მუზას...

ვგრძნობ, რომ ნასვამი ალარ ვარ, ეს უკვე სიმთვრალეა! ჰოდა ერთი
დაასხით (აბა ფხიზელზე ლექსის წერა არც მიცდია)!

მარტო ვსვამდი და სხვადასხვა პარტნიორებს ვარჩევდი წარმოსახვაში.

მერე გავითიშე...

მერე ქეთი გამახსენდა და უფრო შემიყვარდა.

– ლამაზი ხარ, ოხერო!

– შენც... ნვერი გაგიპარსავს.

– გაკოცებ!

– მთვრალი ხარ...

– ხო... – გული ჩამწყდა.

– გენყინა?

– არა!

– გენყინა... – მიახლოვდება.

– არაფერიც არ მწყენ... „უმპუ!!!“ – მკოცნის და მიდის. ვიცი, რომ ხვალ

ისევ მოვა...

სახლში მარტომ დავინყე სმა. დავთვერი. მახსენდებოდა არასტანდარ-
ტულ-გიჟური, ნახევრად იდიოტური, ნახევრად იუმორისტულ-გროტესკუ-
ლი, აზრიანად უაზრო ფრაზები. ვინეჩი გულალმა, თვალები დამეხუჭა და
ჭერში ვიღიმებოდი.

სასაცილო შესახედი ვიყავი... ალბათ...

მერე გული დამესიზმრა, ღამით ზღვის ნაპირას რომ იწვოდა, ლამაზად...

დედა იყო ჩემთვის ყველაზე დიდი მეგობარი და მერე ქეთი.

ერთხელ, პატარა ვიყავი, ასე 3-4 წლის, ჯერ დედა და მამა არც იყვნენ
დაცილებულები, ზოოპარკში გამასეირნეს. მაგრა გავერთე... რომ ვბრუნდე-
ბოდით, დედამ მკითხა, რომელი ცხოველი მოგეწონა ყველაზე მეტადო. მეც
დაუფუქრებლად მივუგე, ნაყინი-თქო. მშობლებს სიცილი აუტყდათ და
უცებ რალაც საშინელი ხმა გავიგეთ. მერე ხალხი მოგროვდა.

„ავარია, ავარია...“

„მგონი სამი კაცი მოკვდა...“

„ახალგაზრდები ყოფილან...“



„მე რომ მოთხრობების წერა
დავინყე, უკვე ყველაფერი
გადაღებული იყო“

„ზუსტად 23 წლის წინ, პარასკევ
დღეს, თბილისის ერთ-ერთ სამშო-
ბიაროში, არ ვიცი რომელში, ერთი
ჩვეულებრივი ბიჭი დაიბადა. თავზე
თმა ჯერ ჰქონდა, თითებს არ იმ-
ტვრევდა და საერთოდ არაფერზე
წერვიულობდა. შენ მარტო იმით
გგავდა, რომ ღამე ცუდად ეძინა.
და კიდევ შენი სახელი ერქვა“.

ეს მოთხრობა ჩემმა ცოლმა დამ-
ინერა მაშინ, როცა 23 წლის ვხდე-
ბოდი. ახლა 26-ის ვარ.

ნუ, პრინციპში ქეთი ჯერ ცოლი
არ იყო, როცა ამას წერდა, მაგრამ
მაგას რა მნიშვნელობა აქვს, ახლა
ხომ ჩემია და ერთობლივი პროექ-
ტი, ლაშა-გიორგიც ხომ გვყავს.

დავიბადე 83-ში, იმ დროს, როცა
მამაჩემის თაობა მოსკოვში 37 მან-
ეთად გადაფრინდებოდა, პახმელი-
აზე გამოვიდოდა და უკან გადმოფ-
რინდებოდა იმ დღესვე.

რომ ნამოვიზარდე და ცნობიერ-
ება გამეხსნა, 9 აპრილიო, აფხა-
ზეთის ომიო, სამოქალაქო ომიო...
მოკლედ, სათამაშოების მაგივრად
პურის ტალონები მეჭირა ხელში.

„ბიჭი 3 წლის რომ იყო, თავისმა
ქურთმა ბაღელებმა ცემეს და
მანამდე არ მოისვენა, სანამ ძმა-
კაცებთან ერთად არ ჩაუსაფრდა
და მაგრად არ ყუყა. 6 წლისამ
მდიდარი მამიკოს ბიჭს ბუცები
აახია, ფეხბურთის აზრზე არ არის



მაინცო. გულში ცოტა რცხვენოდა, მაგრამ რა ექნა, თვითონ ფეხბურთი უაზროდ უყვარდა, არტურას კიდევ ცხოვრებაში გოლი არ ქონდა გატანილი, მით უმეტეს, თავით.“ – აგრძელებს ქეთი წერას და არ შემოძლია არ დავეთანხმო. ძალიან მინდოდა ფეხბურთელობა, მაგრამ 90-იანებში არავის ცხელოდა მაგისტვის და მეც თავის დანებება მომიწია. ისე, რატომ შემოვიყვანეს რუსულ ბაღში, დღემდე ვერ ვხვდები. მცემეს კი არა, იმ ვერზილა ქურთებმა 4 წლის ბავშვი ლურსმნით დამჭრეს და ბოლოს და ბოლოს გადამიყვანეს ქართულ ბაღში.

„ბიჭი 15 წლისა ფეხბურთიდან გამოვიდა. მიზეზის გახსენება არ უყვარს ხოლმე. განსაკუთრებით იმის გახსენებას ვერ იტანს, მწვრთნელმა რომ უთხრა: შენს ძირითად გუნდში გადაყვანას ვაპირებდი, მაგრამ ბაქოს ტურნირზე წამოსვლა დაგეზარა და ფეხბურთი არ გყვარებია ძმაო.“

მერე გადავწყვიტე ჟურნალისტიკაზე ჩაბარება, სპორტული კომენტატორი მაინც გავხდები, აბა, 5 წელი ტყუილად ხომ არ დავსდევდი ბურთს-თქო.

ერთხელ, რუსულის მასწავლებელთან მისატანი ფული ტოტალიზატორში დავდე. 2001 წელი იყო, სამი თამაში გადავაბი. მანჩესტერმა მოიგო, არსენალმაც, დარჩა პორტო-ამადორა.

87-ე წუთი იყო და ამადორა იგებდა პორტოში 1:0... ის ღამე ნერვიულობაში გავათენე. ის ფული რომ წამეგო... ოოოო, ძაან ცუდი იქნებოდა.

მეორე დღეს მივედი ტოტალიზა-

მერე სირენის ხმა იყო და სასწრაფო... მერე მილიცია... მერე ვილაცამ იკივლა და მე ავტირდი.

მთელი დღე შეშინებული ვიყავი.

მერე, სახლში, ძილის წინ, დედა ჩემს საყვარელ ზღაპარს, „უხეიროს“ რომ მიკითხავდა, უცებ მითხრა:

– სანამ მე გყავარ, ნურაფრის შეგეშინდებაო, – და შუბლზე მაკოცა.

მერე მართლა არაფრის მეშინოდა.

რომ მეკითხებოდნენ, დედა უფრო გიყვარს თუ მამაო, ორივე-მეთქი, დაუფიქრებლად ვპასუხობდი.

მერე, მამა რომ წავიდა და სულ არ მომენატრა, მივხვდი – დედა უფრო მიყვარდა.

ავსტრიაში წასულა, იქ ვილაც იტალიური წარმოშობის ფრანგი შეურთავს. ხშირად მწერდა, მებოდიშებოდა...

ვერცერთხელ ვუპასუხე...

მერე მირეკავდა... ცივად ველაპარაკებოდი.

რამდენჯერმე ფული დამჭირდა, ვიღებდი ყურმილს, ნომერს ვკრეფდი და... ვთიშავდი.

არ შემეძლო.

არადა ხმაში ბზარი ჰქონდა...

მაინც არ შემეძლო, მე ხომ დედა უფრო მიყვარდა?!

და მე ვიზრდებოდი...

მახსოვს, კლასელებმა კინოში წასვლა გადავწყვიტეთ. დედა მაშინ სკოლაში მუშაობდა. შევუვარდი გაკვეთილზე, ყურში ჩავჩურჩულე, ფული მინდა, კინოში მივდივართ-თქო. მოსწავლეებთან მოერიდა, იცოდა, უარი რომ ეთქვა, სახეზე შემეტყობოდა გულჩანყვეტა, რადგან კლასელებთან ბოდიალი მიყვარდა. ხუთასმანეთიანი ამოიღო... სულ მაძლევ-თქო? გამიკვირდა. რა ვიცი, რამდენიც გინდა დახარჯეო. გადავკოცნე გახარებულმა და წავედი.

ისე მოხდა, ფული სულ შემომეხარჯა.

იმ ღამეს დედის ოთახიდან რამდენჯერმე ოხვრისდამაგვარი მომესმა. მივხვდი – არ ეძინა, იმასაც მივხვდი, რომ დედას მეტი ფული არ ჰქონდა, უბრალოდ, მოწაფეებთან მოერიდა უარის, ან „ხურდა აუცილებლად მომიტანეს“ თქმა.

ამაყი იყო... ალბათ... ზომიერად ამაყი.

შეიძლება მამა მაგიტომაც დაშორდა, მაგრამ მე მაინც დედა მიყვარდა.

და მე გავიზარდე...

მერე უნივერსიტეტში ჩავაბარე...

სწავლა ახალი დაწყებული იყო და (მერე იტყვიან სასწაულები არ ხდებო) „მარშუტკაში“ სამი დღის განმავლობაში ზედიზედ ერთი და იგივე გოგო ამოდიოდა. „ლამაზია ოხერი“, – გავიფიქრე პირველსავე დანახვაზე. მერე ერთი კვირა არ ჩანდა და ნელ-ნელა გული მწყდებოდა. ზუსტად ერთი კვირის თავზე ისევ გამოჩნდა.

ერთი მზიანი დილა იყო...

გული ამიჩქარდა...

ჩავედი და გადავუხადე...

მთელი დღე კმაყოფილი იდიოტის სიფათით დავდიოდი.

საღამოს, ტელევიზორს რომ ვუყურებდი, მობილურმა დაინრიპინა.

უცხო ნომრისგან იყო შეტყობინება:

„gmadlobt :)“



გამიკვირდა და სანამ მივწერდი, ერთი კი ვიფიქვე, მარა ეგრე სად არის-მეთქი, გავიფიქრე.

ის იყო...

ახლაც არ ვიცი, საიდან გაიგო ჩემი მობილურის ნომერი...

ქეთი - ყველაზე მაგარი სახელი მსოფლიოში...

ხშირად დავდიოდით ხელიხელჩაკიდებულები თბილისის ქუჩებში...

მერე ზაფხული მოვიდა და ის ზღვაზე წავიდა, ქობულეთში, მე - ბორჯომში, მეგობრებთან ერთად.

ერთხელაც მოდის მესიჯი, ქეთია:

„noh ss!w“

გამაკვირვა... „ვაააა“ მათქმევინა. მეთქი რას ნიშნავს ეს უაზრო ინიცი-ალები?

მთელ საძმაკაცოს ვანახე, ვერავინ ამიხსნა.

მეორე დილით გავიღვიძე თუ არა, ტელეფონს დავხედე, ახალი შეტყო-ბინება იყო:

„სულელო, დაგაბნიე? წინა მესიჯი გახსენი და ტელეფონი ამოატრია-ლე“.

გავხსენი და ამოვატრიალე...

გამიხარდა (აი თუ არ ხდება სასწაულები)...

„miss you“ (მენატრები; ინგლ.)

ავდექი და წავედი ქობულეთში. სადღაც, ზღვიდან შორს ვიქირავე ბინა, გავიგე სადაც ცხოვრობდა ქეთი და ღამე ვურეკავ:

- ქეთი, სად ხარ?

- სახლში, ბარში ვაპირებდი...

- გამოდი გარეთ!

- რააა?

- გამოდი გარეთ!

- კაი... შენ სად ხარ? ხომ მშვიდობაა?!

- გამობხვედი?

- ჰო, კიბეებზე ვარ...

- ეზოსთან ვარდის ფურცლებს ხედავ?

- აბა... ჰო, დავინახე.

- გამოყევი!

ქეთის სახლიდან სანაპირომდე ვარდის ფურცლები მოვაბნიე, ასე უნდა მოეგნო ქეთის დანიშნულების ადგილამდე.

- მოვყვები...

- სანაპიროზე ხარ?

- მოვედი.

- მაშხალას ხედავ ვარდის ფურცლების ბოლოს?

- მოიცა... ჰო.

- მანდ ასანთი დევს და ცეცხლი წაუკიდე.

მე იქვე ვიყავი დამალული.

ცეცხლი აბრიალდა.

იმ ადგილზე ბენზინი მქონდა მოსხმული გულის ფორმით.

ტელეფონი გავთიშე და უკნიდან მივუახლოვდი.

ლამაზად იწვოდა გული ზღვის პირას.

ქეთიმ მიგრძნო და მოტრიალდა. ცრემლით ჰქონდა ორივე თვალი სავსე.

და მე ვაკოცე...



ტორში და... 2:1 მოუგია პორტოს. გავაორმაგე ის 200\$ და მახსოვს, ჩემ დას ფეხსაცმელები ვუყიდე.

მეორე კურსიდან მუშაობა დავი-წყე მე-9 არხზე, მერე მზეზე, მერე პირველ არხზე. მერე ტელევიზიას შევეშვი.

ამასობაში მოთხრობების წერა დავიწყე...

კურსზე ძალიან პოპულარული იყო ჩემი ნაწერები და მიხაროდა.

ერთხელ ექსკურსიაზე ერთმა ჩემმა კურსელმა აიღო გიტარა და ამღერდა. ყველა გარშემო შემო-უსხდა და აყვა. ვახ, მეთქი, რატომ არ ვიცი დაკვრა-თქო.

მერე 1 კვირა ჩავიკეტე ოთხაში და ვისწავლე... მერე სიმღერე-ბის წერა დავიწყე, მერე ტამტამზე და ტუჩის გარმონზეც დავიწყე დაკვრა და ბოლოს ჯგუფი ჩამო-ვაყალიბე. 3 სიმღერა ჩავწერე. ბო-ლოს ჯგუფსაც თავი დავანებე, ვერ ვასწრებ-თქო.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ თეატრალურში ჩავაბარე სარეჟისოროზე, 1 წელი ვისწავლე და ძან არ მომეწონა. გამოვიტანე საბუთები.

2 წელია ფოტოებს ვიღებ.

არ ვიცი, მე მგონია, რომ ჯერ კიდევ „ჩაინიკი“ ვარ ამ საქმეში და მხოლოდ ჩხაკუნი შემიძლია, მაგრამ სიამოვნებას მანიჭებს ეს საქმე და მეც ჩემთვის ვაჩხაკუნებ.

მოთხრობებს იშვიათად ვწერ მოუცლელობის გამო, სიმღერე-საც ძალიან იშვიათად.

პიარის ხელოვნებამ გამიტაცა ძალიან და უკვე 4 წელია ამ სპე-ციალობით ვმუშაობ.

ვერთობი მუსიკით, წერით, ფო-ტოგრაფიით, რამდენიმე სპექტაკ-



ლიც მაქვს დადგმული...

უკვე 26 წლის ვარ და ჯერ კიდევ არ ვიცი ყველაზე მეტად რა საქმე მიყვარს და რა გამომდის უკეთ.

შეიძლება ხვალ პიარი მომბეზრდეს და ჟურნალისტიკას დავუბრუნდე... არ ვიცი.

უბრალოდ ბევრი მიფიქრია და იმ დასკვნამდე მივსულვარ, რომ ამ ქვეყანაში ხელოვნებას მატერიალურად მეტი დაფასება რომ ჰქონდეს, ალბათ მუსიკა-რეჟისურა-ფოტოგრაფია-ლიტერატურადან ერთ-ერთს ავირჩევდი.

ალბათ...

ახლა პირველად მეძლევა შანსი ჩემი ნაჯღაბნები საზოგადოებაში გაიგოს... შეიძლება ცოტა დაგვიანებულია, მაგრამ ალბათ, თუნდაც იმიტომ ღირს, რომ ჩემს მეგობრებს გაუხარდებათ, ღირს გარისკვა...

არადა, ცოტა მეშინია...

P. S ჩემი ძმაკაცია ერთი, ჩიტი ჰქვია, ასე ვეძახით. ერთი კარგი მოთხრობა აქვს და ბოლოს ასე ამთავრებს: „მე რომ მოთხრობების წერა დავინწყე, უკვე ყველაფერი დაწერილი იყო“-ო...

და მართალიცაა ეს კაცი.

ვიპლაგიატებ და ასე დავამთავრებ ჩემს ნაჯღაბნს: მე რომ მოთხრობების წერა დავინწყე, უკვე ყველაფერი გადაღებული იყო.

უმალლესში მოწყობის შემდეგ, პატარა სამუშაოც გამოვნახე და დედაჩემიც დანყნარდა.

სოფელში ნავიდა საცხოვრებლად, ბებიასთან.

მეც ჩემი პატარა შემოსავალი მყოფნიდა და ვცხოვრობდი. მამა რომ მირეკავდა, ვატყუებდი, მშვენივრად მაქვს საქმე აწყობილი-თქო. მეც ამაყი ვიყავი, ცოტა. არა და მამის ხმაში ბზარი ღვივდებოდა.

დედა ნავიდა და ქეთი გახდა ყველაზე ახლობელი ჩემთვის.

ხშირად მეკითხებოდა მამაზე, მეც გამოვუტყდი, ცოტას ვნანობ, ალბათ ასე არ უნდა ვექცეოდე-თქო.

მიყვარდა უზომოდ, მჯეროდა, ქეთი – ჩემი, ყველაზე პრინცესა, ლამაზი...

უბრალოდ არ უყვარდა როცა ვსვამდი.

არა და მეგობრებს, ბავშვობის, სკოლის მეგობრებს (აი, მაშინ, კინოში...), უარს ვერ ვეუბნებოდი ხოლმე. თან სახლში მარტო ვცხოვრობდი და...

მეც, როცა მთვრალი ვიყავი, რალაც უაზრობებს ვიგონებდი და ვცილობდი დამემტკიცებინა, რომ თავადაც არ იყო ანგელოზი.

არა და იყო...

მერე ფხიზელზე ვნანობდი, მაგრამ პირდაპირ ბოდიშს არ ვიხდიდი, თავისთავად ხდებოდა.

არცერთხელ არ დავშორებივართ, კამათი – იცოცხლე, მარა დაშორებაზე არც ვფიქრობდით, სანამ...

– ამაყი ხარ! – პირდაპირ მითხრა და მე, იმის დასამტკიცებლად, რომ ამაყი არ ვიყავი, ისევ სიამაყე გამოვიჩინე და ვუთხარი:

– ნადი!

ნავიდა.

გამოვფხიზლდი და ვიტყვი.

კარგია, როცა მარტო ცხოვრობ.

გოგონა, რომელსაც რალაც ღვთაებრივს ვადარებდი... მიყვარდა, სულითხორცამდე... ვუყვარდი... თვითონ დავშორდი.

მერე სმას მოვუხშირე. ადრე თუ კვირაში ერთხელ მაქსიმუმი იყო, ახლა დღეში ერთხელ გახდა მინიმუმი. თან, მაგარი ის იყო, რომ მარტო ვსვამდი. მერე სულ გავაფრინე, წარმოსახვაში პარტნიორებს ამოვირჩევდი და ვსვამდი(თ).

მერე, ერთ-ერთ პარტნიორად მწერალი ამოვირჩიე, იმან – დანერეო, აუცილებლადო, მუზას დაელოდეო, ცარიელი ფურცლის შიში გადალახეო, მეც ეგრე ვიყავიო (მაგარი მთვრალი იყო), მოვა, მოვა მუზა, აგერ ნახავო.

ძალიან რომ ვთვრებოდი, მაშინ ვხვდებოდი, ჩემი მუზაც ქეთი იყო... ის მახსენდებოდა გულაღმა დაწოლილს და თვალეზმობილული ჭერში ვიღიმებოდი... ვხვდებოდი, რომ სასცილო სანახავი ვიყავი ზემოდან...

მესიზმრებოდა გული, რომელიც შუალამით ზღვის ნაპირას იწვოდა და საკუთარი გული მეთუთქებოდა, ამაყი გული...

ახლა ვხვდები, ბოლმისაგან ყელში რალაც რომ გვეჩხირება და ჩვენ ბურთი გვგონია, თურმე ის ხალხია, ჩვენი შემთხვევითი დაუდევრობით გულს რომ ვტკენთ. მერე ცრემლიან წერწყვთან ერთად ვყლაპავთ და გულში ჩავვაქვს. ისინი იზრდებიან, თანდათან დიდდებიან ჩვენს გულეზში და გარეთ გამოსვლას გვთხოვენ. ჩვენ კიდე, ჭვალი დამადგაო – ვამბობთ და ათასი გამაყუჩებლით ვცდილობთ მათი არსებობის დავინწყებას. მერე ისინი ველარ ითმენენ, თვითონვე აღებენ ჩვენი გულის კარს და გარეთ გამოდიან. ექიმები ამას ინფარქტს ეძახიან.

ესეისტიკა/დოკუმენტური პროზა

ნინო ჩხიკვიშვილი

უფალა უსმინა შევარდენს...

(პაოლო იაშვილის უკანასკნელი დამე)

თავის დროზე, ვიდრე კოლაუ ნადირაძის არქივი ლიტერატურის მუზეუმში დაიდებდა ბინას, კოლაუს ან უკვე განსვენებული მეუღლის, ქალბატონი ნორას კეთილი ნებით, იმის საშუალება მომეცა, რომ პოეტის არქივზე მემუშავა.

და როცა პაოლოსა და ტიცციანის ხელნაწერებს ნავაწყდი, უფრო ხელშესახები გახდა ჩემთვის ის წარსული, რომელსაც ასე ესათუებოდა უკანასკნელი ცისფერყანწელი.

სწორედ ამ არქივში აღმოჩნდა პაოლოს ის წერილები, რომელთა უმეტესობა შემზარავი წინათგრძნობითაა აღბეჭდილი.

ყველა ეს წერილი საზოგადოებას კარგად მოეხსენება, ახლა მათი გამეორებით არავის თავს არ შევანყენ, მაგრამ არ შემძლია ორი მათგანი არ გავიხსენო: ერთ-ერთში (1931 წლით დათარიღებულში), პაოლო იარალს ახსენებს და იქვე, ვითომცდა სხვათაშორის დასძენს – მის მოხმარებას ჯერ არ გადავჩვეულვარო!

რას ნიშნავს ეს სიტყვები, სიმბოლურ ახსნას მოუძებნი თუ?..

„პაოლოს ხასიათი მაინც არ გამოუცვლია, ძალიან მოწყენილია და ჩემთან ლაპარაკსაც ერიდება...“ – ეს უკვე ტიცციანი იწერება მოსკოვიდან 30-იან წლებში.

ზემოთ ხსენებულ წერილში პაოლო ამასაც ამბობს: „ერთადერთი გზა დამრჩენია, ვიმღერო და ვიმღერო, შეიძლება გატეხილი, მაგრამ ნამდვილი ხმით, ტრადიცია გრძელდება და თუმცა ბატონიშვილი არ ვარ, მაგრამ გულუხვ ღმერთს ბატონიშვილზე ნაკლები ძალა არ მოუცია ჩემთვის სამშობლოსა და პოეზიის სიყვარულისთვის. რაც უფრო სხვანაირი იქნება ჩემი ხმა, უფრო ახალი და მოულოდნელი იქნება ის თქვენთვის“.

და იქვე მიაწერს:

„არც თანამგზავრი და არც მოკავშირე, ვარ ერთი გზაა ცდენილი კაცი, ასეთ მდგომარეობაში სისუსტეც მეპატიებაო“.

დღევანდელი გადასახედიდან, ყველა ამ ბარათს, თუნდაც პანანინა ჩანაწერსაც კი დიდი მნიშვნელობა ენიჭება...

„გიგზავნი ერთ ლექსს, მხოლოდ იმიტომ, რომ მოულოდნელია“ – ასე სწერს 1926 წელს პაოლო კოლაუს და წერილს თან დაურთავს თავის შედეგს – „მელორის სიმღერას“.

ეს ლექსი, როგორც ლოცვა ან ვედრება, თუნდ როგორც აღსარება ისე აღიქმება დროთა გადასახედიდან და ახლა, როცა (უფლის ნებით ჩვენი პატრიარქის მიერ) პაოლოსი, როგორც მართლმადიდებელი ქრისტიანის რეაბილიტაცია მოხდა, უფრო მეტად იძენს სიმბოლურ დატვირთვას შემდეგი სტრიქონები:

უფალო! უსმინე შევარდენს,
მის ხელით გიგზავნი ბარათს,
მიშველე ღორებში ჩავარდნილს
ღორებში დარჩენილს მარად.



ფოტოზე: პაოლო იაშვილი



მომეცი ბავშვებში ჩარევის
და მათთან თამაშის ნება,
უფალო! შენს გარდა არავის
არა აქვს ამის უფლება.

რამ ათქმევინა ეს ლექსი პაოლოს?!
იმ ყოფამ, რა ყოფაშიც აღმოჩნდა...

24 ნელს მისი ძმა – ვასილი (ჭუნია), დახვრიტეს (ამ შესანიშნავი, ვაჟკა-
ცური გარეგნობის ყმანვილის სურათიც კოლაუმ მანახა პირველად და
მითხრა, კომუნისტებმა დახვრიტეს შორაპანშიო).

პაოლო ისე ნავიდა ამ სოფლიდან, რომ დედას ამას არ უმხელდა და თა-
ვისი დახვრეტილი ძმის სახელით წერილებს სწერდა.

სწორედ ეს ამბავი მოაგონდა ემიგრაციაში მყოფ გრიგოლ რობაქიძესაც,
როცა პაოლოს თვითმკვლელობა შეიტყო:

„1924 ნელს, საქართველოში დიდი აჯანყების დროს, დახვრიტეს მისი
უმცროსი ძმა. დედას დაუმალეს ეს გამანადგურებელი ამბავი. იაშვილმა
ითავა დაერწმუნებინა დედა: მას შვილი ცოცხალი ჰყავს, ირანშია გადახ-
ვენილი და იქ ცხოვრობს. წლების მანძილზე, დახვრეტილი ძმის სახელით,
იაშვილი წერილებს უგზავნიდა დედას. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ტან-
ჯვა იმ კაცისა, რომელიც ცდილობს ძმის ხელნაწერს მიაგზავსოს თავისი,
დედამ ტყუილში რომ არ დაიჭიროს.

თუ სანყალი მოხუცი ახლა ცოცხალია, გაიგებს, რომ მარტო ერთი შვილი
არ დაუკარგავს“.

დაცანიკო... შა უნ, პეგაე უყუარს
ო პეალ დაცანიკოვს, ნაქრმა ძიოთ
შა უყუარს ჰეპავს იაშვილისა და ნაქრმა
! იყუარს იაშვილს. ხუ ყუხ სედალი
ქვე ჰეპა ხეა, ყუხ მალი და პედა-
ბიოთი აქრმა და იაქრმა. ხუ
აბაბაბეხი ვა, იაშვილს, ვა
ქანი უნ იაშვილითი ვა, შა
პედაბიოთი იაშვილს ვაქრმა.
კოქრმა აქრმა, ვაქრმა ვაქრმა, და აქრმა
იაშვილს ვაქრმა იაშვილს - და პედაბი
შა ვაქრმა ვაქრმა. ნუ ვაქრმა ვაქრმა, პედაბი
იაშვილი აქრმა, შა აქრმა აქრმა
ხეა შა პედაბი, და იაშვილს ჰეპა
ყუხა და ნაქრმა პედაბი იაშვილს,
შა და აქრმა ნაქრმა, ვაქრმა,
ვაქრმა და სედალი იაშვილს იაქრმა
პედაბი, ვაქრმა იაშვილს ჰეპა სედალი.
პედაბი იაქრმა და პედაბი და იაშვილს აქრმა
აქრმა პედაბი

6. XI.31.

მართალი მწერლობა

მახსოვს, როცა „მელორის ლოცვასთან“ დაკავშირებით გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ ჩემი პატარა ჩანაწერი გამოქვეყნდა, პოეტის უმცროსი ძმის – კონიას – ვაჟი, ბატონი ოთარ იაშვილი გამომეხმაურა. შევხვდით ერთმანეთს, ვისაუბრეთ. ბატონმა ოთარმა 1936 წელი გაიხსენა, მითხრა, იმ წელს თურმე პაოლოს სხვა მწერლებთან ერთად, კრემლში, წითელი დროშის ორდენი გადასცეს და ქართველ დელეგატთა სუფრის თამადაც ის ყოფილა. სწორედ მაშინ უჩუქნია სტალინს მისთვის თავისი ჩიბუხი და უთქვამს: შენ პაოლო კი არა, პავლე უნდა გერქვასო!

ამ სუფრასთან პაოლოს გვერდით მჯდარა ვოროშილოვი, ისიც მოხიბლულა პაოლოთი და საკუთარი სურათი უჩუქნია წარწერით. პატეფონითაც დაუჯილდოებიათ.

საქართველოში რომ ჩამოსულა, მამამისს – ჯიბოს – ამასთან დაკავშირებით არგვეთში დიდი წვეულება გაუმართავს და ბატონ ოთარს, რომელიც ამ წვეულებას ესწრებოდა, კარგად დამახსოვრებია მიხეილ ჯავახიშვილისა და ცისფერყანწელის შეჯიბრი მიზანში სროლაში, ქუდი რომ აუგდიათ და სროლა დაუნყიათ.

და კიდევ... პაოლოს სადღეგრძელო რომ შეუსვამთ, ჯიბოს შვილისთვის უთქვამს: პაოლო, ნამეტანი ხმაურობ და მეშინია, შენი ხმაური ცუდად არ დამთავრდესო!

ეტყობა გულმა უგრძნო მშობელს?!..

ბატონმა ოთარმა 24-ში დახვრეტილი ბიძაც მოიგონა: „1924 წლის ქაქუცას აჯანყებისას, პაოლოს 20 წლის ძმა დაიჭირეს შორაპანში. ბიძაჩემს მიუგნია და ჩუმად გამოუყვანია კიდევ, მაგრამ ვაშაძეს და ტალახაძეს დაუნახავთ და უკან, ვაგონშივე შეუგდიათ და იქვე ჩაუცხრილავთ...“

იმ დღეებში პაოლოსა და ვალოდია ჯიქიას დაპირისპირება განუზრახავს ბერიას. ჩამოუნერია კიდევ ის ბრალდებები, სასამართლოზე რომ უნდა წაეყენებინა მეგობრისთვის და მაშინ პაოლოს უთქვამს ჯიქიასთვის: არა, ვალოდია, დარწმუნებული იყავი, მე შენ არასდროს არ დაგიპირისპირდებო! – ესეც ბატონმა ოთარმა მომითხრო.

პაოლო სიცოცხლეზე უსაზღვროდ იყო შეყვარებული, ისეთი, სულში რომ ჩაისვამდი, მაგრამ კომუნისტებმა მასაც მოაკვლევინეს თავი. – ასე მითხრა ერთხელ კოლაუ ნადირაძემ და მწარედ გაიღიმა... ვინ იცის, რამდენი ტკივილი იმალეობდა ამ ლიმილის მიღმა?! ტკივილი, რომლის მოშუშება დრომ ვერ შეძლო... პირიქით, უფრო მეტად გაამძაფრა და სიცოცხლის მიმწუხრს, როცა კოლაუმ თვალისჩინი დაკარგა, საკუთარ თავში გამოკეტილი ასკეტი, წარსულში დაბრუნდა...

არაფერს ვაჭარბებ, ახლაც ნათლად მახსოვს, როგორ მიელაპარაკებოდა პაოლოს. უხმობდა: ჰო, პაოლო, აქა ვარ, მოვდივარ, მესმის შენი, პაოლოო!..

ვერ ავხსნი, რა იყო ეს?!..

არა, აგონია არა ყოფილა. ეს იყო რაღაც უცნაური მისტიკა...

მათ განსაკუთრებული სიახლოვე აკავშირებდათ.

ერთხელ კოლაუს უფროსმა ქალიშვილმა – ქალბატონმა ნელიმ, როცა პაოლო ვახსენე, ასეთი რამ მიაძგო:

თბილისში, ჯაფარიძის ქუჩაზე, ჩვენ და პაოლო ერთ სახლში ვცხოვრობ-





დით, უფრო სწორად, პაოლომ თავისთან შეიკედლა კოლაუ, ოთახი დაუთმო ქუთაისიდან ჩამოსულ მამაჩემს. 30-იან წლებში მეც ქუთაისიდან ჩამოვედი სწავლის გასაგრძელებლად და იმ სახლში ვცხოვრობდი.

გაერთიანებული ოჯახები გვქონდა. თუკი ვინმე პაოლოსთან მოვიდოდა, შეუძლებელი იყო მამასთან არ შემოსულიყო.

დანერდა თუ არა პაოლო ლექსს, მაშინვე კოლაუსთან შემოიტანდა ხელნაწერს, პირველად მას უკითხავდა. მერე გამართავდნენ ბჭობას, ერთმანეთის შექებასა და დარიგებას.

მაშინ პოეტის ქალიშვილმა ბევრი რამ მიაგმო მამაზე და პაოლოს თვითმკვლელობის დღე მოიგონა: როცა ნაქცეულ ვაჟკაცს ვერავინ ეკარებოდა, მამაჩემმა დაუხუჭათვალეობიო! ესეც დასძინა და თავისი ბავშვობის დღიურიც მაჩვენა, სადაც პაოლოს ძვირფას ავტოგრაფს ნავანყდი:

ნელის

მე სამახსოვროდ ჩაგინერ ამას
 (რასაც სიკვდილის კარამდე ვიცავ),
 ლექსებში გნამდეს პოეტი მამა
 და „ყანწელები“ – თორმეტი ბიძა.
 მაგრამ მე მინდა სიკვდილის წლამდე
 პოეტის გარდა – მეგობრად გნამდე.

პაოლო იაშვილი

6. V. 30.

რას იფიქრებდა მაშინ პაოლო, რომ მისი ეს პანანკინტელა ექსპრომტი ასე სიმბოლურად გაიჟღერებდა ჟამთა გადასახედიდან?!

ასეთი იყო პაოლო – დაუდევრად ფანტავდა სტრიქონებს. ვერც საკუთარი არქივი მოაწესრიგა...

რაკი სიტყვამ მოიტანა, გაკვრით, მაგრამ მაინც უნდა შევეხო ერთ-ერთ მტკივნეულ პრობლემას: იმას, რამაც ასეთი დიდი პოლემიკა გამოიწვია პაოლო იაშვილის შემოქმედების მკვლევართა შორის (ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ლალი ავალიანისა და ზეინაბ ლომჯარიას ნაშრომები). ეს გახლავთ გიორგი ჯავახიშვილის მოსაზრება – დარიანული ლექსები პაოლო იაშვილს არ ეკუთვნისო!

მახსოვს, ერთხელ მეც ვკითხე კოლაუს, რას იტყოდით პაოლოს დარიანულთან დაკავშირებით-მეთქი და მომიგო:

ელენესა და პაოლოს რომანი ჰქონდათ. ხელთათმანი პირველად სწორედ ელენემ გადმოუგდო. ელენე იმ ქალის სახელი იყო, ვისაც პაოლო უყვარდა. დარიანი კი „დორიან გრეის პორტრეტიდან“ წამოიღო.

ხომ კარგი ლექსები გამოუვიდა?!

იცი რა, ყოველთვის მიკვირდა, ვეკითხებოდი, ასე კარგად როგორ იცნობ ქალის ფსიქოლოგიას-მეთქი? ვიცნობ, ვიცნობო, მეტყოდა და ტოლსტოის სიზმარს მოიგონებდაო.

ამაშიც უცნაური ბედი ხვდა წილად ამ შესანიშნავ პოეტს. არადა, რა იქნებოდა, გამოექვეყნებინათ ეს „აღმოჩენა“ მაშინ, როცა სერგო კლდიაშვილი და კოლაუ ნადირაძე ცოცხლები იყვნენ...

და კიდევ, ამ სამიოდე წლის წინათ, ახლახან, როცა რეპრესირებულთა მუზეუმი გაიხსნა, დათვალაიერებისას პაოლოს სურათს ვერ ნავანყდი. გამიკვირდა, ვიკითხე, პაოლოს სურათს რატომ ვერ ვხედავ-მეთქი და იცით რა მომიგო ამ მუზეუმის ერთ-ერთმა მესვეურმა?!

არც კი ვიცი, ვთქვა თუ არა?!..

აქ პაოლოს სურათს როგორ დავეკიდებდით, თქვენ არ იცით რამდენი ადამიანი დაასმინა და ჩაყარა 30-იან წლებში.

მე სულ სხვანაირად ვიცი კოლაუ ნადირაძისგან-მეთქი, ვუთხარი და გაგულისებულმა მივასწავლე: – ლიტერატურის მუზეუმს უნდა მიმართოთ და იქ უფრო სრულყოფილ ინფორმაციას მოიძიებთ.

კოლაუს ვაჟს, ნუგზარს ახლაც ახსოვს, თუ როგორ უფრთხილდებოდა მამამისი „პაოლოს ტყვიებს“. ცალკე, ქალაქში ჰქონდა შენახული და ამ ქალაქში ეწერა – „ამ კარტეჩის ტყვიებმა პაოლოს ტვინში გაიარესო!“
ეს მეც მაქვს ნანახი.

(თუმცა გერონტი ქიქოძე წერს, რომ პაოლომ ჟაკანის ტყვიით აიფეთქა თავის ქალაქი).

კოლაუმ ბევრი რამ მიაგმო პოეტის უკანასკნელ ღამეზე:

იმ დღეს ბერიასთან იყო დაბარებული... შინ რომ მივედი, პაოლო დან-ალვლიანებული დამხვდა, არც კი გამომელაპარაკა, ტაშტში წყალი ჩაესხა და ფეხები ჩაეყარა, თავზე უცნაურად, მუსულმანივით ჰქონდა პირსახოცი შემოხვეული და სულ სხვანაირი, აფორიაქებული ჩანდა.

რა იყო, პაოლო, რა გჭირს, რა მოხდა ისეთი-მეთქი, – ვკითხე და მომიგო: არაფერი, ძალიან დავიღალე, წნევამ ამინია და თავიც მეტკინაო. – მოკლედ მომიჭრა და მივხვდი, მარტო დარჩენა ერჩია. გამოვეცალე და აღარაფერი მითქვამს.

ისეთი შთამბეჭდავი და ნათელი იყო პოეტის მონაყოლი, რომ რატომ-ღაც მეგონა (ალბათ ყმანვილური დაუდევრობით), ეს ყოველივე არასდროს დამავიწყდებოდა. თურმე როგორ ვცდებოდი. ახლა მეხსიერებით მხოლოდ მცირე რამ შემიძლია გავიხსენო...

არადა, როცა თითქმის ყველა მოგონება და ყველა ჩანანერი, ერთი ნაკითხვით უმნიშვნელოც კი, ერთადაა გამოქვეყნებული, არსად, არცერთ მოგონებაში არაა კოლაუ ნადირაძის სახელი ნახსენები, გარდა პაოლოს მეუღლის მოგონებისა. თუმცა არც იმ მოგონებაშია ყველაფერი დანვრ-ილებით მოყოლილი. ამიტომაც თავს ვიკავებ დაბეჯითებით ვამტკიცო ის, რაც მე პირადად, შინაგანად მნამს, მაგრამ დოკუმენტური მასალა სულ სხვა სურათს ხატავს.

თუმცა ის ხომ მაინც ვიცი დანამდვილებით, რომ... კოლაუ იყო ის ერთადერთი ცისფერყანწელი, რომელიც პაოლოს უკანასკნელ გზაზე გა-ჰყვა. ამაზე ბევრი თქმულა, დაწერილა. მათ შორის როსტომ ჩხეიძის შეს-ანიშნავი ესეი მინდა გავიხსენო, სადაც არა მარტო კოლაუ ნადირაძის პორ-ტრეტი, არამედ მთელი ეპოქაა დახატული:

„პაოლოს დაკრძალვისას კი ლეგენდა კოლაუ ნადირაძის მხრებს უნდა აეზიდა.

საგანგებო სიის შედგენა ორიოდ მეგობრის ჭირისუფლობასაც გამორ-იცხავდა, თუკი თავი არ მოსძულებოდათ. და თუმც კოლაუ მაინც აღმოჩნდა ის ერთადერთი, ვინც მეგობართაგან გაჰყვა საწყალი პაოლოს კუბოს...

პირნათლად აღასრულებდა თავის ადამიანურ ვალს; და გაუხუნრად ჩარჩებოდა ხსოვნაში: „მივყვებოდი ცხედარს და, თქვენ წარმოიდგინეთ, რაღაც უცნაურ სიმყარეს ვგრძნობდი...“

დაკრძალვის ამ ცერემონიაშიც თვალნათლივ ირეკლებოდა ადამიანთა სულიერი დაძაბუნებაც, მათი ყრუ მორჩილებაც და ხელისუფლების შეუზ-ღუდავი ბატონობაც. „იაშვილს ერთი მეგობარი ჰყოლია...“ – ქირქილებდა ხელისუფალი და საამოც ეს იყო. და იმ ერთადერთი მეგობრის სითამამეს ამჯერად, დაე, დაუსჯელად ჩაეველო“.

დაუსჯელად...

ერთხელ, როცა კოლაუს ვკითხე, თქვენ როგორ გადაურჩით ამ რეპრე-



ფოტოზე: კოლაუ ნადირაძე.
თამარ ინარიძის ნახატი.

სიებს-მეთქი, გაქცევითო, მომიგო – ორჯერ მომაკითხეს ჯაფარიძის ქუჩა-ზე. კარზე კაკუნი რომ გავიგონე, უკანა ფანჯრიდან გადავხტი და მწერალ-თა კავშირის ბაღში დავიმაღე, მერე ისევ იმერეთში გადავიხვეწეო!

„მე ეგ დუმილი მიღირდა ძვირადო“ – ერთ-ერთ ლექსში ამასაც ამბობს კოლაუ ნადირაძე.

მაგრამ დროდადრო დუმილს არღვევდა და პაოლოს ახსენებდა. პაოლო-სადმი მიძღვნილ შესანიშნავ ლექსსა და მოგონებას, სულ ახლახანს კიდევ ერთი პანია მინანერი დაემატა: კვლავ აღმოჩნდა პოეტის არქივში რამ-დენიმე ხელნაწერი. მათ შორის ღია ბარათი, რომელზედაც ბრონეულის ყვავილია გამოსახული. სწორედ ამ ღია ბარათისთვის წაუნერია კოლაუს მეორე მხრიდან:

შენ ეს ყვავილი გიყვარდა, პაოლო!
პაოლო, ჩემო საყვარელო, წამებულო, ძმაო!!
შენი კოლაუ

1947წ. შენი ვაჟკაცური დაღუპვის 10 წლისთავი.
კ. ნ.

წამებულოო!.. როგორ ზუსტად მიესადაგება ეს სიტყვა პაოლო იაშვი-ლის ტრაგიკულ აღსასრულს.

მაშ რა უნდა ექნა?!
ელაღატნა საკუთარი მრწამსისთვის და უდანაშაულონი დაესმინა? რა,
რა უნდა ეღონა, ღორებში ჩავარდნილს, ღორებში დარჩენილს მარად?

ერთი რამ მახსოვს...
ერთხელ მონაზონმა მითხრა: თვითმკვლელს ღმერთი მაშინვე კი არ აგ-ზავნის ჯოჯოხეთში, ჯერ იმას გამოიძიებს, თუ რად მოიკლა თავიო...
უფალი ჯერ გამოიძიებს და მერეო!
ეს სიტყვები ნუგეშად დამრჩა...
და აჰა... დაინახა უფალმა პაოლოს თავგანწირვა და მისი გული.
უსმინა უფალმა შევარდენს და დაადგინა წამებული პოეტი გალავნის ყორეზე ბელურა ჩიტად.



შენ ეს ყვავილი
გიყვარდა, პაოლო!
პაოლო, ჩემო საყვარელო,
წამებულო, ძმაო!!
შენი კოლაუ

1947წ. შენი ვაჟკაცური
დაღუპვის 10 წლისთავი.
კ. ნ.



Куда.....
Кому.....

Цветок граиата.
Фот. А. Раскина

Ш 07760 г. Т. 60.000, Заг. 2069, Цена 20 л.
Ордене Ленина типография газет „Правда“

ფრიდონ ხალვაში

რატომ დავტოვეთ კრემლის დარბაზი

ის, ბოლო ყრილობა, საბჭოთა მწერლებისა, 1986-ში რომ გაიმართა, ისეთი მოლესილ-შეკრული ვეღარ იყო, როგორებიც წინანდელები. თავად კრემლიც კი თითქოს ვეღარ იყო ისეთი, როგორიც გვახსოვდა. ის უკვე მოწყენილ, მივინყებულ, მიყრუებულ ბებერს დაემგვანა. ხალხი მიდი-მოდის, მაგრამ შენობა თითქოს აინუნშიც არაა, რა ხდება მის ვერანა დარბაზებში. ის ზეიმური უმაღლესურად მომქუხარე ხმები იმ დარბაზებიდან მსოფლიოსაც რომ აზანზარებდა, ახლა თითქოს დადაბლებულ-დასაწყლებულა, როგორც თვით პოლიტიკური. მხოლოდ წითელ ხალიჩებს აუფერადებიათ, გაუახლებიათ ფართო აღმართი კიბეები და უსაშველო მაღალჭერიანი დარბაზები. სწორედ იმ დარბაზში ვართ, სადაც, 1949 წელს, მეცხრამეტე პარტყრილობაზე, გამარჯვებული იმპერიის ერთპიროვნულმა პატრონმა, სტალინმა, თავის ბოლო ბელადური და მთავარსარდლური სიტყვა წარმოთქვა, და მაშინდელი დედამინა ერთხელ კიდევ შეაქანა.

საქართველოდან ჩასული დელეგატები თითქმის წინა რიგებში, ერთმანეთის ახლომახლოს მოვთავსდით. იქიდან სულ ახლო ჩანდა ტრიბუნა და გვერდით მსხდომი პრეზიდენტების სახეები. და, არ მახსოვს მერამდენე სხდომაზე ვიყავით, ქართული დელეგაციის სახელით, გიორგი ციციშვილისგან, გაისმა მკვეთრი, დიდი უკმაყოფილების თუ უფრო გულისტკენის („საბჭოთა ოჯახში“ არ ვარგა ასე) გამომხატველი, განცხადება-შენიშვნა ვიქტორ ასტაფიევის მოთხრობის „ЛЮБЯЯ пескарей“-ს გამო, იმხანად ერთ დიდ რუსულ ჟურნალში რომ გამოქვეყნდა.

ბევრ ჩვენთაგანს წაეკითხა ის მოთხრობა, მაგრამ ჩვენი მომხსენებელი თუ საკავშირო ტრიბუნიდან იმგვარი სიმწვავეთ გააუღერებდა ჩვენებური მკითხველის პროტესტს, ამას, არავინ მოელოდა.

პრეზიდენტში ჯდომით თავდამძიმებულებმა, უფრო რუსეთელებმა, შევნიშნე, ალაგ-ალაგ შფოთიანი თუ ჯავრიანი თავები ერთმანეთისკენ მიაბრუნეს. გიორგი ციციშვილი, იმხანად ჩვენი კავშირის თავმჯდომარე, მწერალი-მეცნიერი, საბჭოთა არმიის ყოფილი ოფიცერი, ნაფრონტალი, ხანჯალივით მოლესილი თავისი რუსულით, ისე დაერია რუს მწერლებს, კრემლის დიდ მთელ სავსე დარბაზს გაკვირვებული თვალები გადმოაკარკვლინა.

ქართველი გლეხკაცისა და მისი კარმიდამოსადმი მიმართული შურით, ზიზლ-სიძულვილით მოწამლული ასტაფიევის ფრაზები, „საბჭოთა დიდი ოჯახის მკვიდრთა შორის უნდობლობისა და რღვევა-ნგრევის მქადაგებლად“ მონათლა.

გავიხსენე, შინაც, ხშირად მწერალთა თუ მოლიტერატურეთაგან, ბოლო ხანებში, გაეგონა ამ მოთხრობაზე და იმ შემთხვევაზეც, რამაც ციმბირელ ასტაფიევს (იგი ოტია იოსელიანის თანაკურსელი ყოფილა



ქართულ საზოგადოებრივ-კულტურულ და სალიტერატურო სივრცეში დიდი გამოხმაურება გამოიწვია ფრიდონ ხალვაშის ცხოვრების ნიგნმა – „ომრი“, სადაც მომხიბლავი უშუალობითაა მოთხრობილი პოეტის მღელვარე და ქარტყილებიანი ცხოვრება. მემუარისტი აღწერს, განიცდის და გულდასმით უკვირდება ეპოქალურ მოვლენებს, ტრაგიკულ და სასიხარულო ამბებს. ჟურნალის მკითხველს ვთავაზობთ ნაწყვეტს „ომრის“ მეორე ნიგნიდან. 1986 წლის საბჭოთა მწერალთა ბოლო ყრილობის დრამატული ეპიზოდი გადმოცემულია თვითმხილველის თვალთ.



ჭაბუა ამირეჯიბი



თამაზ ჩილაძე



ოთარ ჩილაძე

მოსკოვურ უმაღლეს ლიტკურსებზე) ქართველების გამლანძველი ასეთი ნაწარმოები დააწერინა. ზოგი ოტიასაც აბრალებდა. აქაოდა, თავისი რუსი თანამოკალმე ძმაკაცი მაინცდამაინც ისეთ გაზულუქებულ-გაპრანჭულ ოჯახში მიიპატიჟაო, რომ... ერთი სიტყვით, რუს „მოდმე მწერალს“ თვალში ავად მოხვედრია ჩვენებური სტუმართმოყვრული ხელგაშლილი მასპინძელი. მოთხრობა ისეთი შხამიანი ქირდით აღწერს ქართული ოჯახის სიკეთეს, თითქოს რაც შეუძენია, ყველაფერი რუსეთს მოპარა.

იმ დღისაზე კი არა, მგონი, მეორე დღის სხდომაზე, ასე ნაშუადღევს, ვხედავთ ტრიბუნაზე ვალენტინ რასპუტინი ადის. მომეჩვენა, – ჯერ დარბაზს რომ გადახედა, თვალთ თითქოს ჩვენსკენ, იქ მსხდომ ქართველებისაკენ მუქარის ცეცხლები ისროლა. თავიდან, მშვენიერი საქმისცოდნით, ილაპარაკა რუსული სოფლის უსაშველო სილატაკეზე, რუსი მუჟიკის საცოდაობაზე და იმ მოუთავებელ, გამოუსწორებელ უბედურებებზე, რაც ჭირდა და ჭირს რუსეთს. რალა თქმა უნდა, ეს გულჯავრიანი თუ ტკივილიანი სიტყვა ცეკასა და საბჭოთა ხელისუფალთა მისამართით იყო გამიზნული.

ზემდგომები რომ კარგა შეამკო, რასპუტინმა ახლა ბოლოყამინდელ რუსულ პროზაში გამოქვეყნებულ, მისი აზრით, მართალ, „ჭეშმარიტ მხატვრულ“ ნაწარმოებებს შორის სწორედ ასტაფიევის „Ловля пескарей“ მოიხსენია.

აი, აქ, ამ მოთხრობაშიო, აღნიშნავდა ვალენტინ რასპუტინი, ჩანს თუ როგორ თავზე გადასდის ყველაფერი გლეს ამიერკავკასიაში, განსაკუთრებით ქართულ სოფლებშიო. როგორ მიედინება ყველაფერი ჩვენი რუსული მიწის ჭირნახული იქით, იმათთვის, ხოლო რუსი გლეხი გამათხოვრებულია. ყველა რესპუბლიკა რუსული სიკეთით უკეთ ცხოვრობს, ვიდრე თვით რუსეთიო. ხოლო საქართველო, საბჭოთა არარუსულ მხარეთა შორის, გამორჩეულ პირობებშია. ეს ჩვენი რუსული ბედოვლათობა და საკუთარი ხალხის მიმართ დანაშაულებრივი უყურადღებობის მიზეზითააო. რაც შეეხება ქართველ ხალხსო, – ხაზგასმული თავდაჯერებულობით დაასკვნა რასპუტინმა, – დღეს, ქართველი ხალხი, ავადმყოფი ხალხიაო.

შეკრთა და აჩუჩუნ-აშუშუნდა ჩვენი რიგები. ფერწარმეული, შემოფოთებული სახეებით, დაღამებულ-დაბნეული თვალეებით ერთმანეთს ვეძებთ. ვგრძნობ, – ყოველი ჩვენგანის გონება, გული, სისხლი, თავმოყვარეობა და, უბრალოდ, თითოეულის ღირსება თუ კაცობა შეგინებულ-გათელილია. „ავადმყოფი ხალხი“! ეს რალაც უფრო უსაშველოს, დიდს, ყოვლისმომცველ უბედურებას ნიშნავს, ვიდრე უბრალოდ ავადმყოფობაა. კარგი სახლი, ეზოკარი, ნახა, შეშურდა და შეგიძულა.

ვიჯექით გალახულებივით და, რაიმეს თქმის მოთხოვნილებანართმეულებივით, თითქოს შველას იმავესაგან, დამდანაშაულებელ-დამსჯელისაგან ველოდით. შენი მშობელი ხალხი, შენი ქვეყანა, მისი ჭკუა, ნიჭი, შეძლება, მისი გაკეთებულ-შექმნილი, რომლის შვილობითა და მემკვიდრედ ყოფნით თავი მოგქონდა, დაგაყვედრეს, შეგიგინეს, გაგილანძღეს, დაგწყევლეს.

პირველი რომელი წამოდგა არ ვიცი. ჰაერი დამძიმდა, სულის მოთქმა ჭირდა. ადგილზე გაძლება აღარ იქნებოდა. ალბათ გულმა, ტანსხეულმა სადღაც სხვაგან გადაქაჯება მომაცალა. იქით გავიხედე. იქაც ფეხზე ვი-



ლაცა დავინახე უკვე. ადგენენ. გენო კალანდია მოთეთრო ქოჩრად ენთო, ვიცანი. გვერდით, ჩემს რიგში ვინ იყვნენ ვერ გეტყვი, მაგრამ მახსოვს, მუხლები მიაბრუნეს, გზა მიტიეს, გაიარეო. სანამ რიგის ბოლოში გამოვალნიე, დავინახე წინ უკვე მიმწკრივებულ-მიმავალები. ჭაბუა ამირეჯიბი კარგად მახსოვს, მუხრანი, ძმები ჭილაძეები, ჯანსული (უფრო ხნიერი დიდები, თანამდებობიანები მალლა, პრეზიდენტში ისხდნენ). ეს ის დროა, შევარდნაძე სსრკ-ს საგარეო მინისტრი და პოლიტბიუროს წევრია, რასაც, ალბათ, ჩვენის მხრივ, ანგარიშის განევა უნდოდა.

აღარ მახსოვს რასპუტინმა როდის გაათავა ლაპარაკი. ჩვენ, სულ დამხობილებს, გულაჯანყებულებს, ფეხზე წამოცვენილებს და გასასვლელებისკენ დაძრულებს, წარმოიდგინე, ვილაც-ვილაცეები, სხვები, არაჩვენებურებიც, შემოგვემატნენ. ერთი მიხედვა უკან მივიხედე. იქ, აფხაზთა ჯგუფში, გამწარებით ბორგავდა ვანო თარბა. ისეთი ნაღვლიან-ღრუბლიანი ღიმილით ჩამიკრა თვალი და ცერით მის ირგვლ ვ მსხდომებისკენ მიმითითა, მივხვდი რა გაჭირვებაც აკავებდა, თორემ ჩვენთან უნდოდა. ამ დროს სამხრეთოსეთელი ნაფი ჯუსოითი წამოგვეწია. მკვლავში ხელი ჩამავლო და, არაფერი უთქვამს. უბრალოდ, ეტყობოდა, იმ დარბაზს ჩვენი თავი ერჩივნა.

ზოგი, იქნებ თავის სიდიდის გამო, იმ ვინროებში ვერ გამოეცია თუ სხვა რამ უფრო ღირებული ანგარიშით თავი შეიკავა, არ ვიცი, – აღარ განძრეულა. იყვნენ იქ კარგებიც, მაგრამ მოსახსენიებლად ახლა ერთი, ნამდვილი, დიდებული შოთა ნიშნიანიძე მაგონდება.

დერეფანში გამოსულეებს აღელვებული, შეწუხებული რამდენიმე რუსი მეგობარი მოგვადგა. „რებიატა, რებიატაო“, გვამშვიდებდნენ. აგინებდნენ რასპუტინს.

ამირეჯიბი კუთხეში, პატარა მაგიდაზე დაფენილ დიდ ქალაღზე პოლიტბიუროში მისატან საჩივრის ტექსტს წერდა.

მგონი, ფაქტიურად ყრილობის ის სხდომა რასპუტინის სიტყვასთან ერთად დამთავრდა. უფრო, ჩაიშალა. პრეზიდენტში მსხდომთაგან, მახსოვს, ერთი-ორი, უფრო ჩვენს დასაშოშმინ-დასარიგებლად გამოგვეშველა. ამ დროს ჩვენ უკვე კიბეებზე ვეშვებით. კრემლიდან, გაქცეულები, მივრბით. ვიფიცებთ ხმამაღლა, აქ აწი ფეხის დამბიჯებელსო ასე და ისეო და... წამოგვეწიენ. სოლოუხინი იყო. ოშანინიც მახსოვს, ბარუზდინი, ლუკონინი... ხვენწა-მუდარით მოგვაბრუნეს. დერეფანში სხვები, უფრო „ვაჟნი პერსონები“ გვიხსნიან, გვთხოვენ, – „ტოვარიჩში, ვაჟნოე ზაიავლენიე ბუდეტ. ვ ზალ, პაჟალუსტაო“.

მართლაც ვილაც ხმელხმელი მოხუცი, გრძელი ნაბიჯებით ტრიბუნისკენ გაემართა.


გავრილ ტრაეპოლსკიაო, გამოაცხადა ვილაცამ ყველას გასაგონად. აი, იმ ტრაეპოლსკი-რუსმა რა ბოდიშებიც მოუხადა საქართველოს, და ქართველებს, საერთოდ, ეს არ იყო ისტორიული წუთები, მაგრამ რუსებო, წუ ვართ ცუდებიო, აი, მიახლოებით ამისმაგვარი კი თქვა იმ ტრაეპოლსკიმ (ისე, გულში ამ გვარს რომ ვიმეორებდი, იგი „სამჯერ პოლონელად“ მეთარგმნასავით). ახლა, ამსიშორიდან, უფრო მშვიდად, ღმობიერად, რუსულ-ქართველური ერთად ყოფნის ისტორიის ყოველნაირი პერიპეტიების უფრო ჭკვიანური აწონ-დაწონვით, მე მგონი, ჩვენ უფრო დიდი ხალხისთვის შესაფერისი შორსმჭვრეტელური, დინჯი, ბრძნული, აუჩქარებელი დასკვნები უნდა გამოვიტანოთ.



შოთა ნიშნიანიძე



ჯანსულ ჩარკვიანი



მუხრან მაჭავარიანი



გენო კალანდია

აი, იმ ტრაეპოლსკიმ, იქ, იმ დღეს, ერთი საოცრად დამაფიქრებელი ჭეშმარიტება აღიარა. რომ რუსეთით, მის ბედისწერაში ქართველების მონაწილეობის გარეშე, რუსეთი ვერ იქნებოდაო. სულ კაკალ-კაკალ ჩამოთვალა გვარები ნაპოლეონთან პირველ სამამულო ომში რუსეთის არმიის ქართველ მხედართმეთაურებისა, ვისი სახელ-გვარ-წოდებანიც, იქვე, გეორგიევსკის ზალის კედლებზეა მიწერილ-გამარადისებული. სხვა ისტორიულ მოვლენებში ქართველთა როლი და ბოლო სამამულო ომის ამბები, როცა ჯულაშვილმა, სტალინმა, რუსეთი გაუგონარი ძლიერებისა, გამარჯვებულ ზესახელმწიფოდ დაგვიტოვაო.

ახლა, ამსიშორიდან როცა წარმოვიდგენ იმ დღის რუსულ-ქართულ, თითქოს უმნიშვნელო ლიტერატურულ ინციდენტს, მჯერა საბჭოეთს პირველი საბედისწერო ბზარიც იმ დღემ გაუჩინა. ჰო, ჰო, მე მგონია, იმ დღეს დაიწყო სსრკ-ს შლა-ნგრევა. ძალიან მართალი თქვა ტრაეპოლსკიმ, – რუსეთი ქართველთა ახლობლობამ თუ აამაღლა, მათი დაშორება რუსეთს დასცემსო.

ემინ, ეს ყველაფერი აგვისტომდე, რუსეთთან ომამდეა დაწერილი, იცოდეთ! და თუ იმხელა რუსეთისათვის ერთი სახე საქართველო ამდენს ნიშნავს, ჩვენთისაც რუსეთის მნიშვნელობაზე კაიმაგარი დაფიქრება ჯერ კიდევ გვიანი არ უნდა იყოს.

ისე, როგორც ერთმა დუმელმა, შარშან, ჩვენს პარლამენტართან ტელეხიდობისას განაცხადა, ბოლო-ბოლო ეღირსა რუსეთს და თავი გაითავისუფლა ჩვენგან, ანუ ქართველთ ბატონობისაგან. ხვეტოს ახლა მარტომ თავისი ნავთვაზები და გვიწრიტოს, როცა გაგვიჯავრდება. ბენდი (წყალთსაშვი) მის ხელშია, უნდა მოგვიწრეტს, უნდა – გამოუშვებს.

მე კი, ასე ვთქვათ, როგორც აჭარელი, ერთხელაც ერთ სიკეთეს რუსისას კვლავ გულზე ხელის დადებით ვახსენებ. 1878 წლის ომში ოსმალეთს რუსეთმა ჩვენი მიწა, ჩვენი თავი, მართალია, თავის იმპერიისათვის გამოგლიჯა, მაგრამ საბოლოოდ ხომ ჩვენ ჩვენს დედასამშობლოსთან – საქართველოსთან დაბრუნებული აღმოჩნდით. მაგრამ ნურც რუსს ავიწყდება ქართველის ამაგი. თუნდაც მარტო ის ამაგი, ტრაეპოლსკიმ რომ ჩამოთვალა საბჭოთა მწერალთა ბოლო ყრილობაზე, კრემლში.

დღეს დიდ რუსეთს მისი საკადრისი ერთი დიდი კაცი არა ჰყავს, თორემ შეახსენებდა თავის ერს იმ ყოველივეზე, რისი უგულებელყოფა-დავიწყება, ადრე თუ გვიან, მასვე მოუწევს.

აი, ეს ბოლონდელი უკუღმართობანი, დიდ ხალხს რომ არ ეკადრება, ისეთი ბალნური სიბლავეები, მალე მას წინ დახვდება. სანამ საქართველოსთანა მართლმადიდებელი ძმა (70 წელიწადს ქართველი რუსს უფროს ძმას ეძახოდა), – ასაკით რუსის უფროსი ძმა, ასე მოგლეჯილ-ჩაწიხლული ეყოლება, რუსის საქმე წახდება. ამდენი მისი ერიყლაპიობა თუ, ასე ვთქვათ, ჯერჯერობით მოსათმენადაა მიჩნეული, აფხაზეთ-სამაჩაბლოს ანუ სამხრეთ ოსეთის ძვალი რუსს ყელში ისე გაეჩხირება, ტკეჩით მოღლაბული თავისი იმპერიული გოდორი თავზე ისე დაახობოლდება, იქედან ბნკალსაც საკუთარ ხელში ველარ დაიჭერს.



ივანე თარბა

ლულუ დადიანი

რილკეს კვალდაკვალ

გვიანი შემოდგომის არაჩვეულებრივი ამინდი იდგა. ახლობლებმა გამომიარეს და შიო მღვიმისაკენ გაეწიეთ. გზად სამთავროს მონასტერს ჩაუარეთ თუ არა, გრიგოლ რობაქიძის ნატურანდერძი გამახსენდა ანაზღად: „ჩემი ნატურაა: როცა მე ამ ქვეყნად აღარ ვიქნები, მოდიოდეს ვინმე ქართველი დედა ყოველწელს მცხეთას, მწიფობის, ჩემი დაბადების თვეში. სანთელს ანთებდეს ამ პაწია სალოცავის წინ და ლოცვით ახსენებდეს ჩემს სახელს. მეტს არას ვთხოვ საქართველოს.“ – ჩემს თანამგზავრებს ვთხოვე ცოტა ხნით შეეჩერებულყავით, რათა ტაძარში სანთელი დამენთო და გრიგოლ რობაქიძის ეს ნატურა შემესრულებინა... ფიქრი კი ისევ სამშობლოდან გადახვეწილი მწერლის ნათქვამს დასტრიალებდა: – რილკემ გერმანული ენა უმაღლეს დონემდე აიყვანაო... – გრიგოლ რობაქიძის ეს სიტყვები როგორღაც ჩაილექა ჩემს მეხსიერებაში და არ მასვენებდა, შინაგანი მოთხოვნილება გამიჩნდა, რილკეს შემოქმედებიდან რაიმე მაინც მომეხვლეთებინა და წამეკითხა, რაც მაშინ თითქმის შეუძლებელი რამ იყო, რადგან ამგვარ ღრმა სულიერებით აღბეჭდილი ლიტერატურას ვერსად მიაგნებდი.

ერთხელაც, როცა თბილისისა და ზაარბრიუკენის დაძმობილების გამო, ზაარის მხარიდან ჩამოსული გერმანელები ეწვივნენ ჩვენს დედაქალაქს, სამახსოვრო საჩუქრები და წიგნები ჩამოიტანეს თან, რომელთა შორის აღმოჩნდა რილკეს პოეზიის რჩეული, ლამაზად გაფორმებული პატარა წიგნაკი, Taschenbuch-ს რომ უწოდებენ გერმანელები. ლექსების ეს კრებული სრულიად შემთხვევით ჩამივარდა ხელში. მაშინვე დიდი ინტერესით დავიწყე კითხვა და რატომღაც გაუცნობიერე-

ბლად „დუინურ ელეგიებს“ მივაღექი, გულდასმით ვკითხულობდი, თუმცა უნდა ვაღიარო, რომ ბევრი ვერაფერი გავუგე... თითქოს ყველა სიტყვა მესმოდა, მაგრამ მთლიანობაში ტექსტი ბევრად უფრო „კოდირებული“ აღმოჩნდა, ვიდრე მოველოდი; დავიწყე პწკარედის ჩაწერა, რათა უკეთ ჩავწვდომოდი ყოველ სტრიქონს; უნებურად ზედმეტი თავისუფლებით ვეპყრობოდი ტექსტს და ქართულ ჟღერადობას მეტ ყურადღებას ვუთმობდი; ბევრი რომ არ გაეგარძელო, ასე და ამგვარად „თარგმნილი“ პირველი და მეორე ელეგია რამდენიმე მეგობარს წაუუკითხე. მგონი რაღაც კარგი გამოდისო, მითხრეს, ერთ-ერთმა კი შემომთავაზა, გურამ ლებანიძე იცნობს ძალიან კარგად რილკეს შემოქმედებას და ვაჩვენოთ, ვნახოთ რას იტყვისო. მართლაც მიუტანეს ბატონ გურამს ჩემი „ნამოღვაწარი“ და როცა განაჩენის მოსასმენად მივედი, ბატონმა გურამმა მითხრა: რილკეს თითოეული სტრიქონი ისეთი ღრმა და მრავლისდამტევია, იმდენი ინფორმაციის ნაჟურია, რომ თითქმის არცერთი სიტყვის შეცვლა არ შეიძლება, თუმცა აქედან მაინც შეიძლება რაღაც გამოვიდესო, და მომცა ჰაინრიხ კროიცის „დუინური ელეგიების“ ინტერპრეტაციები გერმანულ ენაზე. სწორედ აქედან იწყება ჩემი „დუინური ელეგიებისა“ და თავად რილკეს იღუმალური ურთიერთობა.

ერთ მშვენიერ დღეს სამსახურში მახარეს, სახელგამში რილკეს ექვსტომეული იყიდებო (ჩემი გატაცების ამბავი უკვე ყველამ იცოდა), სასწრაფოდ ჩამოვისესხე ფული და გავეშურე სახელგამისაკენ, სადაც მართლაც იყიდებოდა სასაჩუქრე, მშვენივრად გამოცემული ექვსტომეული; როგორც კი შევიძინე, გულმა არ მომიტმინა და



ფოტოზა:

რაინერ მარია რილკე




ნეთი უყვარდათ, თუმცა მათი სიყვარული საბოლოოდ მაინც უიღბლო აღმოჩნდა. ცნობისმოყვარეობა არ მასვენებდა და გადავწყვიტე მომენახულებინა როდაუნი – ვენასთან ახლოს მდებარე დასახლება, ჰოფმანსტალის სახლ-მუზეუმი და ის საზაფხულო აგარაკიც, სადაც, როგორც ცნობილია, ლულუ რილკეს პორტრეტს ხატავდა. სახლ-მუზეუმს კი მივაგენი, მაგრამ სამწუხაროდ დაკეტილი აღმოჩნდა და ის-ის იყო უკან უნდა დავბრუნებულყავი, რომ ვიღაც კაცი წამომეწია და კითხვით მომმართა: „თქვენ ბრძანდებით, ვინც რილკეს საზოგადოებიდან დარეკა და მუზეუმის ნახვა სურს?“ – გაოცებულმა, არა-მეთქი, ვუპასუხე და სწორედ ამ დროს სამი ადამიანი მოგვიახლოვდა, რომლებიც ისინი აღმოჩნდნენ, რილკეს საზოგადოების წევრები, ვისაც მუზეუმში ელოდებოდნენ. ასე და ამგვარად, გააღეს ძველებური, მძიმე კარიბჭე და მათთან ერთად სახლ-მუზეუმის დარბაზებში აღმოჩნდი, იქ, სადაც რილკე და ლულუ, **ჰოფმანსტალისა** და მისი მეუღლის გარემოცვაში შემოქმედებითად მუშაობდნენ და ისვენებდნენ კიდეც (ეს პერიოდი შესანიშნავად აქვს აღწერილი ლუ ალბერტ-ლაზარდს თავის მოგონებებში „გზები რილკესთან ერთად“).

მხატვარი ქალის, ლულუს (ანუ ლუს, მოგვიანებით იგი ასე მოიხსენიება) წიგნი ძალიან საინტერესო აღმოჩნდა, არამარტო როგორც რილკესა და ლულუს ურთიერთობის ამსახველი პირველწყარო, არამედ როგორც პოეტის სიტყვიერი პორტრეტი, მხატვრის მიერ საინტერესო თვალთახედვით დანახული და აღწერილი. მაშინვე გადავწყვიტე მეთარგმნა ეს მოგონებები, რადგან ავტორი მხატვარი და თანაც ჩემი მოსახელე გახლდათ. ეს სწორედ ის ლულუ იყო, რომელსაც ლექსი „Für Lulu“ ეძღვნებოდა. მოგონებების ამ წიგნში რილკეს ოთხმოცამდე ლექსია განხილული; მათ შორის ლულუსადმი მიძღვნილი 15 ლექსი პირველადაა გამოქვეყნებული და მათი შექმნის ისტორიაც – ფრიად საინტერესოდ მოთხრო-

ბილი. თარგმანზე მუშაობა კარგა ხანს გაგრძელდა, რადგან, როგორც აღენიშნე პოეტის 80-მდე ლექსი მთლიანად ან ნაწილობრივ იყო ციტირებული. თარგმნის პროცესში, მოგონებებიდან რამდენიმე ამონარიდი გამოქვეყნდა „კალმასობასა“ და „საუნჯეში“, ხოლო თარგმანის გასრულების შემდეგ სრული სახით დაიბეჭდა „საუნჯეში“, 2009 წელს კი წიგნად გამოსცა გამომცემლობამ „წიგნის სახელოსნომ“.

კიდეც ერთი მოულოდნელობა მინდა გავიხსენო, რომელიც „დუინურ ელეგიებთანა“ დაკავშირებული... ავსტრიაში ყოფნისას გავიგე, რომ დუინოს კოშკი, სადაც ელეგიების პირველი სტრიქონები „ჩაესმა“ თითქოს რილკეს, ჩრდილოეთ იტალიაში, ტრიესტთან მდებარეობდა... მანქანით ხუთი საათის გზა თუ იქნებოდა ვენიდან ტრიესტამდე. დუინოს კოშკიც იქვე მახლობლად იყო და თითქოს მიხმობდა, რათა საკუთარი თვალთ მენახა და ჩემ მიერ შავთუთრი ფოტოს მიხედვით დახატული კოშკისათვის ბუნებრივი ელფერი დამებრუნებინა. მართლაც, გადავწყვიტე ჩავსულიყავი და, თუ გამიმართლებდა, დამეთვალყურებინა კიდეც ეს, უკვე ლეგენდად ქცეული კოშკი, რილკეს პოეზიის უამრავ მოყვარულს რომ იზიდავდა და იზიდავს მთელი მსოფლიოდან. საოცარი სილამაზის გზა გადამეშალა თვალწინ, რადაცით დარიალის ხეობას რომ ჩამოჰკავდა, ოღონდ ნაკლებად მკაცრი კი ეთქმოდა. ოდნავ ჟანგისფერდაკრული კლდოვანი, ირიბად ჩამოხვეწილი მასივები ჩარიგებულიყო გზის ორსავე მხარეს. ამ სილამაზის თვალყურებით გართულმა მალევე მივალწიე დუინოს, ყველაზე საოცარ სიზმარშიც კი ვერ წარმოვიდგენდი ალბათ, აქ თუ მოვხვდებოდი; მაგრამ მოულოდნელობა მაინც წინ მელოდა. კითხვა-კითხვით ვცდილობდი მიმედწია კოშკამდე, მაგრამ მხრების აჩეჩვით მპასუხობდნენ, იქ პრინცი ცხოვრობს და შიგ არავინ შეგიშვებთო. ბოლოს მივადექი ჩემი მოგზაურობის მთავარ მიზანს. გალაუნის



ფოტოზი: დუინოს კოშკი. ლულუ დადიანის ნახატი.



კარიბჭე შეუვალად იყო ჩარაზული და კოშკიც არსაიდან ჩანდა. ყველანაირი იმედი გადაწურული მქონდა, როცა გავიფიქრე, მოდი ქვედა მხრიდან მოვუვლი, იქნებ შორიდან მაინც მოვკრა თვალი კოშკს, რათა მასზე რაღაც წარმოდგენა შევიქმნა-მეთქი. ქვევით, ცოტა მოშორებით, ამერიკული კოლეჯი აღმოჩნდა. სამწუხაროდ, იტალიაში გერმანულად ცოტა ვინმე თუ ლაპარაკობს, იტალიური კი მე არ ვიცი, ამიტომ ვნატრობდი, იქნებ ვინმე შემხვდეს ისეთი, ვისაც გავაგებინებ, რატომ ვარ ჩამოსული-მეთქო... და აი, ჰოი საკვირველებავ! პირდაპირ მხსნელივით მომევლინა ქალი, რომელსაც გერმანულად ავუხსენი ჩვენი ჩამოსვლის მიზანი და აღმოჩნდა, რომ ეს ქალბატონი, არც მეტი და არც ნაკლები, ამ კოლეჯის რექტორის მეუღლე, ოდესეული და თბილისში ნამყოფი გერმანისტი, პროფესორი რიმა რაპოპორტი გახლდათ! ქალბატონმა რიმამ გულთბილად მიმიპატიჟა სახლში და შამპანურითა და ხილით გამიმასპინძლდა, თან თბილისში გატარებულ დღეებს იგონებდა, საუბარში ფრთხილად მოვსინჯე, იქნებ ვცადოთ და დუინოს კოშკში შესვლა მოვახერხოთ-მეთქი; მასპინძელმა უცნაურად გაიღიმა და მითხრა: ათი წელია აქ ვცხოვრობ და მე ვერაფრით მოვახერხეო, მაგრამ ხათრი გამიწია და მისი რვა წლის ქალიშვილთან ერთად კოშკის ჩარაზულ კარიბჭეს მივადექით. ზარის ხმაზე დაცვის უფროსი გამოგვეგება მკაცრი სახით და ყურადღებით უსმენდა ქალბატონ რაპოპორტს, რომელიც, რამდენადაც მივხვდი, ჩემი ჩამოსვლის მიზანს უხსნიდა და „დუინური ელევგიების“ ჩემულ უკვე გამოცემულ თარგმანს აჩვენებდა; ჩვენდა გასაოცრად კიდევ ერთი, სრულიად მოულოდნელი რამ მოხდა, დაცვის უფროსმა ფართოდ გაგვიღო კარი, შეგვიძღვა კოშკში და მეგზურობაც კი გაგვიწია. ვერ აგიწერთ რას განვიცდიდი იმ წუთებში, როცა ამ შეუვალ, ისტორიულ მთავართა – ფონ თურნ უნდ თაქსის ჰოენლოეს საგვარეულო სასახლეში აღმოვჩნდი, სადაც

მთავრინა მარი ფონ თურნ უნდ თაქსის ჰოენლოემ მიიპატიჟა რილკე და სადაც მას, ადრიატიკის ქარიშხლიანმა ხმოვანებამ მეთუ ელევგის პირველი სტრიქონები უკარნახა თითქოს (პოეტმა დუინური ელევგიები მაღლიერების ნიშნად მასვე მიუძღვნა). რა სილამაზე გადამეშალა თვალწინ: ტერასებზე განფენილი, დეკორატიული, უაღრესად მოვლილი ბალები და მარმარილოს ნატიფი ქანდაკებები, კოშკის გოდოლზე გადმოკიდული აივანი, სადაც რილკე თავის ლექსებს ხმამაღლა კითხულობდა თურმე... სამახსოვროდ სურათებიც კი გადავიღეთ დაცვის უფროსთან და ქალბატონ რაპოპორტთან ერთად, იგი მეტიმეტად აღფრთოვანებული ჩანდა და დიდ მაღლობას მიხდიდა, ჩემი წყალობით პრინციის სასახლეში რომ მოხვდა 10 წლის უშედეგო მცდელობის შემდეგ. მაშინ რას ვიფიქრებდი, რომ თურმე კიდევ ერთი შეხვედრა მელოდა რილკესთან დაკავშირებულ ისტორიულ ადგილთან. ეს ადგილი ესპანეთის პატარა ქალაქი რონდა გახლავთ, სადაც მან დუინოში დაწყებულ ელევგიებზე მუშაობა გააგრძელა 1912-13 წლების ზამთარში, და საბოლოოდ მხოლოდ 1922 წლის თებერვალში დაასრულა მიუზოს ციხესიმაგრეში. ეს შეხვედრა კი ასე მოხდა... ოქტომბრის ბოლო დღეები იწურებოდა. გადავწყვიტე დასასვენებლად წავსულიყავი სადმე. ზაფხულის სეზონი თითქმის დამთავრებული იყო და ზღვაზე წასვლა უკვე შეღავათიანად და ამდენად, უპრობლემოდ შეიძლებოდა. ტურისტულ სააგენტოში ალაღბედზე დავადე თითი ერთ-ერთ ფოტოს, აქ წავალ-მეთქი. ეს აღმოჩნდა ესპანეთის პატარა ქალაქი ტორემოლინოსი... სიტყვა საქმედ იქცა და ჩავედი თუ არა, რამდენიმე დღეში სრულიად მოულოდნელად გავიგე, რომ ექსკურსია იყო დანიშნული რონდაში, რომელიც თურმე იქვე ახლოს მდებარეობდა. რაღა თქმა უნდა, ამ ახალი ამბით გაოცებული, სიხარულით შევეუერთდი მსურველთა ჯგუფს და ავტობუსით გავემგზავრეთ რონდასაკენ.

ფოტოზე: სანტა მარია ფორმოზას ტაძართან, ვენეციაში.

ხვეული გზა შემოდგომის ფერებით მოხატულ მთებს მიუყვებოდა. ეს პატარა უძველესი ქალაქი (ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეოთხე საუკუნეში დაარსებული) მთის თხემზეა გადაშლილი. კლდოვან ხეობაში მაღალი ხუროთმოძღვრული ოსტატობით ჩაშენებული გრანდიოზული, ულამაზესი ხიდი აერთიანებს ძველსა და ახალ ქალაქს, რომელიც ზღაპრულ ტერაკოტისფერ ციხე-კოშკს ჰგავს. მივალწიეთ თუ არა რონდას, ჯგუფის ხელმძღვანელს ვთხოვე, რილკესთან დაკავშირებულ ღირსშესანიშნავ ადგილებს ხომ ვერ მიმასწავლით-მეთქი, მან მართლაც გადაშალა გზამკვლევი და ამიხსნა, რა გზით უნდა წავსულიყავი. რონდას რილკემ „ოცნების ქალაქი“ უწოდა. როგორც შემდეგ შევიტყვე, იგი აქ სასტუმრო რეინა ვიქტორიაში, №34 აპარტამენტში ჩერდებოდა თურმე; რილკეს პოეზიის იმდენი მოყვარული ჩადის რონდაში, რომ სასტუმროსაკენ მიმავალი ქუჩა მისი სახელობისაა და პოეტის მოზრდილი ბარელიეფიც ამშვენებს; სასტუმროს ადვილად მივაგენი, ძველი ინგლისური სტილის შენობა უცვლელად შეუნარჩუნებიათ. იქვე სასტუმროს ეზოში, კვიპაროსების გვერდით, ლამის შეუმჩნევლად დგას რილკეს ბრინჯაოს ქანდაკება, რომელიც მის წინაშე გადაშლილ უკიდევანო სივრცეს გაჰყურებს, ფსალმუნების გალობას უსმენსო თითქოს (რონდაში ყოფნისას დედისადმი მიწერილ წერილში, პოეტი ამ სივრცეს ფსალმუნთა საგალობელ ადგილს ადარებს...). სამახსოვროდ აქაც გადავიღე სურათები და საოცარი ხედით მონუსხულმა, უსიტყვოდ მივაშურე ჩვენს ჯგუფს, რომელსაც დროებით დაეშორდი. ფიქრით კი იმ გამაოგნებელ სილამაზეს ვერ ვცილდებოდი და ქვეშეცნულად ვგრძნობდი, რომ პოეტს ალბათ უზენაესი ძალები თუ სწყალობდნენ, ასეთ ადგილებს რომ ირჩევდა ხოლმე დროებით სავანედ. რონდაში მიღებული შთაბეჭდილება დღემდე დაუვიწყარ, ულამაზეს მოგონებად მრჩება.

„დუინური ელეგიებისა“ და ლუ ალბერტ-ლაზარდის მოგონებების თარგმნის შემდეგ, რაღაც ძალამ გამაბედვინა მეთარგმნა „სონეტები ორფეესისადმი“, რაც თითქმის წარმოუდგენლად მეჩვენებოდა მთელი 15 წლის მანძილზე და ფიქრადაც კი არ გამივლია, სათარგმნელად მეხლო ხელი. თითქოს ერთი ამოსუნთქვით დაწერილი ეს სონეტები ურთულესი გამოცდაა მთარგმნელისათვის. ჩემეული თარგმანის შეფასება კი მკითხველისათვის მიმინდვია.

წიგნი ორენოვანია და 2009 წელს გამოსცა გამომცემლობა „წიგნის სახელოსნო“, შესანიშნავი ფილოლოგი გერმანისტის, მთარგმნელისა და ლიტერატორის თამარ კოტრიკაძის კომენტარებითა და ბოლოსიტყვაობით.


P. S. ლულუ ალბერტ-ლაზარდის მოგონებების წიგნის დასასრულს შთაბეჭდავადაა აღწერილი რილკეს დაკრძალვა და მისი სამუდამო განსასვენებელი რარონში (შვეიცარიის კანტონ ვალეს ერთ-ერთი ოლქში), სადაც პოეტის საფლავის ფილაზე ეპიტაფიად, მისივე იღუმალის სიტყვებია ამოტვიფრული:

**„ვარდო, წმიდაო პარადოქსო,
ენებაჲ წყურვილო, უხვად
დაფენილ ქუთუთოებქვეშ არ
გერქვას ძილი შენ არავისი“.**

ამასობაში რილკეს საერთაშორისო საზოგადოებიდან, შვეიცარიაში რომ დააფუძნეს 1971 წელს და მხოლოდ 350 წევრს ითვლის 22 ქვეყნიდან, უკვე რამდენიმე მოწვევა მომივიდა, რილკესადმი მიძღვნილი სხვადასხვა ღონისძიებებზე დასასწრებად, ერთი გერმანელის, **ჰაინრიხ შმიდტის** კეთილი ნებით, რომელმაც გადაწყვიტა საწევრო შესატანი გადაეხადა ჩემ მაგივრად.

იქნებ რარონშიც მოვხვდე ოდესმე, იქნებ...

ეს კი ლულუსადმი მიძღვნილი ლექსის ჩემეული თარგმანია:



ფოტოზა:
დუინოს კოშკის აივანი.

ლულუს

ეს ჩვენ ვართ ლულუ? თუ ერთმანეთი
 გარდასულებმა სცნეს ჩვენი სახით?
 და ამ გულების განხმული თაღით
 ფრთატერფიანი მიმოდის ღმერთი,

ღმერთი, პოეტებს იხვეჭს რომელიც;
 არსი თავისი შეიცნეს სანამ,
 მყის ამოიცილო, თან წარიტანა
 და განაწესა განუზომლისთვის.

ო, მარტოოდენ ღმერთს შესწევს ძალა
 ჯერო უსურველი გახსნას, დასახოს,
 და ორ დღეს შუა ვით ღამე სახლობს
 იგი ანაზდად ჩვენს შორის ახლოს
 დგას და ციმციმა ვარსკვლავნი ახლავს.
 ჩვენში პოეტებს უხმობს და ამხელს.
 შენ ჩუმად ღვივი, გზნებით ვღვივი მეც
 და მისი ცისკრის ფრთანათელ მერცხლებს,
 გასხვიოსნებებს სახეში გვახლის.



ფოტოზა:

რილკეს ქანდაკება რონდაში.



ქართველები შინ და გარეთ

ფარნა-ბექა ჩილაშვილი

დამსხვრეული შუშის დღე

დილით ჩვეულებისამებრ ვისაუზმე, ჩანთის სახელური თავსა და მკლავებზე გადავიტარე და კისერზე ჩამოვიკიდე. „სიმძიმე ზურგს გაასწორებს“, – გამახსენდა ვილაცის ნათქვამი და მსუბუქად წავტორტმანდი.

სკოლის გზას გავუდექი. ჩემთვის გზის დასასრული ის ადგილი იყო, საიდანაც სკოლა მოჩანდა. გზა მერეც გრძელდებოდა, მაგრამ საით მიდიოდა, ჩემთვის უცნობი იყო, კიკის კი ყოველთვის იმ გზიდან მომავალს ვხედავდი.

ახლაც ისევე, როგორც ყოველ დილით, კიკის გზაზე შევხვდი. მხარზე ერთმანეთზე დაწყობილი ყუთები ედო. ყუთები იმსიმაღლე იყო, გეგონებოდა, ცის თაღს წვდებოდა. დანამდვილებით არ ვიცი, ყუთების ასეთი სიდიდე ჩემი ბავშვობის გამო მეჩვენებოდა ასე, თუ მართლაც ასე იყო. ყოველ ჯერზე კი გაოცებული ვრჩებოდი, თუ როგორ ახერხებდა კიკი ასეთი უზარმაზარი ყუთების ტარებას.

კიკი დაბალი, პატარა ტანის კაცი იყო. სახე და თვალები წვერებს შორის ჩამალვოდა. ჩემი იმდროინდელი ფიქრით ძალიან მოხუცი იყო. იმდენად მოხუცი, რომ შეუძლებელი იყო მისი ასაკის გამოცნობა. მაშინ შვიდი წლისა ვიყავი და ალბად ამიტომ არ შემეძლო კიკის ასაკის გამოცნობა. ახლა კი რატომღაც ვფიქრობ, რომ სამოცდაათი წლისა იქნებოდა.

კიკი მხოლოდ მოხუცი კი არა, განსხვავებული, სხვებისგან გამორჩეული ადამიანიც იყო. კიკის ჩემი მშობლებისნაირ ადამიანებს ვერ ვამსგავსებდი. ამის მიზეზი ის ამბებიც იყო, ხალხი რომ ყვებოდა კიკისა და მისი ოჯახის შესახებ და მე მაფორიაქებდა. კიკის ერთი ვაჟი ჰყავდა – მემედა. მემედა გიჟი იყო. მისი მთელი დღის საქმიანობას ერთი ხის განუყრელი ნაჭრით ზღვის ნაპირზე ჯდომა და ზღვისთვის ცქერა წარმოადგენდა. მემედა არავისთან საუბრობდა, გზასაც კი ისე არჩევდა, არავის გადაჰყროდა. ზღვისპირას მჯდომი, შიგადაშიგ ერთი და იგივე სიტყვებს ბუტბუტებდა:

– უსმინე, დამსხვრეული შუშის ხმას, ეს სტრუმაა.

როცა დაბინდებოდა, გარეთ ყოველ კუთხე-კუნჭულში მემედა მელანდებოდა. საითაც არ უნდა გამეხედა, ვფიქრობდი, რომ მას დავინახავდი; რომელ მხარესაც არ უნდა წავსულიყავი, მეგონა, რომ ის შემხვდებოდა. ახლა, როცა ამაზე ვფიქრობ, მგონია, რომ მემედა ახლაც, თითქოს, ისევ ზღვის ნაპირას ზის, ხელში ის ხის ნაჭერი უჭირავს და ისევ ზღვას გასცქერის. ყურში კი ისევ ჩამესმის მისი სიტყვები: „უსმინე დამსხვრეული შუშის ხმას, ეს სტრუმაა“. ამ სიტყვებს, რატომღაც, როგორც გულშიჩამწვდომი ხმით ნამღერს, ისე აღვიქვამდი.

– ასეთ უზარმაზარ ტვირთს როგორ ატარებ? – ვკითხე კიკის.

– თუ გინდა, მეორე მხარეს შენც შეგისვამ, – მიპასუხა კიკიმ ისე, რომ თავი არ აუნწევია. თავი რომ აენწია, დავიმახსოვრებდი მისი სახის მაშინ-



ფარნა-ბექა ჩილაშვილი უნივერსიტეტში დაბადებული და თურქეთში მცხოვრები ქართველი მწერალია. განათლებით ჟურნალისტი წლების განმავლობაში ენციკლოპედიურ გამოცემებში მუშაობდა. ავტორია არა ერთი სამეცნიერო ნაშრომისა.

ქართულიდან თურქულად თარგმნის ლექსებს, ნოველებს და ისტორიულ თხზულებებს. 2007 წლიდან თურქეთში მისივე დაარსებული თურქულ-ქართული ჟურნალის, „ფიროსმანის“ მთავარი რედაქტორია.

ავტორია პოეტური და პროზაული კრებულებისა: „აპრილის ლექსები“, „დამტოვე შორს“, „უსიყვარულოდ ბედნიერება არ არსებობს“, „უჩინმაჩინი“.

ქართულად ითარგმნა და გამოიქცა ფარნას რჩეული მოთხრობების კრებული „სასაზღვრო ფიქრები“. აღსანიშნავია, რომ ბოლო დროს იგი ლექსებსა და მოთხრობებს ქართულადაც წერს.



დელ გამომეტყველებას. სახტად დავრჩი და თითქოს ენა გადავყლაპე. კიკის მხარზე თუ შემოვუჯდებოდი, ყუთებისხელა თუ არა, მაინც მძიმე ვიქნებოდი და პატარაობაც გაქრებოდა.

– მოდი, მხარზე შემაჯექი, – დაიჟინა კიკიმ. მე ვერაფერს ვეუბნებოდი, მაგრამ ადგილიდანაც ვერ ვიძროდი. თუმცა მხარზე შეჯდომა ნამდვილად მინდოდა. თან მაინტერესებდა, როგორი იქნებოდა და ისიც მაინტერესებდა, სიმძიმისგან წაიქცეოდა თუ არა კიკი. თუ წაიქცეოდა და ადგომას ვერ შეძლებდა, მეც ბევრი მოსაყოლი მექნებოდა ამხანაგებთან.

– მიდი, შემაჯექი, შემაჯექი, – დაჟინებით განაგრძობდა კიკი გასაადვილებლად წინ გადმოიხარა და მის მხარზე აღმოვჩნდი. კიკის ერთ მხარზე მე ვიყავი წამოსკუპებული, მეორეზე კი უზარმაზარი ყუთები ედო. კიკი გარბოდა, მაგრამ როდის დაიწყო სირბილი, არც ეს მახსოვს. ვიცინოდი და ვხითხითებდი. კიკის სწრაფი სირბილის გამო თითქოს შიგნეულობა ამომიტრიალდა და თან კი უზარმაზარ სიამოვნებას განვიცდიდი. ცოტა ხნის შემდეგ კიკი გაჩერდა, ცოტა დაიხარა და მიწაზე დამსვა.

– ასეთი ძლიერი როგორ ხარ? – ვკითხე კიკის.

– იმიტომ, რომ დაბალი ვარ, – მიპასუხა მან.

– მალლები ძლიერები არ არიან? – გავაგრძელე კითხვების დასმა და მამაჩემი გამახსენდა. კიკისთან შედარებით საკმაოდ მაღალი იყო მამაჩემი. ისე, მამაჩემიც ძლიერი ადამიანი იყო. უზარმაზარი რალაცების აწევა და ტარება შეეძლო, თუმცა, როცა მძიმე რალაცის აწევა უხდებოდა, მთელი ქვეყნიერების, გამჩენის და ყველას მისამართით საშინელი ლანძღვა-გინების კორიანტელს აყენებდა. კიკი კი ისე ლაპარაკობდა, თითქოს ზურგზე არანაირი სიმძიმე არ ჰქონოდა და თან ყველას უღიმოდა. განსხვავებული, სხვებისგან გამორჩეული ღიმილი იცოდა კიკიმ. ეს ღიმილი მეხსიერებიდან არ წამშლია და ახლაც მახსოვს.

– მაღალი ადამიანები ძლიერებივით გამოიყურებიან, მაგრამ ძლიერები არ არიან, – მტკიცე ხმით განაგრძობდა კიკი საუბარს. – ჩვენ განსხვავებულები ვართ. ხორცსა და ძვალს ერთიანად ვჭამთ. თევზსაც ფხიანად მივირთმევთ. ძვლები და ფხა ადამიანს ძალას მატებს. პატარა ცხოველებსა და ძალიან ბევრ მცენარესაც უმად ვჭამთ.

იმ წუთას ისევ გამახსენდა, თუ რატომ მეშინოდა კიკის და მემედასი. რამდენიმე ნაბიჯით უკან დავიხიე. ეს რომ კიკიმ შეამჩნია: „ნუ გეშინია, შესაშინებელი არაფერია-ო“, მითხრა და დაუმატა: „იცი, ჩვენ მხოლოდ ლამლამობით ვჭამთ საჭმელს“.

უბანში, ჩემზე უფროსი ბავშვებიც იგივეს ყვებოდნენ, კიკისიანები სხვანაირები არიან და უმ ხორცს ჭამენო. თანაც იმასაც ამბობდნენ, რომ კიკის ბაბუა, რომელიც დიდი ხნის გარდაცვლილი იყო, პატარა ბავშვებსაც კი ჭამდა ცოცხლად. კიკი – უბნელების შერქმეული სახელი იყო და ჩემს მსგავსად, მისი ნამდვილი სახელი ძალიან ბევრმა ადამიანმა არ იცოდა. ფიქრობდნენ, კიკიმ არ იცოდა, მას რომ კიკის ეძახდნენ. ამიტომ, როცა უბნის ბავშვები შორიდან კიკის დაინახავდნენ, ასე გაჰყვიროდნენ: „კიკი, მელაკუდა კიკი“. ზოგიერთები ამ სიტყვებს მწყობრ ტემპსაც კი აძლევდნენ:

ერთი ჯგუფი: „კიკი, კიკი“!

მეორე ჯგუფი: „მელაკუდა კიკი“-ს გაიძახოდა და ასე აგრძელებდნენ...

კიკიმ იცოდა მთარული ხმების შესახებ და ამიტომაც მითხრა: „ხომ იცი, ჩვენ საჭმელს ღამლამობით ვჭამთ-ო“.

– და ღამლამობით წისქვილის ქვაზეც გძინავს? – ვკითხე.

– მართალია, მაგრამ შენ საიდან იცი? შენ ხომ არასოდეს გინახავს, თუ როგორ ძძინავს წისქვილის ქვაზე!

ნახვით კი მართლაც არ მენახა და ეს მანაც იცოდა. თუ კიკიმ ყველაფერი ასე იცოდა, მაშინ წისქვილის ქვაზე ძილის დროსაც ეცოდინებოდა ყველაფერი, მე რას ვაკეთებდი და სად ვიყავი.

– ამიტომ, გელოდება მემედა ღამლამობით წისქვილთან?

– ხო, მემედა წისქვილს წყალს აძლევს და ბორბალს ატრიალებს. ამ დროს მე ძძინავს. მერე მემედა წვება წისქვილის ქვაზე და მე ვაძლევ წყალს და ასე რიგრიგობით.

– სკოლაში მაგვიანდება, – წამოვიყვირე და კიკის სირბილით გავშორდი.

– ეგრე სწრაფად ნუ გარბიხარ, დაეცემი, – მომაცხა კიკიმ. ბოლო სიტყვები გავიგონე თუ არა, წავიბორძიკე და დავეცი. თავი აწეულიც არ მქონდა, რომ კიკი უკვე ახლოს დავინახე. მე უკვე ფეხზე ვიყავი, მაგრამ კიკიმ როდისღა გამომინოდა ხელი, ვერ გავიგე.

– არ ირბინო. ჩემს გამო უკვე დააგვიანე. თანაც ახლოს ხარ, – კიკის სიტყვები მაშინ წამომენია, როცა სკოლის კარებს ვაღებდი. ამ დროს ზურგიდან ჩემი ძმის ხმაც გავიგონე – მე მეძახდა.

– სად იყავი? გაკვეთილი ხუთი ნუთია დაიწყო, – მკითხა.

გამახსენდა, მე და ჩემი ძმა სახლიდან ერთად გამოვედით და სკოლაშიც ერთად მოვედით. ჩემს ძმას გაკვირვებულმა შევხედე. ჩემი გალურჯებული სახე რომ დაინახა, შეშინებული ხმით მკითხა:

– ავად ხომ არა ხარ?

მე ხშირად ვავადმყოფობდი და როცა ჩემი ძმა რაიმე უცნაურს შემამჩნევდა, მაშინვე, ავად ვიყავი თუ არა, იმას მეკითხებოდა.

– იცი, გზაზე კიკის შევხვდი.

– რა თქმა უნდა, ვიცი. ჩვენ ხომ ერთად მოვედით ... – მიპასუხა უფრო გაკვირვებულმა.

ჩემი ძმა ჩემზე ერთი წლით უფროსი იყო და სხვადასხვა კლასში ვსწავლობდით. სკოლაში ორივენი ერთად დავდიოდით. ჩემს ძმას ალბათ ვერ წარმოედგინა, გზაზე რამე მომხდარიყო და მას ვერ შეემჩნია.

– მაგრამ... მე... მე, – დავაპირე, რომ რაღაცა მეთქვა.

– რა? რა მოგივიდა? – მკითხა ჩემმა ძმამ.

– არაფერი, ცოტა თავბრუ მესხმის. ეს არის მხოლოდ!

საკლასო ოთახში რომ შევედი, მასწავლებელი დაგვიანების გამო გამიბრაზდა და კუთხეში ცალ ფეხზე დადგომა მომიხაჯა.

დასჯილმა შორიდან თითქოს კიკი დავინახე, მილიმოდა და თითქოს მებოდიშებოდა: „ყველაფერი ჩემი ბრალია“.



თურქულიდან თარგმნა ციცო კაიკაციშვილმა

კრიტიკა

გვანცა ჯობავა

**აზრი გამოთქმული ალმანახ „თაობების“ თაობაზე
 ნამოწყაბული დისკუსიის შესახებ**


საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტერატურულ ფორუმ „ებლიტფოს“ მიერ 2007-2008 წლებში გამოცემული ალმანახის „თაობების“ პირველი და მეორე ნაწილი ახლახანს, 2-3 წლის დაგვიანებით, ჩამივარდა ხელში. „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო“, თუმცა წიგნის ნაკითხვა არასდროს გვიან არ არის, რომელ წელსაც არ უნდა იყოს გამოცემული. ზემოხსენებულ წლებში მეც ვიყავი ამ ფორუმის მოკრძალებული წევრი და, რა თქმა უნდა, მსმენია პროექტ „თითო-თითოს“ შესახებ, რომლის მიხედვითაც „ებლიტფოს“ ნებისმიერ ავტორს შეეძლო წარედგინა თავისი ერთი ნაწარმოები, რომელიც ულაპარაკოდ დაიბეჭდებოდა ალმანახ „თაობებში“. მსმენია, თუმცა მე პირადად მონაწილეობა არ მიმიღია და არც რამე გამიგზავნია დასაბეჭდად.

ვცადე გამეხსენებინა, რატომ მოვიქეცი ასე. დაზუსტებით ვერ ვიხსენებ, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ალმანახში მოხვედრის პრინციპი ძალიან მარტივი იყო, ალბათ მე თვითონ ვიტვირთე საკუთარი ლექსების „კრიტიკოსობა“, ან ალმანახის რედაქტორობაც კი ერთი კონკრეტული შემთხვევისთვის და მივიღე გადაწყვეტილება, რომ ეს არაა ის ავტორი, რომელიც მზადაა ალმანახ „თაობებში“ მოსახვედრად (და ეჭვი მაქვს, რომ მე არ ვიყავი ერთადერთი ავტორი, რომელიც ასე მოიქცა).

მას შემდეგ, რაც ალმანახის ორივე ნაწილი გადავიკითხე, მის ავკარგიანობას მიძღვნილ კრიტიკულ წერილებსაც გავეცანი. როგორც აღმოჩნდა, „თაობებს“ პირველად ქალბატონი ლელა კოდალაშვილი გამოეხმაურა წერილით: „ალმანახი „თაობები“ და ბოლო წლების ლიტერატურული კლიმატი საქართველოში“ („ჩვენი მწერლობა“, 2009, №13). რასაც მოჰყვა პროექტის ავტორის გიორგი კილაძის საპასუხო წერილი ერთ-ერთ ინტერნეტსაიტზე, რომელიც ასე იწყება: „ყურადღებით წავიკითხე ქალბატონ ლელა კოდალაშვილის წერილი... და პირველი, რისი სურვილიც გამიჩნდა, მადლობის გადახდაა, რასაც განსაკუთრებული სიამოვნებით ვასრულებ.“ გასაგებია, რასაც გულისხმობს ბატონი გიორგი, ნებისმიერი წიგნისთვის ერთი კრიტიკული წერილიც კი უკვე პატარა გამარჯვებაა, თუმცა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქალბატონმა ლელამ წერილში „თაობების“ უამრავ უარყოფით მხარეზე მიუთითა.

„ერთ-ერთი გამოცემა, რომელიც არათუ ვერ აცდა ფასეულისა და უხარისხოს გვერდიგვერდ დაბეჭდვის მომენტს, პირიქით, იმის ერთგვარ ნიმუშადაც კი იქცა, თუ რამხელა ფორმატი შეიძლება დაეთმოს ე.წ. ანტილიტერატურულ ტექსტებს, გახლავთ ალმანახი „თაობები“, რომლის ორი ნომერი ერთი წლის შუალედით გამოიცა და რომელმაც ფაქტობრივად ზუსტად ასახა დღეს ამ სფეროში შექმნილი რეალური

სურათი“, – წერს ქალბატონი ლელა, რაზედაც პროექტ „თაობების“ ავტორი ასე უპასუხებს: „აღმანახი კი ვერ აცდა ფასეულისა და უხარისხოს გვერდიგვერდ დაბეჭდვის მომენტს, არამედ არ აცდა, რამდენადაც ჩემი, როგორც ამ ვირტუალური ლიტერატურული პროექტის ავტორის ჩანაფიქრი ლიტერატურულ, განსაკუთრებით ვირტუალურ ლიტერატურულ სფეროში შექმნილი სურათის რეალურად ასახვა იყო“.

საბოლოოდ კი, ამ დისკუსიას გამოეხმაურა მარსიანი, ასე ვთქვათ, შემაჯამებელი წერილით, რომელსაც ასევე ინტერნეტის საშუალებით გავეცანი.


დისკუსიაში მონაწილეთა ჩამოთვლის შემდეგ უკვე ცხადი ხდება, რომ ჩემი თითქმის უცნობი სახელისთვის ძალიან დიდი პასუხისმგებლობა და, შეიძლება ითქვას, „ზედმეტი თავის ტკივილიცაა“ კიდევ ერთი გამოხმაურების დაწერა, მაგრამ რადგანაც უკვე შემიჩნდა აუტკიებელი თავის ატკიების სურვილი, აღარ დავიხვევ უკან და ზედმეტი ამბიციურობის გარეშე, ძალიან მოკრძალებულ და ძალიან უბრალო აზრს გამოვთქვამ უკვე მრავალგზის განხილულ საკითხთან დაკავშირებით. ჩემს წერილს ამიტომაც დავარქვი უბრალოდ „აზრი გამოთქმული აღმანახ „თაობების“ ირგვლივ არსებული დისკუსიის შესახებ“.

აღმანახის პირველი ნაწილი იწყება ლელა სამნიაშვილის წინათქმით, რომელშიც იგი წერს: „საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტერატურულ ფორუმ „ებლიტფოზე“ გაცოცხლებული სიტყვები, ამ აღმანახის სახით, ძველი და ახალი გზების შერწყმაცაა და დაზავებაც. „ებლიტფომ“ ზუსტად ერთი წელი უმასპინძლა სხვადასხვა თაობის მწერლებს, როგორც უკვე დამკვიდრებულ ავტორებს, ასევე დამწყებებს, ყველას, ვისაც ქართული ენა საკუთარი შინაგანი ხმის სიტყვებში გადატანისა და თხზვის გამბედაობას აძლევს. რამდენად გამართლებულია აღმანახში წარმოჩენილი ავტორების მხრიდან ასეთი გამბედაობა, ამას უკვე შენ განსჯი“.

აქვე მოვიშველიებ ბატონ გივი ალხაზიშვილის სიტყვებსაც – „ყველა ავტორი საკუთარი ნაწარმოებით აგებს პასუხს მკითხველის წინაშე“, რომელიც, როგორც ბატონი გიორგი კილაძე წერს, მისთვის პირად საუბარში უთქვამს ბატონ გივის.

უნდა ჰყოლოდა თუ არა აღმანახ „თაობებს“ რედაქტორი? ჩემი მოკრძალებული აზრი და პასუხი იქნებოდა: აუცილებლად! აი, თუნდაც დღეს რომ იბეჭდებოდეს ამ კრებულის მესამე ნაწილი, თუ მაინც წამცდებოდა ხელი და მეც დავაპირებდი საკუთარი ნაწარმოების გაგზავნას, ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი და სასიხარულო იმ შემთხვევაში იქნებოდა „თაობებში“ მოხვედრა, თუ მას ეყოლებოდა კომპეტენტური რედაქტორი და სარედაქციო კოლეგია, რომლებიც, თუ მეტყოდნენ, რომ ლექსი ღირსია დაიბეჭდოს, მაშინ უფრო დიდი წარმატება იქნებოდა ჩემთვის იქ მოხვედრა, რადგან ერთი ან რამდენიმე კომპეტენტური ადამიანისგან მაინც მექნებოდა დასტური, რომ ჩემმა ლექსმა, თუნდაც ძალიან დაბალი, მაგრამ მაინც რაღაც ბარიერი გადალახა. სხვა შემთხვევაში ჩემთვის, როგორც ახალგაზრდა ავტორისთვის, ამ კრებულში ძალიან ადვილად, „გამოცდის ჩაუბარებლად“ მოხვედრა, იქნებოდა განუწყვეტელი ფიქრი და დარდი იმაზე, რომ დაუმსახურებლად აღმოვჩნდი ბევრი ცნობილი და ჩემთვის საყვარელი ავტორის გვერდით. შესაბამისად, უხერხულობას იგრძნობდნენ ეს ნიჭიერი ავტორებიც იმის გამო, რომ მათი თხზულებე-





ბის გვერდით სუსტი ლექსები დაიბეჭდა, და ეს ყველაფერი კი განცვიფრებას გამოიწვევდა კომპეტენტურ მკითხველში, რომელიც ვერ გარკვევდა, რა საერთო აქვთ ერთმანეთთან ერთ ალმანახში თავმოყრილ შესაძლოა რადიკალურად განსხვავებული დონის ავტორებს. შეინიშნება თუ არა „თაობებში“ მსგავსი უხერხულობა, რაც ზემოთ ვახსენე, ეს ჩემი განსასჯელი არაა, რადგან უფრო სუბიექტურ აზრად ჩაითვლება, ამიტომ ამ შეკითხვას ღიად დავტოვებ, უფრო კომპეტენტური ხალხის განსასჯელად.

თუმცა ყოველივე, რაც ზემოთ ითქვა, სულაც არ გულისხმობს იმას, თითქოს მივიჩნევდე, რომ 2007 და 2008 წლებში გამოცემული ალმანახ „თაობების“ სახით ჩატარებულმა ექსპერიმენტმა არ გაამართლა. თუმცა კი ქალბატონი ლელა კოდალაშვილი წერს: „თაობებში“ რა ხდება? ცხადია, რომ აქ დიდი დოზითაა თავმოყრილი ე.წ. „ხლამი“ და მხოლოდ ალაგ-ალაგ – საინტერესო გვარ-სახელები...“. ამ სტრიქონების ნაკითხვის შემდეგ კიდევ ერთხელ გადავშალე სარჩევი და შემდეგი გვარ-სახელები ჩავიკითხე:

გივი ალხაზიშვილი, ნინო თარხნიშვილი, თეონა დოლენჯაშვილი, იზა ორჯონიკიძე, ლელა სამნიაშვილი, თეა თოფურია, გიო საჯაია, თამრი ფხაკაძე, ეკა ქევანიშვილი, ეთერ თათარაიძე, ირმა ტაველიძე, ნატო ინგოროყვა, ნატა ვარადა, გიგა ნასარიძე, ზურაბ რთველიაშვილი, შოთა იათაშვილი, ბელა ჩეკურიშვილი, რეზო გეთიაშვილი, ბესო ხვედელიძე, ირმა მალაციაძე, მარიანა ნანობაშვილი, მაკა მიქელაძე, მიხო მოსულიშვილი, ზაზა ბიბილაშვილი, მარსიანი, გიორგი ბუნდოვანი, მარიამ ნიკლაური, დიანა ანფიმიადი, ლელა კოდალაშვილი, ქეთი გზირიშვილი, ქეთი დიდიშვილი, ნათია ნაცვლიშვილი, ჰექსე, ვასილ გულეური, ნინო სადღობელაშვილი, ზვიად რატიანი და მრავალი სხვა.

შეუძლებელია დღეს შევსულიყავი წიგნის მალაზიაში, მენახა ერთ კრებულში თავმოყრილი ეს ავტორები და ასეთი წიგნი არ შემეძინა.

ვიფიქრე იმაზეც, ვინ დამაკლდა ამ ალმანახში... ალბათ, გიორგი ზანგური, გიორგი შალამბერიძე, რატი ამალღობელი, კატო ჯავახიშვილი, გიორგი არაბული, გიორგი კეკელიძე და მრავალი სხვა. შეგნებულად მხოლოდ ახალი თაობის ავტორები დავასახელე, იმედია, ამის გამო მეც „ლიტერატურის ფსევდომომხმარებელთა“ სიაში არ აღმოვჩნდები...

„თაობებში“ დაბეჭდილი ბევრი ავტორი, რომელიც ალმანახების გამოცემის დროს, შესაძლოა, არც ისე ცნობილი იყო და მხოლოდ იწყებდა ლიტერატურულ საქმიანობას, დღეისათვის უკვე ცნობილი სახელია, ზოგი მათგანი ამასობაში არაერთხელ გახდა ლიტერატურული პრემიების „წეროს“, „ლიბ.გეს პრემიის“, ახალდაარსებული „ბარათაშვილის პრემიის“, „საბას“, „გალასა“ და ა. შ. მფლობელი. თუმცა სხვა საკითხია, რომ, საზოგადოდ, პრემიები, მე მაინც პირობითი ჯილდოები მგონია, – ესეც, უბრალოდ, ჩემი პირადი აზრია. მაგრამ ვერავინ უარყოფს, რომ ეს პრემიები, ასე თუ ისე, იწვევს ავტორის პოპულარობას, რაც განსაკუთრებით ახალგაზრდა ავტორებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია იმ ვითარებაში, როდესაც საქართველოში დღეს არსებული არცთუ ისე სახარბიელო მატერიალური მდგომარეობის გამო (და არა მხოლოდ ამის გამო), არავინ იყიდის მისთვის უცნობი ავტორის წიგნს მარტო იმის იმე-


დით, რომ შეიძლება ამ უცნობი ავტორის სახით ახალი გენიოსი აღმოაჩინოს. ალბათ უკვე ყველამ კარგად იცის, რომ დღეს იმდენად ადვილია წიგნის დაბეჭდვა, რომ წიგნის გამოცემა, მითუმეტეს, უცნობი ავტორების მიერ, ბევრს არაფერს მეტყველებს. სწორედ ამიტომ – პრემიების მიღება – პოპულარობა – წიგნის გაყიდვულ ეგზემპლართა რაოდენობის ოდნავი მატება მაინც – ეს კომპონენტები ერთმანეთზეა მიბმული. ამიტომაც ალბათ თითქმის ყველა მიისწრაფის პრემიებისა და წარმატებისკენ, ბოლოს და ბოლოს მწერალს სჭირდება, რომ ადამიანებმა დააფასონ მისი შრომა, მკითხველის გარეშე ყოფნა კი ალბათ ყველაზე ძნელი ასატანია მწერლისთვის.

თუმცა ქალბატონი ლელა კოდალაშვილი შესაძლოა ამგვარ პრემიებსაც გულისხმობდა, როდესაც წერდა: „პიარის ჯადოქრული შესაძლებლობა ეფექტურად მხოლოდ გასასაღებელ მედიკამენტებზე, პროდუქტებზე ან რესტორნის ქსელზე კი არ მუშაობს, არამედ ადამიანის მსოფლმხედველობაზე, აზროვნებაზე, სულიერ ფასეულობებზეც კი... ჭეშმარიტ მომთხოვნელთა რიგებს მიემატა ფსევდომომხმარებელი, რომელიც მხოლოდ გაპიარებულ წიგნებს ყიდულობს...“.

რაც შეეხება ქალბატონ ლელა კოდალაშვილის მოსაზრებას: „თაობებისადმი საზოგადოების ნაკლები ინტერესის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი კი ისაა, რომ აქ წარმოდგენილმა ცნობილმა და მეტ-ნაკლებად პროფესიონალმა ავტორებმა, იმის გამო, რომ აღმანახი ჰონორარს არ გასცემდა, თან ცნობილი იყო, რომ უამრავ არაპროფესიონალსაც დაბეჭდავდა, არ გაიმეტა ახალი ნაწარმოებები და აღმანახში მიიტანა მანამდე (ზოგმა რამდენიმეგზის) გამოქვეყნებული ტექსტები, მაინც არავინ წაიკითხავს“. არ ვიცი, მართლა ასე მოიქცნენ აღმანახში შესული ავტორები თუ არა, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან ეს პრობლემა ნაკლებად შესამჩნევია, რადგან ჩემთვის, ადამიანისთვის, რომელიც ამ კრებულს დღეს კითხულობს, ის ნაწარმოებებიც ძველია, რომლებიც დაიბეჭდა და სულ ცინცხალი ნაწარმოებებიც რომ გაეგზავნათ ავტორებს გამოსაქვეყნებლად, დღეისთვის ისინიც ძალიან ძველი და მრავალგზის გამოქვეყნებული იქნებოდა. რაც შეეხება ხარისხს, მე მაინც მგონია, რომ, რაც არ უნდა არაფრად ჩაეგდოთ ავტორებს ეს აღმანახი, მეეჭვება ვინმეს საკუთარი თავი ისე გაემეტებინა, რომ შეგნებულად მიეტანა დაბალი ხარისხის ან სავარჯიშოდ დაწერილი ნაწარმოებები.

გარდა ამისა, მოვიშველიებ მარსიანის სიტყვებსაც: „ერთი რამ უნდა გავითვალისწინოთ – აღმანახში ავტორები თითო ნაწარმოებით არიან წარმოდგენილი და ამდენად, მათი ნიჭიერების განსაზღვრა ალბათ არცთუ შეუმცდარი იქნება; მეტი სიზუსტისათვის, აჯობებდა თქმულიყო, რომ აქ დაბეჭდილი ნაწარმოებები ხარისხობრივად საშუალო ან საშუალოზე დაბალი დონისაა“. თუმცა უკანასკნელი მოსაზრება ნაწარმოებების ხარისხთან დაკავშირებით მხოლოდ მარსიანის მოსაზრებაა და მე მას ვერ გავიმეორებ ერთი მარტივი მიზეზის გამო – მე არ მაქვს მსგავსი შეფასებების უფლება.

ბატონმა გიორგი კილაძემ ლელა სამნიაშვილის სიტყვები მოიშველია და თავის წერილში ასეთი შეკითხვა დაუსვა საკუთარ თავს: „იქნებ მართლა არ ღირდა დამწყებებისთვის, ვისაც ქართული ენა საკუთარი შინაგანი ხმის სიტყვებში გადატანისა და თხზვის გამბედაობას აძლევს, უკვე გამოცდილი ან, როგორც ზოგიერთები ამბობენ, „უკვე შემდგარი“





მწერლების ერთ აღმანახში გვერდით „დგომის“ საშუალება მიმეცა?“ – და იქვე ცალსახად უპასუხებს ამ შეკითხვას: „ღირდა!!!“

ჩემი საბოლოო შეფასებაც ასეთი იქნება: ღირდა!!!

ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ხომ ლიტერატურაზე ვსაუბრობთ...

სავსებით ვეთანხმები მარსიანის მოსაზრებას, რომ „ჩვენ ლიტერატურისგან შეუძლებელი არ უნდა მოვითხოვოთ და გამუდმებით შედეგების ცვენას არ უნდა ველოდეთ... რაც დაინერა, იმის წაკითხვა და გაგება შევძლოთ და ნებისმიერი მოკალმისგან პოეტურ სასწაულებს ნუ მოვითხოვთ“.

მე ვერ მივემხრობი პოეზიის, მწერლობის რაიმე ჩარჩოში მომწყვდევას. ლიტერატურა თავისუფლებაა... ღია სივრცე ნებისმიერი სახის ექსპერიმენტისათვის... ათასიდან ერთმა ექსპერიმენტმაც რომ გაამართლოს (და აუცილებლად გაამართლებს), „ციხე-სიმაგრის ასაშენებლად ერთით მეტი აგური გვექნება“ და ათასივე ექსპერიმენტი გამართლებული იქნება ამ ერთის გამო...


დასასრულ კი ბატონ გივი ალხაზიშვილის ზემოთ უკვე ნახსენებ სიტყვებს მოვიშველიებ და ვიტყვი, რომ „დაე, ყველა ავტორმა საკუთარი ნაწარმოებით აგოს პასუხი მკითხველის წინაშე“, დრო მაინც ყველაფერს თავის საცერში გაცრის და ყველაფერს კუთვნილ ადგილს მიუჩენს...

P. S. რაც შეეხება აღმანახ „თაობების“ მესამე ნაწილს, ძნელი სათქმელია როგორი უნდა იყოს იგი, მაგრამ მე ორ ჩემთვის მნიშვნელოვან და განმსაზღვრელ კომპონენტს გამოვყოფდი:

პირველ ყოვლისა იმას, რომ აღმანახის მესამე ნაწილს აუცილებლად უნდა ჰყავდეს კომპეტენტური რედაქტორი და სარედაქციო კოლეგია.

მეორე მნიშვნელოვანი კომპონენტი კი არის ის, რომ „თაობებმა“ უნდა შეინარჩუნოს ძველი სტილი და არაფრით არ უნდა გახდეს მიუწვდომელი ხილი უცნობი ავტორებისთვის, აღმანახმა არაფრით არ უნდა დაკარგოს ახლის თქმის და ახლის აღმოჩენის შესაძლებლობა, ახლის და, რა თქმა უნდა, ხარისხიანის, რისი გარანტიც სწორედ კომპეტენტური სარედაქციო კოლეგია უნდა გახდეს. აღმანახმა „თაობებმა“ არ უნდა დაკარგოს შანსი, იამაყოს წლების შემდეგ, რომ სწორედ მან დაუთმო პირველად საკუთარი ფურცლები ყველასთვის უცნობ ავტორებს, რომელთაგან თუნდაც ერთი სამომავლოდ შეიძლება ნამდვილ აღმოჩენად იქცეს ქართულ ლიტერატურაში.

„ინტელექტი“ გთავაზობთ



ახალგაზრდა პოეტები
„100 ლექსი“

კრებულში შესულია 33 ახალგაზრდა პოეტი, რომელთა ასაკიც 30 წელს არ აღემატება.

წინასიტყვაობა – „ბავშვობანართმეული თაობა“ – ლევან ბრეგაძეს ეკუთვნის. შეადგინეს ზვიად კვარაცხელიამ და მაია კუდავამ.

ახალი თარგმანები

გუსტავ რუ
რეჟისორი

I

არა, განა ეს თოვლი, ერთ ღამეში დადებული მქრქალ-მენამული მზის ქვეშ, სადაც მზერა, ჩიხში მოქცეული ათასობით ნიშნის მიერ, ამდენი ყინულადქცეული ცხოველის ხრიკების, ნადირობების, დამშეულობის გამოცნობას მოწყენილი ღამობს! რა მოვუხერხო ამდენ ნაფეხურს, ადამიანის კვალს ასე რომ ჩამოჰგავს? ყველა მათგანი ბუნაგისკენ ან სისხლისკენ მიიწევს.

თოვლზე კი სულ სხვა ნიშნებია; მის უმანკო, ხელუხლებელ მხარს ჩიტები ფრთის ერთადერთი მოქნევით დასჭრიან ხოლმე. სხვა სამყაროს მიერ დასმული ამ ბეჭდის წინაშე კანკალს ავუტანივარ. მისმინე! ჩემი სიმარტოვე თოვლივით სრულყოფილია და წმინდა. მოდი, იგივე ჭრილობები დაამჩნიე. გულის ერთი გაძგერება, ერთი ჩრდილი და ამ დავსილმა მზერამ ვინძლო შენი მიღმეთი ისევ დაინახოს.


მოდი. აქ არავინაა. მარტო ვარ ჩიტებთან ერთად. შევყურებ წყალს, ხმელი ფოთლებით და ქაფით მოვარსკვლავებულს. სახლებს ვაკვირდები, აი, ამ ღამაზე სოფლებს, თითქოსდა კალათიდან წითელი ვაშლებივით გადმობნეულებს, – ყველა იმ სოფელს, მე რომ მიყვარდა. მოდი, ვინმე მაინც შეგვიფარებს, ვიდრე ღამპრები ჯერ კიდევ ანთია. ყველა კარი როდია ჩარაზული. ერთ-ერთი მაინც ამ ზორბა, ლურჯი მეგუთნეებიდან, ჩალითა და დამპალი ხილით მოფენილ შარაზე რომ ამოდიან ხოლმე, ჩვენს ძიებას შეიწყნარებს და გვიცნობს ისევ. ჩვენ მიერ ყოველ ღამე ნანახი სიზმარი უნდა ახდეს, სიზმარი, სადაც შენ ლოცვამდე, დათქმულ სიტყვამდე გარდაცვლილების საზარელ გზას დასდგომიხარ. მელაპარაკები. მთელი სხეულით გისმენ და ვერ ვბედავ, გაგცე პასუხი. შენ ნასვლა გინდოდა, ჩვენი დაკარგული სახლის, ჩვენი უსახელო სოფლის ისევ მოძებნა. გემორჩილები. ნამოვდგები. ბალახში, ხოდაბუნებზე, თოვლში უდროოდ და უგზოდ სვლას კვლავ შევუდგები. შენ აქ ხარ, სულ ახლოს, ო საბრალო, მფრთხალო აქყოფნავ, ერთი ხმა, ერთი ფრთა, ერთი ჩრდილი. დაქანცულიც აღარ ხარ ისევ, როგორც ოდესღაც იყავი. ეს შენ ხარ, ახლა რომ მევედრები: მოისვენე, მოისვენე!

თუმცა შენ კარგად იცი, რომ მოსვენება არსადაა.


გუშინ, ფანჯრების წინ ანგელოზების ეს ბრძოლა!

მათი სითეთრე, უსასრულო ოდენობით შენივთებული, მაცდური სიბნელით ცას აშავებდა: ერთი მიჩუმებული გროვა, გამხმარი ფოთლების კორიანტელი, ვრცელ ბაღში ნამდვილი ღამის ჩამონოლამდე უსასრულოდ მიმოფანტული ცხედრები. და აი, ისინიც, დილამდე ჩაძინებული, უწონო მებრძოლები, თავიანთ დიდრონ, მოციმციმე მარილფრთებში გახვეულები, ღეროებისგან და ცოცხალი ყვავილებისგან დანაჩვრეტი კიდურებით, აბსოლუტისეული თოვლი, თრთვილის საძვალე, თოვლი, ნაადრევად დასმული ნიშნებისა, ხვავრიელ წვიმად გადამდნარი და ფესვების მიერ სამკვდროსასიცოცხლო ბრძოლაში ხარბად შენასრუტი...

უშიშრად მოივარსკვლავეთ თავი გვიანშემოდგომის ასტრებო, დამშვიდობების უამი ჯერ ხომ არ დამდგარა! ჩემს სამშობლოში თქვენ ვენახის



გუსტავ რუ (1997-1976) ფრანგულენოვანი დასავლეთშვეიცარიული ლიტერატურის წარმომადგენელია. მან მთელი სიცოცხლე გაატარა ლოზანის მიდამოებში, სადაც მშობლებისგან მემკვიდრობით მიღებულ მამულს და მეურნეობას უძღვებოდა. გუსტავ რუ ცნობილია მეტწილად მცირე ზომის ნოველებით, პოეტური პროზის ქმნილებებით და ესსეებით. მან „რეჟიემი“ 1967 წელს დაასრულა, სადაც მცენარეებისა და ჩიტების ჯადოსნური სამყარო უჩვეულო სიტყვიერ ქსოვილში ჰპოვებს მხატვრულ განხორციელებას. სხვათა შორის, დაკვირვებული მკითხველი ამ პროზის ფორმით ჩამოქნილ პოემაში ჩვენი ვაჟას შემოქმედებისთვის დამახასიათებელ განწყობებს ამოიცნობს. აი, რას წერს ამ ნაწარმოებზე მისი შემოქმედების ღრმა მცოდნე, ამჟამად სამხრეთ საფრანგეთში მცხოვრები მწერალი ფილიპ ჟაკოტი: „რეჟიემში პოეტი მთელი არსებით მიმართულია გარდაცვლილი დედისადმი, ვისი ძახილიც მას ერთხელ სასწაულებრივად სმენია და რისი კვლავ გაგონებაც, რაღაც არ უნდა დაუჯდეს, სწაღია თითქმის სიგიჟემდე მისული იმედით – რომ განშორების ჭრილობა, იმავდროულად დროის მიერ მიყენებული, ერთხელ და სამუდამოდ განიკურნება. ამისთვის მას არამხოლოდ მეხსიერების შეუპოვარი დაძაბვა ესაჭიროება და სიყვარულით მიბრუნება ბავშვობის ადგილებთან, არამედ ის მონადინებულია უსმინოს ჩიტების მინიშნებებს, რომლებშიც ყოველთვის მიღმეთის შესაძლო მაცნეებს ხედავდა. მაგრამ რას ასწავლიან ეს სანდო თანამგზავრები? ძირითადად იმას, რომ



შორ ქვეყნებში მათ გადაფრენასა და ცის გამჭვირვალეობას შორის ერთგვარი იდუმალეობით მოცული კავშირი არსებობს; ეს კი ნიშნავს, რომ გადასვლა ცოცხლების საუფლოდან მიცვალებულებისაში შინაგანი მზერის, გონებისა და გულის თანდათან განწმენდის გზითა შესაძლებელია.

სუროს გინოდებენ და ზოგჯერ ყვავილობით სიბნელის გარეთ, როდესაც ახლადდაწურული ღვინით დატვირთული ფორნები, ღამეში ტაატიტ მიმავალნი, გვერდს წამიერად გაგისვამენ, თავიანთ კასრებზე მენამული შუქის მიმორწვეით. ეს თქვენ ხართ მოწვეული მოსავალი, ფუტკრების ნადავლი, მაღალი, ლურჯნისლა ღეროებით, რომელთაგანაც უსარკვებო ოთახისთვის იმდენს ვკრეფდი ხოლმე, ვიდრე მკლავები არ ამევსებოდა! იქ კი მოთმინებით და მომწყვდეულის უკიდურეს ჰო-ყოფამდე ტყვეობით კმაყოფილი გელოდათ მხოლოდ და მხოლოდ ერთი მზერის ფუტკარი.

ო რომელი მწარე თაფლით ნაკვები! სიცოცხლით სავსე თვალები, მსოფლიოს უზარმაზარ სკას მოშორებული, თქვენი ამაო შეძახილები ფანჯრებს გარეთ ხელახლა აყვავებული ვარდებისა და ხეხილის ბაღების ცეცხლში გახვეული შემოდგომისადმი! ჰოი ჯოჯობეთო, სატანჯველის ადგილო! ჟამიერი და მარადიული ერთმანეთთან ბრძოლაში, ერთმანეთს თავგამეტებით შებმოდნენ ერთი დაფლეთილი სხეულისთვის, რომელიც თავისთავში დახშული ტრიუმფის შენივთებას გრძნობდა, მარმარილოს მიერ სისხლზე ნაზეიმების. საკუთარ მარცხს თავად დრო ეგუებოდა, ნავივით ნელ-ნელა მიმართავდა რა შენს ოთახს კალენდარული დროის ნაკადიდან თავისი უძრავი ნაპირისკენ. მიღმეთის მიერ უკვე დაღრღნილ კედლებთან ცისა და მიწის გზავნილები ბოლო მიაღერსებას შემთხვევით მოისაკლისებდნენ. სინათლე, ღამე შენი ძილიდან სულ უფრო მოშორებით წარმოიშობოდნენ. მაგრამ სინყვდიადისა და სინათლის უფსკრულზე დარაბების უცაბედი გაღებისას, როდესაც ვარსკვლავებს ნაკლებად თვალისმომჭრელ ზეიმს შევთხოვდი, ორიონი გაძრცვილ კაკლისხის კენწეროდან, სულ უფრო მეტი სიცხადით, სულ უფრო მახლობელი, ერთადერთ პასუხად მკრთალ, მონამლულ თაფლს მომიძღვნიდა.

ნეტავ გახსენება კიდევ თუ შეგიძლია? ხანდახან ნაწყალობევი შესვენებები, მარადისობით ამ შეპყრობილობას რომ გამოარღვევდნენ, მუსიკალური კაპელები, სახეები და უეცრად, თვით უკიდურესი ნაპირის ქვიშაზე, დროის უკანასკნელი დამშვიდობება... სინათლე ხმასავით იცვლება. ის სასიკვდილო აგონიის უძღური მოწმე აღარ არის. ისევ მზედ იქცევა, ეს გრძელი, ცოცხალი სხივი, თეთრეულის არშიაზე, ფრთების მქრქალ-წითელ ნაკეცებში მუხლს რომ მოიყრის. ხელს წამოსწევ. გაუნვდი დედების მზრუნველ ხელს, თავიანთ სუნთქვაშეკრულ ბიჭუნებს კისერზე რომ დაადებენ ხოლმე. იგი მზურვალე ხელისგულის ჩაღრმავებას მოძებნის, დაუცხრობს და დაუბუშებს თითებს და ასე კვლავ დაამშვიდებს. შენს ხელებს ჩრდილში დასძინებიათ, აქ კი ამა წლის პირველი ფუტკარი ოდნავ გაჰკრავს ფანჯრის მინას და უმალ გაერიდება. ფუტკარი, მზის სხივი, რომელი გამოთხოვება იქნებოდა ამაზე მსუბუქი?

თუმცა შენი სმენა უკვე დახშულია და შენს დაბეჭდილ ბაგეებზე არყოფნას უპასუხოდ დარჩენილი დაყოვნებული ღიმილი დაუმჩნევია, ან აღარასდროს რომ არ გაქრება.

ჩაშავებული ვარდებისა და გუმინდელი წინმატელას ამ ნარინჯისფერ-ლორწოვან კვალთა შორის ასტრას თავისი ყვავილებით დახუნძლული რტოები გამოუწვდია და მავედრებელი ჩუმ თრთოლვას აუტანია! შიშის წილ შიში, არსადაა უფსკრული მცენარეების და ადამიანების გასაჭირს შორის. სიმარტოვის უკიდურესობა მათ ერთმანეთთან აახლოებს, ვიდრე მიმოცვ-

ლამდე: ეს ურთიერთშენწყალება მე განმიცდია. ამიტომაც ენაბრგვილი და-
ხილი იქ, ბორიო ქარში თითქმის აღარ ჩამესმის. იქით გავწევ, წვრილ, ყინ-
ვისგან დამზრალ ღეროებს შევეხები, მივეფერები, როგორც ისინი ოდესღაც
ელამუნებოდნენ სიცარიელის მორევში ხრწნადი ბუჩქისკენ გადავარდნილი
მოგზაურის მხრებს.

მე იქით წავალ – თუმცა რა მძიმე ანწყო მოიძიებს ამ ოდესღაცს ისევ და
ისევ! იგივე ლიქიორი ერთმანეთში ჩახლართულ ხელებს შორის, იგივე სუნი
ფარდებში, ჩამწვარი სიგარა, მტვერი... ეს რა ძილბურანი მიმაჯაჭვავს ამ
მაგიდას? საით გავწიო ტყვიამძიმე ნაბიჯით?

მე წავალ – მაგრამ დაბალ ფანჯრებს უკვე ღამის ვერცხლოვანი ათი-
ნათი შექვავებია. სათითაოდ ყოველი მინა მაბრმავებს და ორეულს შემო-
მაგებებს. დაკარგული სარკეების მღვიმეში; სიცოცხლით სავსე ჩაკირული
თავისთავთან. მარტოკა. მიუნვდომელი. მარტოკა.

მარტოკა, ისე, რომ ვერც მივეფერე და ვერც მოვწყვიტე ვარსკვლავ-
დასხმული ღერო, ჩვენი სამყოფელი ამ ოქროსყურაზე უფრო ძალუმად ხე-
ლახლა რომ უნდა წარმოეჩინა. მარტოკა და რა სისხლის გუბე ბნელში, სად-
აც აჩრდილების მფრთხალი მბრძანებლის მახეში შეტყუება შეიძლებოდა?
მარტოკა. ერთი ნათურა აინთება, საათი ჩამოჰკრავს. მარტოკა. ცოცხლე-
ბის თავშესაფარი მიცვალებულებს აღარ ეკუთვნის.

ჩვენს მდინარესთან სად ციცაბო გაშლილა ფლატე
თეთრ ძიძოსა და გველისსუროს მოურთავს ველი
იქვე ბორცვებთან გუბეებს და ფოთლებს დაცვენის
მძივთა ასხმულად გზა შეკინძავს წვიმისგან სველი

ცაზე ღრუბლები ხვიარები და ლელიანი
ბალახს რომ ქოჩორს ნამოუშლის ქარია ლალი
ნოემბრის სამი ჩამოგვექცა თავს იალალი
ზღვა საგუბრისებრ მოვარდნილი და ღელიანი

აქ რომ იგრძნობა სუსხის გემო ღამის ძმა არი
და მყისიერად დახვეს ბუკი მონადირისა
ეს ხომ რტოებში შეყუყული ჩიტის ხმა არი
გულისმომკვლელად ნაღვლიანი მონატირისა

გაჩუმდი შენი ეგ ვაება არავის ესმის
ნულარ დაქანცავ ნატიფ სხეულს მაცნევ სულისა
ვისი მოთქმა და დახილია ეს კარგად ვიცი
მიცვალებულთა მზისქვეშეთში გარდასულისა

ო, ეს ჩასაფრება, მარადიულის ეს ბოლო ხაფანგი დამწიფებული მოსავ-
ლის გზაზე შენ მიერ დაგებული! ერთადერთი სიტყვა შუადღის მცხუნვარე-
ბაში, უეცარი ყვირილი, როგორც ისარი და ცა შუაზე გადასკდება. მიღმე-
თი სამყაროს მთელი სიძლიერით თავს დაატყდება, გაგიჟებულ ბორცვებს
გაამათრახებს, თავთავების ძველ სიოქროვეს ჩააშავებს და დაადნობს,
ბლის ხეებს გრძელ, ალმაცერ მწკრივში მოცელავს და მინავლული ზეიმის
ზიზილ-პიპილოებივით არარაში გადახვეტავს. რაღაც სხვა სინათლის ერთი
ნაგლეჯიდაა ჩემს წინაშე, რომელზეც წავიბოროდიკებ და დაბრმავებული და-





ვეცემი.

პირქვე დამხობილს სინათლის დიდი ზარის და ერთმანეთს სულ უფრო მიყოლებული ყვირილ-ბლავილის ხმების ჩაქუჩებქვეშ, თითქოსდა უჰაერობით მონანური გულიდან აღმომხდება სისხლმოდებულს:

ჩემო შვილო, ჩემო შვილო, ჩემო პატარა, ჩემო შვილო...

მოდახილების ამ თაღებქვეშ სრულიად ქანცგანყვეტილი სიჩუმის ერთი ბოლოდან მეორისაკენ:

ჩემო შვილო...

კიდევ ერთხელ, მოსმენის უკიდურეს მიჯნამდე, როგორც უკანასკნელად ფრთის მოქნევა.

...შემდეგ მინყდება ხმა სამუდამოდ.

ჩემი ნაბიჯი ნიშნების ბილიკზე სულ უფრო ნელდება და ფოთლებს უჩუმარი შრიალით ააშფოთებს. მე უიდუმალეს საგნებს გავენდობი. აღარაფერს ვამბობ, აღარც ვკითხულობ, მხოლოდ ვისმენ. ვინ იცის მისი ნამდვილი ხმა? ისე წმინდად ამოხეთქავს, რომ ამ ფონზე სისხლის ექო მუქარით ყრუდ დაახშობს. სიჩუმის ადამიანი შიშს მხოლოდ ცხოველების მეშვეობით თუ გაემიჯნება. გუშინ ნატიფმა, დაჭრილმა შველმა ჩემს სიახლოვეს თავშესაფარი ჰპოვა, ისე გაიტრუნა, რომ ჯალათის ძაღლები მის ნაშლილ კვალთან ამაოდ ყმუოდნენ. სისხამ დილით ჩიტები უკვე საქმეს შესდგომიან და თავიანთი ნისკარტებით მუსიკის უნატიფეს სხეულს დაჩვრეტენ. ერთი ჭინჭრაქა მხრის სიმაღლეზე ტოტიდან ტოტზე ხტუნვა-ხტუნვით მომყვება. მე კი მშვიდობიანად მივინევ წინ. მერე რა მოხდა, რომ დროის საპყრობილის კარი ჩემს წინ მიიკეტა! ვიცი, რომ მეტი აღარ დამიძახებ. მაგრამ შენ უკვე აგირჩევია შენი მაცნე. გზააბნეული ჩიტი, მთრთოლვარე ვარსკვლავი, სულთა პეპელა, თოვლი და ღამე, ბებერ ალვის ხეზე მეოცნებე, ეს ყოველივე ანმყო ჩემთვის, ძახილია; ყველაფერს მნიშვნელობა აქვს, ეს ჩავლილი საათები, ერთიმეორის მიყოლებით ჩემს უკან ბავშვების მიერ მტვერში მონასროლი თაიგულებივით რომ ჭკნებიან და მე ვიცი, რომ ისინი ყველა ერთად ყვავიან უზომოდ ვრცელ ნალკოტში, რისკენაც შენ სამუდამოდ მიემართები. ერთმანეთში გადანადენ ნელინადის დროთა ზვირთი შენს ფერხთით დაიღვრება როგორც ხორბლის ტალღა, ვარდი, სპეტაკი თოვლი. ერთი დღე, ათასობით დღისგან შექმნილი, შენი მოგონების მხოლოდ გამონათებისას უკვე შეიფერება და გაცისკროვნდება. და ბოლოს შენ იცი.

ენითუთქმელი. და მაინც უმწეო სულს, ღიას თვით ყველაზე ჩუმი ძახილისთვის, ჯერ კიდევ მოველი.

II

ხანდახან ნაძვებისა და იფნების ჭალაში ჩავდივარ, სადაც ჩემმა სიცოცხლემ მარადისობისგან თავისი იდუმალი ჭრილობა მიიღო. მეხსიერების მოუშველიებლად ერთ ადგილს ისევ მოვძებნი, მიუსაფარს და იმავდროულად ნაცნობს, აღსავსეს მასპინძლობის ესოდენი კეთილგანწყობით, რომ უეცრად ხმაჩანყვეტილი სტუმარივით მისთვის ამბების გამოკითხვა ვერც კი გამიბედა. ნიფელების ფოთლოვან თაღებქვეშ ნაკადული გადმოსჩქეფს და გადალეკილ ქვებზე ჟღერადი მარცვლების მთელ კორიანტელს ატრიალებს, უჩვეულო ხორხისმიერ სიცილად თავს უცებ მოიკრებს, ხმასა და ანარეკლს შეიცვლის, ერთნამიერ სარკეში ველური ვარდების ღეროს გააორმაგებს, მერე გარკვევით ამომარცვლავს ადამიანურ მეტყველებასთან იმდენად მიმგვანებულ წინადადებას, რომ მის გასაგებად ვწვალვობ. ხოლო

მხრებზე ამ დროს წინვი და ქერქი მსუბუქად მანვიმს, აი, იმ ციყვის სალამი.

ამაო დაბრუნება და დღევანდელი შესაძლოა ამაოთა შორის ამაო. მაგრამ ეს გზა ისევ უკან უნდა ამევილო. მე არ შემოძლია ჩემში ეს საიდუმლო დავიციო, სადაც ყოველივე უმოწყალოდ და ღრმად შემძრავს. შენ იცი: ეს ნაპრალი ჩემი ცხოვრების შუაგულში გაჩენილა, ეს გამჭვირვალე, ენითუთქმელი გადაუნყვეტელობა, რომელსაც ჩემი მზერა და ფიქრი მოუნუსხავს. ერთ დღესაც თავშესაფარი მარადიულში ცოცხლად ვპოვე.

სწორედ აქ, წყაროს, ფოთლნარის და ესოდენ სწრაფად ჩაჩუმებული ჩიტების ამ უმანკო სივრცეში. მარადიული აღთქმული მიწა როდია, ოფლისა და ცრემლების დამდენი გზის ბოლოში და რაიმე ფანდით მანდ შეღწევა არავის შეუძლია, რადგან ჩვენ მასში ვართ. შეხედულება, რომ მას მადლი მოგვანიჭებს, ადამიანის გატაცებასავით სასტიკია. იგი თავად შემოდის ჩვენში, ყოვლისშემძვრელი გრგვინვა-დგანდგარით, წინ ვერაფერი რომ ვერ დაუდგება; ჩვენი სიბრძავე ერთბაშად წაგვერთმევა, როგორც ამომშრალი თვალიდან თეთრი ლაქა, სხეულის, გულის და ჩვენი მიცვალებულების ხმები დიდი და მოულოდნელი სისხვსით შემოგვესმება. არა თქვენი მხდალი, სულ უფრო მიწყნარებული შეძახილები, არამედ გამარჯვებულის ჰიმნი, იდუმალ გზებით შეწყობილი სისხლისმიერ ჰანგთან, აი იმ სისხლისა, რომლის ხმაურიც მესმის და ვხედავ მისტიური ცეცხლივით სამყაროს ყოველ ძარღვში ნადენს.



დიახ, მე გახლდით ის კაცი, ვისაც ამ ყოველივემ შინაგანად დაუარა. ნორჩ, ტანწვრილ იფანს თითებით ჩაჭიდებულმა (ხელისგულებში მის გლუვ სინორჩეს ჯერაც ვგრძნობ) მარადიულის მოვარდნას მთელი სხეულით გავუძელი, ენითუთქმელის შემოტევა გადავიტანე, ჭეშმარიტი სინათლე ვიხილე, გადაედინა რა ჩემს ირგვლივ ყველა წარმავალ საგანს და მათ სიმფონიის ბრწყინვალეობა მიანიჭა.

მას შემდეგ ჩემი აღარასოდეს ამ მიდამოს ნელ-ნელა დაეუფლა. ჩასაფრებულ დროს ყოველ ჯერზე დაბრუნებისას ვგრძნობდი, მოწადინებულს მაშინდელი დამარცხებისთვის შური ეძია იმით, რომ ცდომილებებს მოამრავლებდა, მუდამ ენისწვერზე მომდგარ ერთადერთ შეკითხვას ათასგვარი ხერხით თავიდან ირიდებდა: „ვინ ისურვა ეს, რატომ?“ ირგვლივ ყველაფერი მისი ბრძანებით თავის უაღრესად ყოველდღიურ ერთფეროვნებას დაბრუნებია და განუხრელად ინარჩუნებს, დანყებული მტრედის დაკარგული ფრთით, შარაზე ბალახის ღეროს ჩრდილით დამთავრებული. მაგრამ იმედი ჯიუტია და მალემრწმენი. ეს მან არ დაიშალა ჩემი მოყვანა აქ, უპასუხო შეკითხვასთან. იგი დაბნეულობას მომაცილებს, ადამიანებს თავიანთი ბავშვური პირფერობისგან გაათავისუფლებს. ადამიანებს დრო აიძულებს რომ იცრუონ, ჩამჩურჩულებს ის, ადამიანები დავიწყებას ბაძავენ, შენ კი ამას გრძნობ. მათაც ახსოვთ ეს გასხვივოსნება; არ მიატოვო ისინი!

ვემორჩილები. მაშინდელ იფანთან ვბრუნდები. ხის დიდრონ ტანს მივესალმები, მის მსუბუქ, ფოთლოვან ვარჯს, წინკანებით სავსეს. ღრმად დაღარულ, ხავსითა და მლიერებით სულმთლად აჭრელებულ ქერქს კიდევ ერთხელ ნაზად მოვეფერები. და სიკვდილზე მეტად უგრძნობ ხის ტანზე რაიმე ნიშნის, მოგონების, არეკლილი ანარეკლის მოწყალე გაცხადებას საათობით ამაოდ ვუთვალთვალე, მზის ოდნავ უფრო ცოცხალ ნაკვალევს, ოქროვან ნაგლეჯს, აწი ჩრდილი რომ ველარ წაშლის.

ოქტომბერი... მაგრამ თვეებმა თავიანთი სახელები შენთვის განა შეინარჩუნეს? ღამით ბორიო ქარი ციურ ქარაფებზე მთვარეს მიერეკება და



მინაზე პირველი მოხეტიალე ფოთლები. მათ დილაობით ზღურბლის ქვაზე მჭიდროდ შემოტმასნილებს პოულობენ. აი, განთიადის უცნაური საჩუქარი! აქ პატარა მკვდარი თაგვი გდია ხოლმე სისხლის წვეთით, ორიოდ ბუმბული, გაველურებული ვაზის მტევნებიდან ჩამოცვენილი კურკები, რომელშიც ფრთებმოფათქუნე შაში ძარცვით გართულა. ზარების ჯარი ნისლში იხრჩობა. ნუთუ იგი ჩემსა და შენს ხმასაც ჩაახშობს? ვილას ველაპარაკო, თუკი აღარ მისმენ? ცხოვრებამ ადამიანები უზუსტესად ნაგები აკლდამებივით ჩააქვითკირა, ეს დაყრუებული ხალხი, მათივე საკუთარი სისხლით სმენადახშულნი! და შენ იცი, მათგან შორს, ამ დაკარგულ მიდამომდე ვინ მომიყვანა. შენ იცნობ მათ შეძახილებს, გამოთხოვებას, ცრემლებს, ჩვენი შინაგანის უდაბნოში შენასვამს! ყოველ ღამით, ყოველ ცისმარე დღეს დროის საზღვართან ჯერაც ცოცხალი მივდივარ ხოლმე, რომელიც გულისცემის საბოლოო შეწყვეტამდე არავის გადაულახავს, თოვლის საბურველი, ყოველ ახალ ნაბიჯთან ერთად სულ უფრო დასვრეტილია და გათხელებული, მისი ყველაზე განაპირა არშია საბოლოოდ დამდნარა ნისლის ან აქ-არყოფნის მოლოდინში, რაც იგივე მიღმეთია.

მიხსენი ჩემი საიდუმლოსგან, უნდა შემისმინო. ო, როგორია ორ სამყაროს შორის უმონყალოდ გახლეჩილმა იცხოვრო? თვით სინათლემაც მიმტყუნა, ჩემმა უკანასკნელმა თავშესაფარმა. ოდესღაც ერთგულს, მზადყოფს ყველაზე ნამიერი მზერისთვის ეპასუხა, საათის, წელიწადის დროის, დღის დადგომის ძიებისას, ჩემთან ერთად დროის საზღვრამდე ჯერ არც კი მოუღწევია და უკვე უარზეა თავისუფლების ჟინით ატანილი იმ მონის მსგავსად, ბორკილები ესესაა რომ მოუცილებია. იგი გაბრწყინდება, ჩაცხრება, შემდეგ ახალ ჩრდილში ჩემს ირგვლივ მოელვარე მღვიმეებს გამოქვაბავს, სადაც ჩემს მიცვალებულებს თვალის ერთ დახამხამებაში ხელახლა მოპოვებული შუქცისკროვნება დაუბრუნდებათ, თავიანთ შეწყვეტილ ჟესტებს აუჩქარებლად დაასრულებენ. ყველანი აქ არიან, გამოუთქმელ სიახლოვეში – მხოლოდ შენ მოგელი ამოდ. ო, იქნებ სხვა მიღმეთიც არსებობს, სადაც მიმალულხარ, დაბნეული ჩემ მიერ მარადიულთან იოლი მისასვლელის პოვნის გამო. მხოლოდ შენ გეძახი, მხოლოდ შენ, ხომ იცი.

ოქტომბერი... ნისლის ფთილები გაფრენილან, მზე ცოცხალ ღობეს ნაზ, ნაცარმწვანე ფერში აახალისებს. ბორიო ქარში მხოლოდ ყველაზე მაღლა გამოსული ფოთლები ცვივიან, ერთხანს ცის ქვედაზოლში დაფარფატებენ, მერე შარიშურით დასცემენ თავიანთ ჩრდილს ბალახებში და სათოვლიების გაშიშვლებულ ხორცთან. ნამჯიან ველს მეგუთნე მიუყვება; მისი ნაბიჯი მაღლიან მინაში დროს მონიშნავს, ადამიანურ დროს და ნათელი მიჰყვება ხარ-უღელს, როგორც მორჩილი მოახლე ოქროვან-გარუჯული ხელებით. ჩერდება, როდესაც ხნულის ბოლოში გასული ჭაბუკი მომდევნო ხნულზე გადასასვლელად თავის ცხენებს შეუძახებს და სახნისი ფოლადის აელვარებით შემოტრიალდება, იგი ზიზილოების ბუჩქს ეფერება, ახალგაზრდა სხეულის ფეხებთან მოკვეთილს, მხარი, სუფთა მკლავი... და წკრიალა ხმა ცოცხალი და მოსიყვარულე ძახილივით ისევ გაისმის. ერთადერთი, რაც იქ თავისი ხორციელი და სისხლისმიერი სიმართლით შენამდე მოაღწევს, თვით სიკვდილზე უფრო ძალუმი. ეს ხმა ალბათ მოგესმა; ალბათ სმენისას წარმავალის გამო ბნელსინანულით ატანილი უსასრულო გზას ისევ დაადექი, მყისიერების წყაროს ხელახლა შესმით დამთვრალი. შესაძლოა აქ იყო, ჩვენს შორის, შესაძლოა და თრთოლვას აუტანიხარ ო აქყოფნავ, საფრთხეში მყოფი, თვით ფოთოლზე უფრო მყიფე...

III

ამ სახლს, რომლის გამოც პასუხისმგებლობის თავზე ალება აღარ შემ-
იძლია, თანდათან სარეველა მოსდებია, კედლის ქვები მორყეულან, ყო-
ველი აგური ბრმა ხავსს დაუფარავს. ბაღის უსაშველოდ გაველურებულ
შუაგულში ჭინჭრითა და ნარით შევიწროებული მცენარეები ერთიმეორის
მიყოლებით ჭკნებიან, კატაბარდა უკვე გამხმარა. ახ, ნეტავ არაფერი
გცოდნოდა ამ სასიკვდილო აგონიაზე. როგორ ვიცხოვროთ ამ აქაურობაში,
წინანდელს არაფრით რომ აღარ ჩამოგავს?

ყველაზე სამწუხარო: ეს სიბრალული ცოცხალი არსებებიდან და საგ-
ნებიდან წამოსული, რომელთაც ჩვენდამი ყველანაირი თანადგომა სწა-
დიათ. წყაროსთავი, სადაც დღე და ღამე უკანასკნელი ცხენები დასარწყ-
ულებლად მოდიან – და მათ კეთილგანწყობილ პატრონებს ჩვენს საბძელში
ერთხანს სიცოცხლე შემოაქვთ, მწიფე ხორბლით რომ აავსებენ. მოსავლის
მომკვლეები თავიანთ მზისგან გარუჯულ მკლავებს წყაროს საგუბარში
აღარ ჰყოფენ, მაგრამ წყალი მაინც ბუტბუტებს და დაუღალავად მღე-
რის; გაუჩინარებული ოთახების სიცარიელეში მძინარის ყურს დაეძებს,
თითქოსდა მონადინებული, რადაც არ უნდა დაუჯდეს თავისი საიდუმლოე-
ბანი ჩასჩურჩულოს, ყველაფერი, რაც მინის წიაღის შესახებ იცის, ქვიშიან,
ბნელითმოცულ და კლდოვან ქანებზე, რაშიც ჟონავს და წვეთწვეთობით
ღრმა წყაროს წარმოქმნის. ვინ მოისმენს მის ჩუხჩუხს მომავალში, თავისი
საზაფხულო ოცნებების კიდეზე, რომელთა მხურვალეებასაც თავისი სი-
გრილით დასძლევს?

აქ ყოველივე საკუთარი თავის მიმართ ეჭვით განწყობა, საფრთხის
ქვეშ სულ უფრო მოქცეულ თავის აქყოფნას შიშმორეული გამოასხივებს.
იქ, მაღლა დიდი თანავარსკვლავედები ხარობენ და ჩარდახსზედა წრეში
მოკიაფენი ღამის შავ ბალახს წრეში თელავენ, თუმცა არ-ყოფის კიდეზე
მობარბაცეებს საკუთარი სახელები თანდათან დავიწყებიათ. და დილის
ქარი, შენ რომ გიყვარდა, აყვავებულ ცაცხვებთან და მძინარე ვარდებთან
გაშინაურებული, სახლების უკარება ფასადებს ნელსურნელების მძიმე შეს-
ანირს ამაოდ მიაყრის.

ო, ჩვენი ცდომილება! როგორც ძნას, თუ მისი აპეური განყვეტილია,
ძნობა აღარ ეთქმის და საკუთარ თავს თითოეულ მიმოფანტულ თავთავში
უარჰყოფს, ეს მიგდებული ადგილიც გაურკვევლობისკენ მიექანება და
ჩვენც თავისი უფსრულისკენ გვეწევა.

უსაფრთხო თვით ცარიელი სივრცეც კი აღარ არის.

* * *

(არა, საქმე აქ მიტოვებულ სახლში როდია, სიმარტოვის მოსასხამქვეშ
რომ მოხრილა, ჩვენ სხვა რამ მოგველის, სულ სხვა რამ. ო, სახლო ჩემი სიყ-
მანვილის! მისი კედლები რტოების და წლების ბაღის მიღმა ღროის ფუძეზე,
ღამეში თოვლის ფთილასავით ციმციმებენ, სიყმანვილის დამაბნეველად
ვრცელ ველებზე. ისე უზომოდ ვრცელზე, რომ მამულის კიდეზე მომუშავე
მთიბავეებს ვერანაირი ხმა ვერ მისწვდებოდათ, როდესაც უცვარნამო ბაღე-
ბის ფოთლოვან საგრილობელს შეფარებულები შუადღისკენ ყურებს დაც-
ქვეტდნენ, განყობილი სუფრის და მსუყე-მონაცრისფო და ვარდისფერი
ლორჩაჭრილი წვნიანის მოუთმენლად მომლოდინენი. და აი, ბოლოს ვი-
ლაცამ ბუკის ხმამალა ჩაბერვით მათ შორიდან დაუძახა და ეს მოთხოვნა
შორ სივრცეზე დიდხანს მიექანებოდა, როგორც ჩახშული ხმების ძენკვი
ექოს გარეშე.

აქ, კედლებზე მატყლის ზონრით ჩამოკიდებული გლუვზედაპირიანი,
ლაკნასმული ბუკი, სატუჩზე სინათლის ნაგლეჯით, ხელში ასჯერ მაინც





დამიჭერია, ტუჩებთან მიმიტანია და უკანვე დამიღია. მისი ხმები მაშინ სივრცეში გაისმოდა; დღეს კი მათ ჯერაც განსაზღვრული დრო უნდა დაემარცხებინათ. ამ უკანასკნელთან არ ცრუობენ. და მისი კვლავ გაცოცხლება ერთი ამოსუნთქვით? ან ადრინდელი მთიბაგების სანახევროდ გამოფხიზლება? რა დაბნევა, რა შიშის ზარი დაეცემოდათ ამ თითქმის ბრმა ლანდებს, მაღალ ბალახში გზასაცდენილებს, ან არარას გუბებში ჯერაც მუხლამდე ჩაჭერილთ.

დედა, დამიფარე ამ სასტიკი თამაშისგან, რომ ერთ დღესაც ზღურბლის გადალახვა სიცრუის გარეშე შევძლო.)

მაგრამ ჩიტების უსაზღვრო ერთგულება...

ბავშვობიდან მოყოლებული მათი გალობის და ღია ფრენის საუფლო, მონყალე თავშესაფარივით! ერთი უტყვი სულის უდაბნო, უეცრად მათი ხმებით ავსილი, პოეტს თავისი სიჩუმიდან რომ გამოიხსნის, როდესაც ცას ტოროლების მხიარულება თავის უმაღლეს მწვერვალამდე შესძრავს. აგერ ერთადერთმა შაშვმა ჯერ კიდევ გაძრცვილ ცოცხალ ლობეზე ზამთარი ნაშალა. და როდესაც ერთადერთი ასპუჭაკი განთიადისას გალობს, ივნისის კოკისპირული წვიმით დამთვრალი, ადრეულ დილით სასამართლოს შავნელი მეოქმე, ჩვენი ჯალათი, თავის დაკითხვას, ნამებას მაშინვე შესწყვეტს, ჩრდილთან ერთად აორთქლდება და გაქარწყლდება.

მათი ერთგულება, მათი მიმნდობობა, მათი ფაქიზი თანაგრძნობა! და მათი გულისწუხილი, ზოგჯერ თქვენეულის უძირო დობილი. იგი ჩიტებს თქვენს მაცნეებად აქცევს, ჩვენს მეგზურებად, მუდამ მზადმყოფებად მიიღონ თქვენი გაჭიანურებული, სულ უფრო მინელებული ხმოვანი ნიშანი. თქვენი სმენა მე დასაწყისში ვერ შევძელი: ეს არც არავის შეუძლია, თუკი არ დაინახა მისი მწუხარება რა ნელა დაინმინდება. ხოლო როდესაც ერთგვარი გამჭვირვალეა ახლიდანაა მოპოვებული, რა ზეაღმტაცია ჩიტი-სტვენია ოქტომბრის ტყეში, ეს ვარდისფერი ცეცხლის ალი ჩამუქებულფოთლოვან იფნის ხეებში, როცა მომძახის და ეს მოთქმა – უთუოდ შენი, – მანუგეშებელია და გულისმომკვლელი, გამოთხოვებას ძნელად შეგუებული.

ო, ისინი როგორ გიყვარდა! გახსოვს გულწითელა თოვლში, დროის სიღრმეებში, ოდესღაც მიტოვებულ ბაღებში, მისი შიში სარკმლის მინასთან დათრთვილული გვიმრებით, უცნობი ხე, რომელზეც თვითონ ბუდობდა, ყინვისთვის მიუნვდომელი ეს წინვოვანი გუმბათი და კიდევ უფრო უჩვეულო მისი მივიწყებული სახელი.

ოდესმე დროის უფსკრულიდან თუ ამოვლენ ეს გადაგდებული სიტყვამარცვლები? ნეტავ ერთხელაც შენი მიმქრალი ხმის სამუდამოდ თუ დასრულდება?

ამას შეუსვენებლად, ყოველდღიურად ვკითხულობ.

მერცხალი, სივრცეების აღმომჩენი, უწონო სხეული გრძელი, მოლურჯო-ფოლადისფერი ბუმბულების ქვეშ, მკერდზე სისხლის ლაქა უხსოვარი დროიდან, ყოველ დილით ხმამაღალი ჭყვივლით დაბლა დაექანებოდი შენი ჟანგაროსფერი მავთულ-ქანდარიდან, კატის თავმომძინარებას ფრთას მსუბუქად გაჰკრავდი, ხვეულებიან ჰიაცინტებში თავმოკატუნებულს გამოაშკარავებდი და გააფრთხოვდი და როდესაც შენს ფრენას საჭიროებისამებრ მოათავებდი ისევ მაღლა აინევდი შენი სულ უფრო გადაუდებელი, სულ უფრო გულშიჩამწვდომი ჭიკჭიკისთვის; ამფსონი, ყოველთვის რომ უსმენენ, ყოველთვის მხედველობის არეში მყოფი, ჯერ ერთი ფრთის,

მერე მეორის გაშლა-დაკეცით, თვალების წარამარა დახამხამებით და ეს მოგუდული ჟღერტული ლაყობისაგან ყოველ ჯერზე შესვენების წინ; ო, შენს დობილებს როგორ ჰგავხარ, მაღლა ირაოებს რომ შეკრავენ, იმდენად მზადყოფებს, ცის სიშორეში სხვებთან ისევ შეერთებისა, რომ ჩვენი დაძმობილება ყოველდღიურად სულ ახალ-ახალი სასწაულიდან წარმოშობილი მეჩვენებოდა.

არ მესმოდა გაუბედავი ძახილი, აქყოფნისადმი შენი არაჩვეულებრივი ერთგულებიდან ამოხეთქილი, არაფერი ვიცოდი ჩვენს წარამარა დათქმულ შეხვედრებზე, არ მესმოდა რატომ შენი მოულოდნელი შიშის განცდებისა, როდესაც შენს გულს სიხარული მოიცავდა. და შენი საიდუმლოთი ბოლომდე შეპყრობილი, სურვილით ბოლომდე ატანილი, ამასთან განდობილად გექცე, ვის ჭიკჭიკსაც ვიდრე ჩანყვეტამდე მგზნებარება, სიკერპე, რისხვა, სასონარკვეთა ასაზრდოებდნენ. შენ კანკალებდი მიახლოებული სიკვდილის შიშის მიჯნასთან და ვხედავდი ნახევრად დაღებული ნისკარტის ქვეშ შენი ყელის ფეთქვას.

ახ, პატარა ჩიტმა ადამიანების ძველ სიყრუესთან რა უნდა გააწყოს? დიახ, ისინი ცდილობენ ერთ საღამოს, აპრილის ღრმა ცისქვეშ ქედნების ღულუნი ან შოშიების ვარჯიშობები გაიგონ, მაგრამ პირველივე ტოროლას ხმაზე სუნთქვა შეეკვრებათ. მეც აქოშინებული ვცდილობდი ამ მგზნებარე ღვარის აყოლას და როგორც მძინარის ბაგეებიდან იდუმალებით მოცული სიტყვების ნაკადი მოედინება ხოლმე, ყველაფერს ერთი ნოტიდან მეორემდე წინასწარ შევიგრძნობდი სიმღერის მიღმა ან მასშივე. სულ ითქმოდა ისეთი ამბები, რომლებშიც ბოლოსდაბოლოს ყველაზე ჩვენეულ უნარებს ამოვიცნობდით. ჩემში რაღაც ამ ნათქვამის მიმართ მაინც დახშული რჩებოდა, სასწაულიდან და საიდუმლოდან გამორიცხული, ლოდინით წელში გატეხილი, ხელმოცარული განძის მაძიებელივით მობარბაცე...

ო მინდვრის ბილიკებით შინდაბრუნების მწუხარებავ, როდესაც უკანასკნელი ტოროლა ნანვერალების ველზე დაეცემა და ცის თალის ქვეშ მარადიულ მოთვალთვალეთა ავბედითი სამკვიდრებელი უკვე გამოანათებს!

თქვენი სიმღერები, თქვენი შეძახილები... ვინც თავისთავში შეკეტილა და სუნთქვაშეკრული მათ გაგებას ჯიუტად ცდილობს, ამაოდ ირჯება; მე სასტიკ გამოცდას გავუძელი, ეს მისწრაფება წლებში გამოვატარე, მუდამ მზადყოფმა გაუგონარ არასთან დამარცხებისთვის.

თუმცა მაშინ, როდესაც მერცხლის ჭიკჭიკი დილის კიდეზე სულ უფრო მინელდებოდა და თანდათან საბრალო ბოდვისმაგვარ ლოცვაში გადადიოდა, მოსალოდნელი ჩაშლის სიახლოვით მისავათებული, არსების ყველაზე ბნელ კუთხეში აკიაფდებოდა ბუნდოვანი გაურკვეველობის სინათლე; მოულოდნელი ახლადწამოწყება, როგორც პასუხი ნებელობის და სურვილის მარცხზე.

ჩემში ერთი ჭეშმარიტება აღიმართა, თვალსაწიერის ამ სიფითრის მსგავსი, როდესაც განთიადი ღამეული მგზავრის სახეს ჩრდილიდან ნაზად ამოსწევს და შეკრულ ხორხს ფრთხილად გაუხსნის. ის, რისი თქმაც ჩიტებს ჩემთვის უნდოდათ და რაც ჩემი რწმენით, ხელიდან გავუშვი კალოს იმ ხელმარცხიანი მღენავივით, ხორბალს ბზესა და ჩენჩოსთან ერთად ქარს რომ გაატანს – ეს ყველაფერი მაინც გადარჩენილა, თავისი გზა მოუნახავს გულისკენ, ამ ბრძმედისკენ, სადაც მილიონობით ძახილი ერთადერთი ხმის ოქროდ გადადნება. ყურს ვუგდებ ამ ჰიმნს ჩემში აყლერებულს, თითოეულ დამაჯერებელ გადასვლას ყოველი სიტყვის მიღმა – თანაც უჩვეულოდ მახლობელს. რადგან ეს შენ ხარ, დიახ, მე კვლავ გიცანი: გამქრალი, მაგრამ





უფრო ახლოს მოსული ვიდრე ზაფხულის ხანგრძლივ თვეებში, პატარა, მოუსვენარი დაიკო. თქვენი ბუდეები დაცარიელებულა, ჩალის და ტალახის ეს ჰაეროვანი, ფრონტონის კოჭისთავებზე მიმაგრებული ნავეები; თქვენ სიმშვიდეს თანდათან დაბრუნებიხართ: აღარსადაა ჭყვილიანი მიმოფრენა სალამოს ბინდში, კოლოების ოქროსფერი გუნდებიც სადღაც გამქრალან! შორეთში გაფრენის წინ ერთი-ორი შეშინებული წრიპინის ხმა.....

...ჩვენი შეშინებული წრიპინი, დიახ, და ფრთების ეს გამეტებული ქნევა: ჩვენ გაფრენას წინასწარ ვგრძნობდით; მალე სივრცე თავის გამჭვირვალეობას დაიბრუნებს. ეს ხანდახან იგვიანებს, განთიადის ნისლით შეიბურება და ცას ღამით ღრუბლების ფთილები არევიდარევენ. ვარსკვლავების ამ თავმოყრაში ჩვენი გზა სად ამოვიკითხოთ?

– ისე, როგორც გვიანი გაზაფხულის დასებში თქვენი მოუსვენარი მოლოდინი განმიცდია, ხოლო ნამჯიან ველზე ახალგაზრდა მეგუთნე მალლა ანეული თავით და ხელით თქვენს თავბრუდამხვევ, წრიულ ფრენაზე უხალისოდ მიანიშნებდა!

– და მე, ცის ბინადარს, ორივე თქვენგანის სახე ჰაერში ირაოს შეკვრისას უშუალოდ თან მიმქონდა, რომ დამეკარგა და მაშინვე უკან დამებრუნებინა... მაგრამ გაფრენის დიდი ღამე! ჩვენი ბუმბულების რხევა ჰაერს აბრეშუმით დაჭმუჭნის, ჩემი ფრთის თითოეული მოქნევა მოგონებების და სურათების აი, ამ ტვირთით ამსუბუქებულა: წყაროს თავზე ბუდე, პატარა, ნახევრადდაღებული ნისკარტებით გამოვსებული, ჩვენი დიდხნიანი ამხანაგობა და ეს საიდუმლოც, რაც საბოლოოდ უნდა გაგეთავისებინა!

– ის დიახაც მე მეკუთვნის, მაგრამ იმდენად მძიმე (და თითქოს პირბადემოფარებული) რომ მისი მოახლოება ჯერ კიდევ მაშინებს.

მისმინე, ახლადმომკილ ბორცვზე ხანდახან განთიადამდე მიფხიზლია. შეუჩერებლად დავკითხავდი ხელუხლებელ შორეთს, რომელშიც ჯერ კიდევ თქვენი უჩინარი გუნდების თითქმის შეუმჩნეველი ფრენა შრიალებდა. სული თანდათან, უცნაურად გაეხსნებოდა თანავარსკვლავებებით მოფენილ სივრცეებს, რომელთაც თითქოს თავისთავში იღებდა, ვიდრე მათ სავსებას თვითონ მიაღწევდა. ატანილი ხანმოკლე ძილით და მისგან ისევ მიტოვებული ამ უკიდევანო შორეთის მოვარდნას სულ უფრო ცხადად შევიგრძნობდი. დადგა ნუთი, (უნდა დამიჯერო) როდესაც თქვენი ფრენის მიზანი, რაგინდ შორეულიც არ უნდა მგონებოდა, ჩემში ვიგრძენი, თითქოსდა საკუთარ თავში სამყაროს დავიტევდი. მიღმეთი აღარ არსებობდა და მეტი აღარც იარსებებდა.

– საიდუმლოს ზღურბლი ბოლოს და ბოლოს გადაილახა! იჩქარე, ვიდრე ხილვას მიუტოვებიხარ, შენი ძალა აღმოაჩინე! უშედეგოდ ნურაფერს დაელოდე, თვალეები დახუჭე, შენი შინაგანი სინამდვილე განჭვრიტე და გამოიკვლიე. ეს დიდი, დროისმიერი სივრცეებია, ერთმანეთთან დაკავშირებული იმ გამჭვირვალეობით, რომლის სრულყოფილი შექმნაც მხოლოდ სიყვარულს შეუძლია. ეს მომხდარიყოს და ფასდაუდებელი, ბედნიერი აღმოჩენები ისევ მოგნიჭებოდეს. დიახ, საკუთარ თავში სამყაროს დაიტევ: მიღმეთი შენთვის შორეულ სივრცეში აღარ არსებობს. იგი არც დროის გულში იარსებებს, თუკი შენს თავში გადაიტან და სრულყოფილად გარკვევისთვის შენში მოიცავ. საბოლოოდ მასთან დაბრუნდები, ვისი ხმაც მიმწყდარა, ვინც დაუფრთხოებელი ძილის ტალღას თითქოსდა გამოურიყავს, ორივე თქვენგანის გულზე უძლიერეს!

– ესა თუ ის დრო ან მიდამო სხვა რომელიმეს უნდა ვარჩიო?

– მოდი ამ ადგილთაგან ერთ-ერთზე, სადაც ერთნამიერმა გასხივოს-

ნებას ოდესღაც შენივე თავი გამოგიცხადა და ამ სტუმართმოყვარე მიდამოსთან სულ უფრო ძმურად დაგაკავშირა. თავის ყველაზე უწყინარი შემადღების, თავის ყველაზე მოკრძალებული თაიგულის ჩათვლით.

– დიახ, მე ერთ-ერთს ამოვიჩივე, მივწვები იქვე და თვალებს დავხუჭავ.... თუმცა შინაგანად ერთმანეთის ხელახლა ნახვა, მონყალედ რომ მამცნობ, მისი ამდენად ახლოს განცდა ურუანტელს მომგვრის.... ახ, მე აუმღვრეველ ყოფაზე ვოცნებობ, ახლაგაზრდა შუამდგომელზე, ჭირის მოზიარე ძმაზე ჩემს გვერდით და შეპირებული შეხვედრისკენ ჩვენ ერთად ნავიდოდით, თითოეული შეაბიჯებდა რა თავის საკუთარ გამჭვირვალებაში საბოლოოდ იმ სინათლის მისაღწევად, თითოეულ ჩვენთაგანში რომ აინთება და რომელშიც ყველა ერთმანეთს იპოვის.

მეგუთნეს, რომელმაც თავისი სოფლის ცაზე თქვენი მოუსვენარი ირაოები დამანახვა, ცრემლებით დანისლული მზერა ჰქონდა და მე ვერ გავბედე, მისი მწუხარების მიზეზებზე მეკითხა; თუმცა მისმა უეცრად გახსნილმა ბაგემ ახლადგარდაცვლილის სახელი ამოიბუტბუტა, კაცის იმ ტკივილიანი ამოკვნესით გაბზარული ხმა, მთელს არსებას რომ დაშლის.

ახ, მასთან ჩქარა მისვლა, ხელის ჩაკიდება, ყანის კიდეზე მობიბინე ბალახთან მისი მიყვანა; ერთად ლოდინი (ჩვენს ბაგეებზე მათი სახელები, ვინც დაგვიკარგავს), რომ გზა ჩვენში გაიხსნას.

დედა, ბოლო მოელო წლების მანძილზე უსაშველოდ დაღეჭილ შეკითხვებს, თითოეული უარის გახუნებით, მწარა ბალახით.

დედა, ერთი ჩიტისგან ერთადერთი სწორი პასუხი მივიღე. მთელი სიცოცხლე, მთელი ჩემი სიცოცხლე გლოვიდან გლოვამდე საჭირო ყოფილა, რომ საბოლოოდ ეს დაუმსახურებელი საჩუქარი მიმეღო: საიდუმლო, ჩვენ რომ შეგვაერთებს.

დედა, ისმინე: აღარ არსებობს მიღმეთი ანი.

მეგუთნე, ჩემს გვერდით მინაზე განთხმული, თვალედახუჭული, ჯერაც ნამიანი წამწამების ბნელი წყვილი – თუმცა სინათლის ხელებში ახალგაზრდულ სახეს თავისი თვინიერება დაბრუნებია. სახის ნაკვეთებში მოუნესრიგებლობა ადგილს დაუთმობს ოდნავ საგრძნობ სანდომიანობას, სუნთქვა გაიოლდება, აჩქარებული გულისძგერა დაცხრება. წმინდა მკერდი ზემოთ აუდის და აუჩქარებლად ეშვება. იგი გუბისოდენა ცას გამოათავისუფლებს, დამალავს, მერე ოქროსფერი ჩალის ძირებთან ისევ გამოათავისუფლებს: ღიღილოების კონა, სახნისს სასწაულებრივად გადარჩენილი... ძმაო, შენს დაკრუნჩხულ, მოუსვენარ ხელს სითბო და სისხლი დაბრუნებია. ამას ვგრძნობ და თითქმის ველარც ვგრძნობ, როგორც გამოთხოვების, ჯერაც-აქ-ყოფნის წუთს, თანდათან მიმქრალს. რადგან შენ გაუნძრევლად მშორდები, შენი ქუთოთოების ქვეშ ისევ მოჩქარე დროის სურათები ცოცხლდებიან; შენ გამჭვირვალებაში ჩემს წინ მიდიხარ.

ნუთუ ისევ ამწუთიერის და ადგილის ტყვეობა მომიწევს?

მაგრამ ილიმი ძმური პასუხით, სულ ახლოს ჩაძინებული, შენი ღიმილი იმას ეკუთვნის, ვინც ვერ ბედავს იმედი იქონიოს და მოულოდნელად თავისი იმედის ასრულებას დაინახავს. შენს ბაგეებზე ეს თქვენი ილბლიანი აღმოჩენების თავბრუდამხვევ ცნობასავით ჩნდება. ვიცი: ახლა მეც შემეძლება ეს შორი, შენი უმანკოებისთვის ღია სივრცეები ჩქარა დავიარო,





ხელუხლებელი გადამფრენი ჩიტების ცასავით. ჩვენს ირგვლივ მხარე, უკვე ბინდისკენ გადახრილი, ყოველნუთს უფრო თბილ და უფრო ოქროვან კრთომაში, დღეს სხვა სინათლეს მოუცავს, შორეთში გაფერმკრთალებულად შთაღვრილს, მყარს, გაფითრებულს გამჭვირვალე რძესავით. ისევ მეცნობა ეს სულ უფრო მკრთალი და თამამი სექტემბრის სინათლე. გვეალერსება და იმავდროულად ქვავდება, ფორმებისა და შუქჩრდილების მოძრავ მიმოცვლას შეწყვეტს. ყველაფერი ცალკე გამოყოფს თავის თავს, გათავისუფლდება, შეიკეტება თავის თავში, დაიბრუნებს პირქუშ სიმძიმეს, შეუცვალებადი აქყოფნის მშვიდობას წმინდა კრისტალის გულში. თეთრი სინათლე, როგორც თეთრი ხმა, ესლა ჩამესმის. ალბათ უდღეური მირაჟის ტყვე.

არა, მერცხალი არ ტყუოდა. ლურჯი ფერების უგრძესი ჯაჭვი, რომელსაც ჩემი ფიქრები ჰორიზონტამდე მიჰყავდა, წყდება და გაქარწყლდება: მშვენიერი ჩრდილები, შარაგზის მტვერზე ლავანდისფრად ფენილი, ფოთლნარის ალთა აკვამლული ბოლქვები და ისინი, რომელიღაც სოფლის ჩამუქებულ ვარდს გვირგვინს რომ დაადგამენ; იქით მთები ცის კიდეზე, მიმობნეული ენციანების კონა და თვით ზეცა ღრუბლების მძიმე ქუთუთოებქვეშ, როგორც მზერა... ვხედავ ისინი როგორ ხუნდებიან, თანდათან როგორ იფანტებიან (თვით შენი სხეულიც) უკიდევანო სივრცეში, როგორც ღრუბლები, ვარსკვლავების ამრევი ფრინველთა გადამფრენის ღამის დადგომამდე: კვამლი, კიდეც ცოტაოდენი ბურუსი, მერე გამჭვირვალეების ენითაუნერელი გაცხადება... მარტოკა, მიუსაფრად, გადარჩენილი ღილილოების სილურჯე სივრცისა და წმინდა დროის უფსკრულის ზღურბლზე გამოცოცხლდება, ცის ერთი ნაგლეჯი, ნარნარი ლურჯის უმალ ისეთი კრთომა, რომ უამრავი ძახილივით შეგვძრავს.

უკვე (თუმცა ეს სიტყვა დროის გარეშე უშინაარსო გამხდარა) უფსკრულის უშორესი სიღრმიდან ექო პასუხის გაცემას ცდილობს, უსუსური სიჩუმის დედობრივ ნიადაგს გარეთ დავარდნილ თესლზე მეტად, ნარუვალობის ნათელში.

ცის ერთი ნაგლეჯი

ცისფერის ერთი ნაგლეჯი

ყვავილნულში ფურცლოვანი გვირგვინების ღრმა ლურჯი

ვიხრები, ხელს გავინვდი: ღილილოები აღარ არიან, ღმერთო ჩემო, მაგრამ ყვავილები, რომელთა შუქის ანარეკლსაც ადამიანების გამოხედვაში მთელი სიცოცხლე ვეძებდი... ახ, აქ არიან, ხელახლა მოძებნილი აპენინური ანემონები, ცის სილაჟვარდის ნაგლეჯები; ოდესღაც, ვარსკვლავთა სიმრავლე ფოთლების მსუბუქი კორიანტელის გარეთ, ჩვენი ბალის ძახველის ჩრდილში, დედა, ედემის ბალის ძახველის ქვეშ.

ხელახლა მუხლმოყრილმა მათ წინაშე, ყვავილების საუფლოში კვლავ მიღებულმა, რომლის აღმოჩენაც აკვნიდან ჯერ კიდევ ახლადფეხადგმულმა ვინყე, სიხარულით მობუტბუტემ ათასფერი ყვავილების კვლებთან, გათელილ ბალახში მონაბერი კეთილსურნელებანი ერთიმეორის მიყოლებით შევიყნოსე. ისინი კვლავ გაცოცხლებულან და ჩემს კისერს ახლიდან განბანენ. მთებიდან წამოსული ნიავის თითოეული მობერვა მათ შეაკავებს და უასმინთან, ბზამნარესთან და იასამანთან შენახებს ჩემთან მოიყვანს. ისინი თავის მხრივ ცარიელ სივრცეს გააცოცხლებენ და სახლების გამოჩენილი

ფასადები თავიანთი ნათელი გარეგნობით თოვლის გრძელი სიმღერასავით მეძახიან. გირჩებმობნეულ მოლზე, რომელსაც ბებერი, ხმობაშეპარვული ქლიავის ხეები ჯერაც ჩრდილავენ, ფიჭვი ახალ ყლორტებს აღმოაცენებს. ო ეს სამყარო ჩემს გარშემო, რომელიც აღიმართება და ხურვებასა და სიმშვიდეში აქყოფნის სისავსეს აღწევს, თითქოსდა ამ ადგილის უსაზღვრო მოლოდინის ჭრილობისგან განსაკურნებლად. იქ, ქვემოთ ლურჯმოსასხამიანი მსახური ჩერდება, ფოცხით ბლის დაკიდებულ კუნწულას თავისკენ ჩამოსწევს და მოხდენილი ძლოკვი მის ფეხებთან გაიკლაკნება და მაღალი ბალახის თრთოლვაში გაუჩინარდება.

ვამჩნევ, რომ ჩემთვის ყველა საგანი ნაცნობია, საკუთარი თავიც შემიცვნიან, მივსალმებივარ, სინათლეში, რომელშიც ნარინჯისფერი და რუხი გულწითელა თამაშობს მატყუარა, მჭკნარი ფოთოლივით. მიახლოვდება, ისევ ხისკენ მშორდება, რომლის სახელიც ხელახლა აღმომიჩენია, ბრუნდება, უკან მომყვება, თავს დამტრიალებს, თავისი ფრენით და გალობით მაცილებს (ლოცვის და სიცილის ეს უზომოდ კურკებგამოცლილი ყურძნის მტევანი) ძველ გატკეპნილ ზღურბლთან თავისი ოლეანდრების ბუჩქებს შორის, ბედნიერი აღმოჩენების ზღურბლთან დედა, სადაც თითოეული სიტყვა გამოუთქმელ სიცხადეში ნარმავალი ქაფივით გაქრება.



ფრანგულიდან თარგმნა
კონსტანტინე ზ. გამსახურდიამ

„არტანუჯი“ გთავაზობთ


გრიგოლ რობაქიძე

„ჰიტლერი“

„ადოლფ ჰიტლერი უცხოელი მწერლის თვალთ“ გრიგოლ რობაქიძის განცდებისა და შთაბეჭდილებების კრებულია, სადაც ჰეროიკულადაა აღწერილი ფიურერის ცხოვრება და პოლიტიკური გზა. წიგნში დამონშებული არაერთი სიმბოლო, ხატი თუ მითიური ამბავი მხოლოდ იმ მიზანს ემსახურება, რომ მთავარი პერსონაჟი ახლებურად წარმოჩნდეს. ნანახისა და გაგონილის უჩვეულო შერწყმასთან ერთად, მწერალი გვთავაზობს თავის დაკვირვებებს, ხშირად გადამეტებულსაც, მაგრამ საოცარი რწმენითა და დაბეჯითებით.

პირადი ფოტოები, საჯარო გამოსვლები, ხალხთან შეხვედრა და ჰიტლერით მოცული ყოველდღიურობა თავს იყრის შემოქმედებით პროცესში, გრიგოლ რობაქიძის აზროვნებასა და წარმოსახვაში, სადაც „ფოლადივით სიტყვა უზარმაზარ ძალას ასხივებს“.

გერმანულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო დალი ფანჯიკიძემ.



ერთი ფოტოს ისტორია



ეს სურათი 57 წლის წინაა გადაღებული, 1953 წლის გაზაფხულზე...

დღე იყო დიდებული, რალაც იდუმალი ნათელით სავსე. გალაკტიონი მშვენიერ ხასიათზე იყო, ხუმრობდა, ილიმოდა. მას ყველანი აღტაცებითა და მოწინებით შესცქეროდნენ. იმ წამსვე გაჩნდა სურვილი „პოეტთა მეფესთან“ სურათის გადაღებისა, – იგონებს ამ ფოტოსურათის გადაღების ისტორიას ან განსვენებული ქალბატონი ელენე (ლენა) დოლიძე.

ეს მოხდა კინო-ფოტო-ფონო არქივში, რომელიც ახალი დაარსებული იყო და ლუნაჩარსკის (დღეს თაბუკაშვილის) ქუჩაზე მდებარეობდა.

თამილა წონორია

საოცარი დღის მაღლით...

გალაკტიონი ხშირად დადიოდა ამ არქივში, რომლის დირექტორიც გახლდათ მისი გარე ბიძაშვილი – ბესო ტაბიძე. ისინი ახლობლობდნენ, მეგობრობდნენ. გალაკტიონს მასთან ხშირად მოჰქონდა ცნობილი ქართველი ფოტოგრაფის, როინიშვილის მიერ გადაღებული ფოტოები, ნეგატივები და პოზიტივები.

ფოტოსურათზე გალაკტიონის გვერდით ზის ქართველი მწერლის დავით კლდიაშვილის ქალიშვილი ნინო, იმჟამად მწერლის სახლ-მუზეუმის დირექტორი სიმონეთში.

დგანან: ბესო ტაბიძე – არქივის დირექტორი, არაჩვეულებრივი პიროვნება. კინორეჟისორ ნიკოლოზ სანიშვილის და, მშვენიერი ნინო სანიშვილი, რომელიც უფროს მეცნიერ-თანამშრომლად მუშაობდა და ამ მოგონების ავტორი ელენე (ლენა) დოლიძე, არქივის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

ამ კადრის გადაღების შემდეგ ქალბატონმა ლენამ სთხოვა დიდ პოეტს, მხოლოდ მასთან გადაეღო სურათი. გალაკტიონმა გაიღიმა, ხელი მოხვია თურმე და ობიექტივს მიაჩერდნენ, სამწუხაროდ, ზუსტად ის ნეგატივი გაფუჭდა და შთამომავლობას გალაკტიონის ეს ფოტო არ შემოენახა.

ამ ან უკვე ისტორიულ ფოტოზე კარგად ჩანს, როგორი ნათელი სხივი დასთამაშებს სახეზე გალაკტიონ ტაბიძეს და ამ საოცარი დღის მაღლით გამთბარნი და გასხივოსნებულნი, გადავიდნენ ამ ფოტოზე აღბეჭდილი ადამიანებიც ამ ნუთისოფლიდან.

შენდობა ამ დიდებულ ადამიანთა ნათელ სულეებს.



თეატრი

იოსებ ჭუმბურიძე

ქარიშხალი სიმშვილეში

თავდაპირველად – ორიოდ სიტყვა ავტორზე.

ამ წიგნის გამოსვლა მისი ცხოვრების „მრგვალ თარიღს“ დაემთხვა. ასაკს არ გავამხელ, თუმცა თვითონ არ მალავს, ისევე, როგორც საერთოდ არაფერს.

დასამალი არც არაფერი აქვს... ის ერთი იმათგანია, ვისაც არც წარსულის უნდა ეშინოდეს და არც მომავლის.

როცა მის მიერ განვლილ გზაზე, მისგან გადახდილ ომებზე ვფიქრობ, **ოსკარ უაილდის** სიტყვები მახსენდება: „სუფთა წარსულს ფულით ვერ შეიძენ“.

ეს ისეთი სიმდიდრეა, რომლის გამოც შური ბუნებრივად აღიძვრის. თუ ამას რთული ხასიათიც ემატება, გასაკვირი არ არის, რომ „მუდამ მტრიანია“.

მაგრამ მოკეთეც, კეთილისმსურველიც და მეგობარიც ცოტა არა ჰყავს. ეს დადასტურდა ახალი წიგნის წარდგინებაზე, ძალდაუტანებლად და უნებურად, საიუბილეო საღამოდ რომ გადაიქცა.

სხვათა შორის, ბევრს ეგონა, რომ იქ (რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტული სცენა) მხოლოდ ორი რიგი თუ შეივსებოდა.

სინამდვილეში, დარბაზი გაივსო. კიდევ უფრო სხვათა შორის, ორი რიგიც ცოტა არ იქნებოდა.

დიდ ფრანგ რეჟისორს **გოდარს** ერთხელ უთხრეს, თქვენი ახალი ფილმის ჩვენებას ძალიან ცოტა მაყურებელი დაესწრო.

მაინც რამდენიო? – იკითხა, თურმე, რეჟისორმა.

ოციოდეო, – უპასუხეს.

ეს ძალიან კარგია, ჩემი დონის ოცი მაყურებელი არსებულაო...

ერთ-ერთ თავის წიგნში წერს:

„**თამარ წულუკიძე** არ იყო მარტივი ბუნების ადამიანი“.

თვითონაც ასეთია.

დარწმუნებული ვარ, 30-იან წლებში რომ ეცხოვრა, მასაც გაწირავდნენ და გადასახლება არ ასცდებოდა.

„არ შეველ ტაძრად, უწმინდური სადაც შევიდა“. – პოეტმა ეს ხატოვნად, გადატანითი მნიშვნელობით თქვა.

ნათელა არველაძე კი პირდაპირი მნიშვნელობითაც ასრულებს: არ შედის ტაძარში, საიდანაც... უწმინდური გამოასვენეს.

ახლა კი – წიგნზე.

წიგნს „სასცენო მეტაფორა“ ჰქვია, ეს არის ყველაზე მშვიდობიანი წიგნი, რომელიც კი ნათელა არველაძეს დაუწერია.

რაგინდ გასაკვირიც იყოს, აქ ის არავის უპირისპირდება, არავის ამხელს, არავის ეპაექრება...

აქ ის მხოლოდ ეთანხმება და აქებს.

მაგრამ!

მაგრამ ის ვიკითხოთ, ვის ეთანხმება და ვის აქებს.

ეთანხმება: **არისტოტელეს, ჰეგელს, ნიცშეს, ბახტინს, ლოსევეს, გასეიტის, ზვიად გამსახურდიას...**

აქებს: **მარჯანიშვილს, ახმეტელს, ყუშიტაშვილს, ჩხარტიშვილს, ტაიროვს, ტოლსტოგონოვს, თუმანიშვილს, გიგა ლორთქიფანიძეს, რობერტ სტურუას, თემურ ჩხეიძეს, მუღუა კუჭუხიძეს, გოგი ქავთარაძეს, ნუკრი ქანთარაძეს, ლევან წულაძეს, გოჩა კაპანაძეს...**

ოღონდ, დათანხმებაც და ქებაც აქ პირობითად ითქმის.

პირველ შემთხვევაში, დიდ მოაზროვნეთა შეხედულებებს იმოწმებს.

მეორე შემთხვევაში კი, სპექტაკლებიდან მეტაფორათა საუკეთესო ნიმუშები მოჰყავს.

თუ ლიტერატურის სფეროში მეტაფორის საკითხი საფუძვლიანად არის შესწავლილი, თეატრის დარგში მისი კვლევა, არსებითად, ყამირზე ხნულის გავლებას ნიშნავს.

ზემოთ აღვნიშნე, ამ წიგნში ავტორი არავის უპირისპირდება-მეთქი, ეს თეზა ბოლომდე ზუსტი არ არის.

არის ერთი შემთხვევა, როცა ის პრინციპულად უპირისპირდება საბჭოთა ეპოქაში დამკვიდრებულ მხატვრული შემოქმედების მექანიკური დიფერენციაციის პრაქტიკას და განსხვავებულ თვალსაზრისს გვთავაზობს.



ქალბატონო ნათელა, გილოცავთ. თქვენ ბრძანდებით მცველი და აღმნუსხველი ქართული თეატრის ისტორიისა, ერთგული, თავგამოდებული, პრინციპული, უანგარო აღმზრდელი ახალგაზრდა თაობებისა; ზოგჯერ მკაცრი, მაგრამ ღმობიერი; თეატრმცოდნე, ამ სიტყვის ჭეშმარიტი გაგებით; – რეჟისორისა და მსახიობის გულის მცოდნე და მესაიდუმლე.

ლევან ნულაძე

ფოტოზა: ნათელა არველაძე



ეს თვალსაზრისი, მოკლედ, ასე გად-
მოიცემა: თუკი ვალიარებთ მხატვრული
შემოქმედების ერთიანი სისტემის არსებო-
ბას, მაშინ მისი შემსწავლელი მეცნიერე-
ბაც ერთიან სისტემად უნდა წარმოვიდგი-
ნოთ, ანუ ხელოვნებათმცოდნეობა უნდა
აღვიქვათ ერთიან, მაგრამ სუვერენულ
შენაკადურ ნაწილთა კონგლომერატად,
რომელშიც შედის ლიტერატურისმცოდ-
ნეობა, თეატრმცოდნეობა, მუსიკისმცოდ-
ნეობა, კინომცოდნეობა, ქორეოგრაფია და
ა. შ. (აქ, არა მხოლოდ ეგოისტური მო-
საზრებით, უნდა დაუმატო ქურნალის-
ტიკისმცოდნეობა – ავტ.).

ამ თვალსაზრისის წამოყენებისას, ავ-
ტორს ზურგს უმაგრებს ისეთი დიდი
ავტორიტეტი, როგორც **მიხეილ ბახტინ-
ია**. ქალბატონმა ნათელამ ოსტატურად
დაიმოწმა დიდი მეცნიერის ასეთი მოსაზ-
რება: „უკანასკნელ წლებში რუსული მეც-
ნიერული ლიტერატურა გამდიდრდა ხე-
ლოვნების თეორიის ფასეული ნაშრომე-
ბით, განსაკუთრებით პოეტიკის სფეროში“.

ეს იმის საუკეთესო ნიმუშია, თუ რო-
გორი თვალი, ალღო და ინტუიცია უნდა
ჰქონდეს მკვლევარს, რათა სხვათა ნააზ-
რეში შენიშნოს ყველაზე მთავარი, რასაც
საკუთარი თვალსაზრისის წარმოდგენისას,
შეუვალ არგუმენტად გამოიყენებს. ასეთი
მეცნიერული გაელვება ამ წიგნში საკ-
მაოდ ბევრია.

მეტად საგულისხმოა ავტორის და-
კვირვება იმის შესახებ, რომ „**სანდრო
ახმეტელის** შემოქმედებითი ძიებანი ბევ-
რად განსაზღვრა ფილოსოფოსთა და
ფსიქოლოგთა ნააზრევმა. ექსპრესიონ-
ისტული დრამის პრინციპებმა“, ხოლო
„**მიხეილ თუმანიშვილის** შემოქმედე-
ბაზე გარკვეული ზემოქმედება იქონია
ფრანგ ეგზისტენციალისტთა ნაშრომებმა
და **სტანისლავსკის** მიერ აღმოჩენილმა
ქმედითი ანალიზის მეთოდმა“.

რაც შეეხება **რობერტ სტურუას**, ნათე-
ლა არაველადის აზრით, „რეჟისორი ეც-
ნობა სტრუქტურული და ფენომენოლო-
გიური ანალიზის ფორმებს, თანამედროვე
ფილოსოფოსთა და ფსიქოლოგთა, სხვათა
და სხვათა ნააზრევს. ის იყენებს და ეყრდ-
ნობა ანალიზის თითქმის ყველა სახეობას,
რათა შექმნას მრავალპლანიანი, პოლიფონ-
იური, პოლივალენტური თხრობა, სადაც
ერთ მთლიანობაში წარმოჩინდება ნეომი-
თოლოგიური ცნობიერება, ინტერტექს-
ტუალურობა, პერფორმანსის „თეორიული

საფუძვლებიც“.

აქ შეიძლება, წამით შეკრთე და გაი-
ფიქრო ის, რის საფუძველს და საბაბს
ნათელა არველაძე იმწამსვე მოგისპობს,
რადგან დასძენს: „მაგრამ ეს არ ნიშნავს
იმას, რომ მისი შემოქმედება მხოლოდ
მეცნიერული მიგნებების წიაღიდან იღებს
სათავეს და „სტურუას თეატრი“ ამ ნარ-
ჩენების ექოდ განვიხილოთ... ამ უმდი-
დრეს, მრავალსახოვან, მრავალგვარ ინ-
ფორმაციას მხოლოდ ბიძგის დანიშნულება
აქვს, რათა შემოქმედის ინდივიდუალურ
ქურაში გადაღობის შემდეგ, ამ ინფორ-
მაციათა შედუღაბებით, საკუთარი მსო-
ფლმხედველობა ჩამოაყალიბოს“.

ზემოთ მოვიხმე იმის მაგალითი, თუ
როგორ ძალუძს ქალბატონ ნათელას მეც-
ნიერული ტექსტის წაკითხვა.

ამ წიგნში კიდევ უფრო შთამბეჭდავია
ხელოვნების ქმნილებათა და ცალკეულ
მეტაფორათა სიღრმისეული წვდომის
მაგალითები.

განსაკუთრებით გამორჩეულია თეატრმ-
ცოდნის (ხელოვნებათმცოდნის) მსჯელო-
ბა **მიქელანჯელოს** „პიეტაზე“, გენიალური
მოქანდაკის გამაოგნებელი მეტაფორის
მისეული ახსნა – თუ რატომ გამოსახა
მიქელანჯელომ ახალგაზრდა ღვთისმშო-
ბელი და ჭარმაგი იესო: „მარიამი მარად
ქალწულის სინორჩეს ასხივებს, ადამიანთა
ცოდვის ზიდვა, ამ მძიმე ჯვარის ზიდვა
კი, ხანდაზმულად აქცევს იესო ქრისტეს“.

თავად ეს ახსნაც იშვიათ მიგნებათა
რიგს უნდა მივაკუთვნოთ. როცა ეს ახ-
სნა წავიკითხე, ჩემთვის უფრო გასაგები
გახდა სიტყვები, მე-9 საუკუნის ბერძენი
პოეტი ქალი **კასია** ღვთისმშობელს რომ
ათქმევინებს და **მანანა გიგინეიშვილის**
ბრწყინვალე თარგმანში ასე ჟღერს:

„ხელთ როგორ მეპყრას ჩვილი, რო-
მელსაც ხელთ თვით უპყრია მთელი სა-
მყარო?!“

ასევე საინტერესოა მხატვრული
ლიტერატურისა და კინოს სფეროდან
მოხმობილი მეტაფორების ახსნა, რაც
თეატრმცოდნის ფართო თვალსაწიერზე
მიგვანიშნებს. ამის შემდეგ, ბუნებრივია,
აღარ გიკვირს, რატომ ამახვილებს იგი
ყურადღებას თანამედროვე თეატრმცოდ-
ნეობის ერთ-ერთ საკვანძო ამოცანაზე
– ინტერდისციპლინარულ კვლევაზე,
– ფილოსოფოსთა, ფსიქოლოგთა, ესთე-
ტიკოსთა, სოციოლოგთა, სემიოლოგთა
და ლიტერატურისმცოდნეთა ნააზრევის



შემოქმედებითი ათვისების პრიორიტეტზე. ეს სწორედ ის სფეროა, სადაც მას, ჭეშმარიტად, „ძალი შესწევს ქაღილისა“.

როცა თეატრმცოდნე ლიტერატურისა და, საერთოდ, ხელოვნების სხვა დარგების ქმნილებაზე ასე ღრმად და საინტერესოდ მსჯელობს, რა გასაკვირია, რომ ღრმა და საინტერესო იყოს მისი განსჯანი „საკუთარ მოედანზე“ – იქ, სადაც იგი თავს ისე გრძნობს, როგორც თევზი წყალში.

ცნობილია, რომ სპექტაკლის წაკითხვა და ანალიზი მისი, როგორც თეატრის კრიტიკოსის, ყველაზე ძლიერი მხარეა. ეს იგრძნობა წიგნის იმ პასაჟებში, სადაც სასცენო მეტაფორის ნიმუშებს აანალიზებს და გვიჩვენებს, რომ მეტაფორათა აღმოცენება-გამოკვეთას იმპულსს დრამა აძლევს.

ერთი მაგალითი:

კარელ ჩაპეკი დედას ათქმევინებს: „ახლა კი მსურს, ძუნწივით ვიჯდე სკივრზე, სადაც ვინახავ ყველაფერს, რაც გამაჩნია და ვიყვირო... არ დავთმობ, არ დაუთმობ. უთუოდ, ამ რეპლიკამ უბიძგა ვერიკო ანჯაფარიძეს გამომსახველობით საშუალებათა მიგნებისაკენ. მისი დედა, გარეგნულად, ძალზე სადად ჩაცმული და თავდავარცხნილი, მეტისმეტად ჩვეულებრივი ქალი გახლდათ, მაგრამ შვილის სიცოცხლეს რომ დაემუქრა ომი, ის წუთიერად გარდაიქმნა მრისხანების სიმბოლოდ, მერე კი ძველებურ სკამზე, როგორც სკივრზე ჩამომჯდარი მსახიობი, რისხვადქცეულ ქანდაკებას დაემსგავსა. პროფილით აქოჩრილ კრუხს ჩამოჰგავდა; თავის ნაშიერს თავგამოდებით რომ იცავს“.

ასევე საინტერესოაა გაანალიზებული **ვასო გობიაშვილის** ლუარსაბი, **გიორგი შავგულიძის** ხარიტონი, **სესილია თაყაიშვილის** ბებია, **ავთო მახარაძის** მეფე ედვარდი, **ეროსი მანჯგალაძის** ზიმზიმოვი...

მოყვანილია იმის კლასიკური მაგალითებიც, როცა მეტაფორა ერთი კონკრეტული მიზანსცენით გამოიხატება: გულშელონებული, იატაკზე გართხმული ოტელო და მასზე სვაივით წამომართული, ფრთაგაშლილი იაგო (კოტე მარჯანიშვილის სპექტაკლი).

ან: სამი მოხარხარე ჩაფრის ფერთხით ჯაჭვით „დაბმული“ ურჩი ანტიგონე (მიხეილ თუმანიშვილის სპექტაკლი).

ან: თეთრად შეფერილი სახითა და წმინდანივით თეთრ ქიტონში გამოწყობილი ყვარყვარე (რობერტ სტურუას სპექტაკლი).

აქ ავტორი ჰეგელის მოსაზრების შუქზე წარმოაჩენს მეტაფორის არსსა და მასში ნაგულისხმევი მოვლენის მნიშვნელობას.

„ოტელოს“ შემთხვევაში, ხსენებული მიზანსცენით ნაჩვენებია სვაის დაუნდობლობა და გაუმაძღრობა“;

„ანტიგონეს“ შემთხვევაში, – თავისუფლების ხელყოფა;

ყვარყვარეს შემთხვევაში – ფსევდოწმინდანის გამოცხადება;

უამრავი შთამბეჭდავი მაგალითის მოხმობა თავისთავად გამოკვეთს სასცენო მეტაფორის მნიშვნელობას. თეორიულ კვლევას და რჩეულ მოაზროვნეთა თვალსაზრისების განხილვა-შეჯერებას ავტორი ბუნებრივად მიჰყავს იმ დასკვნამდე, რომ „სასცენო მეტაფორა, სასცენო მეტაფორათა ჯაჭვი, ერთდროულად, გარკვეული ინფორმაციის გამოხატულებაცაა, სამკაულის (ჩუქურთმის) როლსაც ასრულებს, ენიგმატურ ენასაც გამოკვეთს. ის მიუთითებს მოვლენას და იმავდროულად, გამოკვეთს ნაგულისხმევ მნიშვნელობას, ქვეტექსტს. ამასთანავე, სასცენო მეტაფორა სპექტაკლის ვიზუალური პარტიტურის კოდიცაა, აქტიური (ზემოქმედების მნიშვნელობით) და გახსნილი ნიშანიცაა“.

... ამ მართლაც საინტერესო წიგნზე კიდევ ბევრის თქმა შეიძლებოდა.

ალბათ, ითქმება და დაიწერება კიდევ.

მე კი, ბოლოს, ისევ ავტორზე ვიტყვი, ისევ ორიოდ სიტყვას.

ზემოხსენებულ სადამოზე აღინიშნა, რომ ნათელა არველაძე მუდამ იქ დგას, „სადაც ქარიშხალია“. ესეც დასძინეს: „ან თვითონ იწვევს ქარიშხალს“.

ეს ხუმრობა არის და არც არის.

დაკვირვებული თვალი „ქარიშხალს“ ამ მშვიდ წიგნშიც შენიშნავს. „ქარი არა სჩანს, ქარი არა სჩანს, მაინც მწვერვალებს ედება ქარი“ (გალაკტიონი). ამ შემთხვევაში „ქარს“ ნაშრომის აქტუალურობა, მისი მღელვარე რიტმი ქმნის. მთავარი კი სულ სხვაა:

ნათელა არველაძე მხოლოდ ორი რამისთვის ბობოქრობს – სამშობლოსთვის და თეატრისთვის.

მისთვის ორივე, წმიდათაწმიდაა, თანაც ურთიერთთან „ჯაჭვით გადაბმული“.

თავისთვის არაფერს ითხოვს.

სხვები ითხოვენ, იღებენ კიდევ.

და მაინც შურით აღიძვრიან.

რას ვიზამთ:

„სუფთა წარსულს ფულით ვერ შეიძენ...“

ნათელა არველაძე

სასცენო მეტაფორა



ნათელა არველაძე

ცრემლზე მნარე სიცილი



მსუბუქი, რიტმული მელოდია საცეკვაოდ უხმობს მსახიობებს. ისინი რამპასთან ჩამწკრივდნენ, თავს გვიკრავენ, გვიღიმიან, ცქმუტავენ, ნებივრობენ, მალი-მალ კულისებისკენ იხედებიან, რეჟისორს ელიან, ის კი არ ჩანს, გაქრა, გაუჩინარდა, მსახიობებს მიანდო მაყურებელთან გამოთხოვების ხალისიანი რიტუალის ჩატარება, მათთან დიალოგისათვის წერტილის დასმა. დარბაზი მხიარული ყიჟინითა და რიტმული ტაშით კვლავ უხმობს მსახიობებს, მუსიკა არ წყდება, მსახიობები შემორბიან, ხარობენ, გვიღიმიან, მადლიერების ნიშნად თავს მდაბლად ხრიან და გარბიან... მერე ისევ ბრუნდებიან, რამპასთან ჩამწკრივდებიან, ხალისით ასრულებენ გამოსათხოვარ სათეატრო ეტიკეტს, ისევ გარბიან კულისებისაკენ...

ზაზა პაპუაშვილს სცენა არ ეთმობა, პარტნიორებს – **ნინო კასრაძესა** და **ია სუხიტაშვილს** – ჩასჭიდებია, უინიანად ტოკავს, ვერ ისვენებს, ჯერ კიდევ დაუხარჯავ ენერგიას ვერ იოკებს, ლალობს... ღმერთო! რაოდენი გაუმხელელი სატკივარი, გუგაში ჩარჩენილი ცრემლი, მნითურ ყვრიმალეებს შეყინული ნაღველია ჩაბუდებული მის სანდომიან პირისახეზე, ანაზდეულად ღიმილის საფარქვეშ რომ ილანდება. ახლა სამნი გახელებულნი როკავენ, ცირკის ჯამბაზების რევერანსით გამოხატავენ მადლიერებას, ზაზა ძალუმად ჩასჭიდებია ნინოსა და იას, არ უშვებს სცენიდან, არ ეთმობა ეს გიჟმაჟი და დამათრობელი სცენური თავისუფლება, ეს თავანყვეტილი ონავრობა, ეს ბალღური მიამიტობა...

უეცრივ ჩემში გრძნეული სიმი ატოკდა, თითქოს, უხილავი ძაფი გაიბა ჩვენს შორის, სიახლოვე და სულიერი ნათესაობა შევიგრძენი მათ მიმართ, ჩვენ გადაჯაჭვულნი აღ-

მოვჩნდით ერთი რეალობით, ერთი დროებით, ერთი ჭირ-ვარამითა და იმედიანი სიხარულით. ზაზას პირისახეზე ანცი ღიმილი გაკრთა, სიხარულის სხივი აკიაფდა თვალებში... ახლა მგონია, პერსონალურად ჩემთვის როკავს, ჩემთვის იცინის, ჩემსკენ აგზავნის ჭმუნვის ნაპერწკალს და ხარობს, რომ თანამოზიარე, თანაგანმცდელი, თანამოსაუბრე აღმოაჩინა ჩემში, თითქოს იმასაც მიმიხვდა, რა ჭიაკოკონაც გიზგიზებს ჩემს სულში, რა ნირვანაც დამეუფლა ამ წუთებში. ჭეშმარიტად, მსახიობი სცენაზე მეუფებს! მბრძანებლობს! ერთპიროვნულად განაგებს! ახლა ზაზას ემორჩილებიან პარტნიორებიც, მაყურებელიც, რადისტიც, ტექნიკური რეჟისორიცა და თვით დამდგმელი რეჟისორიც!..

უეცრივ, რიტმული მელოდია შეწყდა, ზაზა ისევ როკავს, გაოგნებულ მზერას აპარებს ზევით, რადისტს უხმობს, ისევ მოეფინა შენივთულ სცენასა და დარბაზს რიტმული მელოდია. ახლა ზაზა, უკვე ბალღის სიჯიუტითა და აღტკინებით, სიმმაგითა და ახარხარებული კიჟინით როკავს, ხტის, ხარობს... სამივე ჯამბაზის რევერანსით, გვიმხელს სიხარულს. გვიღიმიან! აცეტებული არტისტები თავს მდაბლად გვიკრავენ, მსუბუქად ტოკავენ, თავდავინყებით ლალობენ, მათ არ ეთმობათ სცენა, არ ეთმობათ ჩვენი გულგახსნილი აღტკინება; ჩვენ ვერ ვთმობთ მათთან სიახლოვის ნეტარებას, ერთ „ენაზე“ ვმეტყველებთ, ერთ არსებად გადაიქცა სცენა-დარბაზი, უინმორეულები ვხალისობთ... ამ გამხელილ, ანაზდეულად აფეთქებულ სიხალისეში თუხთუხებს და ყივის ტკბობის მშვენიერება, იმედის მგზნებარება, შინაგანი თანახმიერების იდუმალება. ეს ცალკე სანახაობაა! კეკულუცი, ლალი, ირონიული, გულითადი, მგრძნობიარე,

ფოტოზა:

ზაზა პაპუაშვილი და
ია სუხიტაშვილი

თბილი, სხარტი სანახაობა! ასე მგონია, ჭეშმარიტად, „განსხეულდა“ მაყურებლის ორგანული დანთქმა სანახაობის სიღრმისეულ პლასტიკში, განხორციელდა იშვიათი ნუთები თანამოაზრეობისა. მაყურებელი იქცა არა მარტო თანამოაზრედ, არამედ ჭეშმარიტ თანაშემქმნელად! ეს დიდებული ნუთები იმ გრძნეულ რიტუალს შეეტოლება, ქართული ხალხური სიმღერების შემსრულებლებს რომ ჰკრავს, შინაგანად გასხივოსნებულები კოსმიურ სივრცეს რომ ესიტყვებიან, კეთილშობილი ათინათი რომ ელვარებს ღირსების ნიშნად... იმ სალამოს იშვიათი სისავსით გამთლიანებულებმა დავტოვეთ რუსთაველის თეატრის მაყურებელთა დარბაზი, აღტკინებულებმა მივაშურეთ რუსთაველის გამზირს, სადაც... ჩვენს გულელებში დარდიმანდი გრძნობა და აზრის სიმახვილე გადაიხლართა, ჩვენ გამთლიანებული სცენა-დარბაზის მშვენიერება კიდევ ერთხელ აღმოვაჩინეთ, ჩვენ სიხარულის ნეტარება განვიცადეთ, ჩვენ ერთად ყოფნის სიტკბოება შევიგრძენით, ჩვენ გვიყვარდა ერთმანეთი!..

ღმერთო! რატომ არ შეიძლება, ერთად ვიცხოვროთ და ვიყოთ ბედნიერები? გონება ვერ მშვიდდება: დარბაზიდან გამოყოლილი ბიდერმანი-ჯამბაზის ეს მიამიტად ნატყორცნი რეპლიკა, მოსვენებას მაკარგვინებს, სულს მიფორიაქებს, მოდუნების უფლებას არ მაძლევს. შინაგანი ხალისიანი ხმა კი ეშმაკურად ჟღერტულებს: მართლაც, რატომ არ შეიძლება ვიცხოვროთ ერთად და ვიყოთ ბედნიერები? მართლაც, რატომ არ შეიძლება? არ შეიძლება? შეიძლება?!

სპექტაკლის პროგრამას დავცქერი, ბალის ნახატი – ათასწრად გაფერადებული კაცი-ჯამბაზი ღიმილს მგვრის: მაქს ფრიში. „ბიდერმანი და ცეცხლისნამკიდებელი“. ფერადი ფანქრებით შესრულებული წარწერა მახალისებს, ბავშვობაში მამრუნებს, როცა თავადაც ასე ვაფერადებდი კონტურით მონიშნულ ფიგურებს. ფარდა გაიხსნა.

მრუმე სიბნელე მოკიაფე სხივმა ძლივს გაანათა, ძლივს ვარჩევ დეკორაციას. მერე რუხი სივრცე მეხანძრეთა ქოროს ნარინჯისფერ-შინდისფერი სპეციალური სამოსით „გაცოცხლდა“. მათს ვაჟურად მკაცრ მოძრაობებში მაინც ილანდება გოგონების ბუნებრივი სიკეკლუცე, ფალცეტიტ ნამღერი მელოდიის თანხმლები სიტყვები ღიმილს იწვევს. გობელენის მაგვარი, ბავშვების ნახატით განყოფილი პატარა ფარდა ეშვება ამ, ერთი შეხედვით, გაურკვეველ სცენურ სივრცეს, აკრობატებისათვის გაბმულ ბადეს, მოედანსაც, ციხე-კოშკსაც, კაბინეტსაც, ცირკის არენასაც რომ ითავსებს, სიმყუდროვეს ჰმატებს. დრო და დრო შემოენთებიან მეხანძრეები, თავადაც ცეცხლის ალს რომ ჰგვანან, ატეხენ ჟივილხივილს, კეკლუცად ჩაიმღერებენ: ხანძარი, ხანძარიო, მზადყოფნას მხედრულად მწყობრში დგომითა და მოჩვენებითად „ტლანქი“ მოძრაობებით გამოხატავენ, მერე უმისამართოდ გარბიან. (ქორეოგრაფი – კოტე ფურცელაძე).

ეს ერთიანი, ერთი ამოსუნთქვით, ერთი „უბრალო“ ხელის მოსმით, ერთიანი მაცდური ღიმილნარევი სევდით შექმნილი სანახაობაა, სადაც ძველი დამდგმელი გუნდი – სტურუა, ალექსი-მესხიშვილი, ყანჩელი – შეხმატკბილებული ტანდემით კვლავინდებურად, არაკვივით მიამიტად, ფარსულად თავ-

ფოტოზი: დათო დარჩია, ზაზა პაპუაშვილი, ბესო ზანგური.





აშვებულად, მორალიტესავით მსუბუქი დიდაქტიკით გვართობენ და გვმოდღვრავენ. მსახიობებიც, ჯამბაზებივით განვრთნილი მოძრაობებით, გულუბრყვილო შეფასებებითა და იუმორით აღსავსე ინტონაციით სასცენო თამაშში ორგანულად „ითრევენ“ მაყურებელთა დარბაზს. მწყობრად ნაგები, მხატვრული გადანყვეტის ერთიანობით შეკრული, უფრო ზუსტად კი, ჯადოსნური თილისმით აკინძული ეპიზოდები ერთმანეთს უეცრივ ენაცვლებიან; რეჟისორული მიგნებები შინაგანი რიტმით შენივთულ, სხარტ, ხავერდოვანსა და მსუბუქ სანახაობას, ირონიულ საბურველს უქმნიან. მსახიობები ჯამბაზობენ, ქილიკობენ, ლალობენ, სერიოზულზე არასერიოზულად საუბრობენ, ხუმრობენ და შეუმჩნეველად გვმოდღვრავენ: ნუ გამოკრავთ ხელს ასანთსო, ნუ გააჩენთ ხანძარსო, ნუ გადანვათ სახლ-კარსო, საკუთარ ციხე-კოშკსო, საკუთარ ქალაქს, საკუთარ ქვეყანასო... სცენაზე ისევ შემოენთებიან მეხანძრეები, მერე უსახლკარო და უმეცარი შმიტცი (ბესო ზანგური) გამოჩნდება, მერე არსაიდან მოვლენილი უგრძნობი მარიოც (დავით დარჩია). მეხანძრენი გვაშინებენ: ხანძარი, ხანძარიო... ის ორნი კი... მკაცრად და იმპერატივით ითხოვენ: დადუმდითო, იხოხეთო, ადექითო, დანექითო!..

მსახიობები მახვილგონივრული

ილეთებით, სხარტი შეფასებებით, ფერადოვანი ინტონაციითა და გამიზნული უესტიტსასცენო ქმედების ორომტრიალში გვაბრუნებენ, ისევ დაჰქრიან მოედანზე, კამათობენ, ჯავრობენ, გაჰკივიან, ოინბაზობენ და ისევ გვმოდღვრავენ: ხელს ნუ გამოჰკრავთ ასანთს, საკუთარი ხელით ნუ მოუკიდებთ ფითილს, საკუთარი ხელით ნუ გადაბუგავთ საკუთარ სახლს, ქალაქს, ქვეყანასო... მათთან ერთად ჩვენც ვიცინით, ვლალობთ, ვხარობთ, თითქოს ეს აბსურდული ამბავი ჩვენ არ გვებება, თითქოს თავად არასოდეს გამოგვიკრავს ასანთისთვის ხელი!.. ჩვენ მსახიობების ოსტატობით ვტკბებით და თანდათან სერიოზულად ვფიქრობთ ჩვენი ყოფის უმთავრეს სატკივარზე, დეტალებზე, ალოგიკურ სვლებზე.

მთელი მოქმედების მანძილზე თავში მიტრიალებდა არაკი მეფისა და ხარკის ამკრეფი ვეზირისა. მესამედ რომ ეახლა ვეზირი მეფეს და მოახსენა – ხალხი აღარ ტირის, მხოლოდ იცინისო, მეფეც მიხვდა, რომ მის ხალხს დასაკარგი, ჩამოსართმევი, წასართმევი აღარაფერი გააჩნდა! ჩვენც იმ არაკის ხალხივით ვიცინით, ვლალობთ, ვხარობთ და თითქოს, დასაკარგი, ჩამოსართმევი, წასართმევი აღარაფერი გავაჩნია. გულღია სიცილით, მსუბუქი ირონიით, მახვილი მზერით შევეყურებთ ფერადი ფანქრებით ბალებების მიერ შეფერადებულ ფიგურებს, სწორედ ისეთს, ბავშვობაში რომ ვერთობოდით და ახლა პროგრამაც რომ გვახსენებს. აღარ ვფიქრობ მაქს ფრიშის ინტელექტუალურ პროზასა თუ დრამებზე, არც მოდერნულ თუ პოსტმოდერნულ თეატრზე, არც აბსურდული სიუჟეტის აბსურდულ გათამაშებაზე, არც იმის დარდი მაქვს, რომელ მიმდინარეობას მიეკუთვნება ეს მსუბუქი აბსურდული ამბავი და მისი სახიერი სასცენო თხრობა. ახლა მალეღვებს ინდივიდის პიროვნული პასუხისმგებლობის გრძნობა საზოგადოების წინაშე, სოციუმის მზადყოფნის პრობლემა მოვალეო-

ფოტოზა:
ნინო კასრაძე და
ია სუხიტაშვილი

ბისა და უფლების დაცვის თაობაზე: ის მალეღვებს და მაფიქრებს, რამდენად მზად ვართ თავად გავსწიოთ ჭაპანი, ერმაც და ბერმაც ერთობლივად, ინდივიდმაც და სოციუმმაც ერთობლივად ვზიდოთ საკუთარი ჯვარი, ღირსეულად ვზიდოთ ჩვენი ჯვარი... უბრალოდ, ნუ მოვუკიდებთ ცეცხლს ფითილს, საკუთარი ხელით ნუ ავაფეთქებთ, ნუ გადავბუგავთ საკუთარ სახლს, ქუჩას, ქალაქს, ქვეყანას... ეს ხომ მაინც შეგვიძლია! მაინც შეგვიძლია? შეგვიძლია?!..

სცენა ხომ „ადგილი სახილველია“, სადაც ნებისმიერი ფილოსოფიური აზრი, დადგმის მიზანდასახულობა, პრობლემის მასშტაბი თუ სიღრმე, პერსონაჟთა სურვილები, ვნებათაღელვა, კონფლიქტის სახეობა მსახიობთა „უბრალო“ შეფასებით, კონკრეტულ საქციელთა სისტემით გამოისახება. სპექტაკლის ფიზიკური, პლასტიკური პარტიტურის სახიერებამ გამოკვეთა ჩვენი ასოციაციები, მიამიტობით გათამაშებულმა სიუჟეტურმა ქარგამ, ამბივალენტურმა მინიშნებებმა, რეჟისორის მტკიცე ხელით ჩამოქნილმა მიზანსცენებმა დინამიურად გამოსახეს დამდგმელის კონცეფცია, მხატვრული გადაწყვეტის პრინციპი, თამაშის წესის ორგანულობა. მეტიმეტად „მარტივი“, „უბრალო“, დახვეწილი ყესტით, მიმიკით, საქციელთა, გემოვნებით შერჩეული კოსტუმებით გამოიხატა ურთულესი შინაგანი სვლები და მასშტაბური აზრი. რად ღირს წინ, რამპასთან, ხასხასა მდებარე გათამაშებული ბიდერმანისა და მისი მეუღლის – ბაბეტას სასიყვარულო სცენა!

რუხი ფერებით გაძეძგილ სივრცეში ოაზისივით გამოისახა ბალახის ბუნებრივი სიმწვანით მოსილი პატარა მიწის ნაკვეთი. ბუნების ნიაღში განმარტოებული მამრი და მდედრი ვნების ტყვედქმნილად იქცნენ. უსიერ ტყეში ვნებით აღტკინებულ გორილას დაემსგავსა ხახადაღებული ბიდერმანი, ატოკდა ტანი, ფართოდ გაშლილმა ხელებმა, თითქოს, დავლური დასცეს, მერე ძუ ლომის დაქადნებას დაემსგავსა

მისი ფაფარაყრილი თავი, უეცრივ, აღიმართა შლეგი ვნებით ატორტმანებული სხეული, ძუსა და ხვადის უზომო ბლავილმა შესძრა სივრცე და ძლიერმა ბიძგმა ლამის ჩალენა დედამინა. ინსტინქტთა რეაბილიტაციის ძალოვანება და სიშიშვლენარმოისახა სცენაზე ბუნებრივი, გამიზნული, სახიერი პლასტიკითა და ცინცხალი ნიუანსებით. რეჟისორული გამომგონებლობით აღსავსე ეპიზოდი მსახიობებმა შეასრულეს გემოვნებითა და დახვეწილი პლასტიკური მონახაზით, „მარტივად“, „უბრალოდ“, ყოველგვარი გადამეტებისა და სიშიშვლით კეკლუცობის გარეშე. ასეთი იუმორით, ბუნებრივობითა და ქვეტექსტით დახუნძლული ეპიზოდის თამაში მხოლოდ ნიჭიერებით, ოსტატობითა და კიდევ... იმ სხვათათვის გაუგებარი და მათთვის ეგზომ საცნაური „სამეტყველო ენითა“ შესაძლებელი, სტურუა და მისი მსახიობები, ამ შემთხვევაში **ნინო კასრაძე და ზაზა პაპუაშვილი**, რომ ფლობენ. ეს ხელშესახებად იგრძნობა რისკიანი, შესანიშნავად დადგმული და აზრიანად, ზომიერად გათამაშებული ეპიზოდებით. ახლა ამ ენაზე ასე ორგანულად „ალაპარაკდა“ **ია სუხიტაშვილიც**.

ია მეტად გაბედული, უალრესად პლასტიკური, ძალზე აზრიანი, გემოვნებიანი არტისტია. ბუნებამ ნიჭიერებით, სასცენო კულტურით, დახვეწილი მანერებით გამოარჩია. და კიდევ იმით, რომ მისი თამა-

ფოტოზე: ქორო და
ია სუხიტაშვილი





შით, პარტნიორისა და რეჟისორული გადანყვეტის ორგანული შეგრძნებით, თვალნათლივ ხედავ იმ „სკოლის“ მნიშვნელობას, რომელსაც ეზიარა და ასე დაეუფლა მსახიობი. მთელი სანახაობის მანძილზე ის დანთქმულია სასცენო ქმედებაში, ის მთელი არსებით ჩართულია სასცენო თამაშში, „მეათე პლანზეც“ კი ორგანულად გამოხატავს ამ სასცენო ამბის კუთვნილებას, ჟანრის თავისებურებას, დეკორაციის, მუსიკალური ფრაზის, პლასტიკური ილეთის გამიზნულობას. მისი მხედველობის არედან არ ქრება პარტნიორის არც ერთი ნიჟანსი, შტრიხი, გამომწვევი შეფასება, ინტონაცია, რომელიც ითხოვს მომდევნო ეპიზოდში მისი პერსონაჟის საქციელისა და შეფასების „შეუმჩნეველ“ კორექტივს. მთელი სპექტაკლის მანძილზე ვტკბებოდით არა მარტო მისი შესრულების სიღრმითა და თავისუფალი გაქანებით, არამედ რეჟისორული გადანყვეტისა და პარტნიორის მიმართ განსაკუთრებული „სმენის“ უნარიტაც, იმპროვიზაციული თავისუფლებითა და დადგენილი მონახაზის ერთგულების უნარიტაც. ასეთი „შეუხედავი“, გარეგნულად ასეთი პროზაული, ასეთი ვარცხნილობისა და ასეთი ძველმოდური კაბის მიღმა, ვხედავთ გაბედულ, რისკის მოყვარულ მსახიობს, რომელსაც შესწევს უნარი ამ „არაფრის მთქმელი“, უფერული გარეგნობით თავდაყირა დააყენოს პერსონაჟის სასცენო ბიოგრაფია, იუმორითა და გზნებით წარმოაჩინოს ხასიათის განსაკუთრებულობა. რად ღირს მისი ფერადოვანი ჟესტი და ინტონაცია „მდოგვი“ რომ შემოენთება მის სხეულს, ანდა ვნებააშლილი რომ დააქროლებს მოედანზე ველოსიპედს, ანდა დაოთხილი სხეულით რომ გამოხატავს თვინიერების სიმუხტლეს. აქ ოდნავი გადამეტება სიტლანქეს შესძენდა ეპიზოდს. ია სუხიტაშვილი ფარსის თავისუფალ გაქანებას შეიგრძნობს და ტაქტით, გემოვნებით გამოხატავს დაურიდებელ მონახაზს, ჟესტს, ინტონაციას.

ნიჭისა და ოსტატობის დემონსტრაციაა ნინო კასრადის თამაში. იშვიათია კოსტუმის ტარების ასეთი კულტურით დაჯილდოებული მსახიობი. გოგი ალექსი-მესხიშვილის ნატიფ კოსტუმებს მეორე სიცოცხლეს – სცენურ სიცოცხლეს ანიჭებს ნინო დახვეწილი, შნოიანი, ტაქტიანი ჟესტით, მოძრაობით, პლასტიკით. ნინო რობერტ სტურუას „თეატრი-ბალაგანის“ „პრიმადონაა“, ამ თეატრის პროტაგონისტია. ის გონით, გრძნობით, სხეულის ყოველი კუნთით გრძნობს და ორგანულად გამოხატავს ამ თეატრის პრინციპებს, გრძნობათა ბუნებას, თამაშის წესს. ჰიპერბოლური შესრულება, გრძნობის ბუნებრივ-ხელოვნური „აჭრა“, რეალურისა და ირეალურის დამოყვრება ბაბეტას როლიტაც გამოვლინდა. კიდევ ერთხელ შევიგრძენით მისი პიროვნული და სცენური კულტურის, ოსტატობის, მიმზიდველობის ძალა.

„თეთრი ჯამბაზის“ სიცივე, მიუკარებლობა, დაუნდობლობა გამოსჭვივის ბესო ზანგურის შესრულებაში. ამ ჯამბაზთა ფერხულში უეცრივ აღმოჩენილი რეალურ იმპერატული ენით მოსაუბრე მარიო მკაცრ სინამდვილეს წარმოსახავს. ის თითქოს, იმიტომ აღმოჩნდა ამ ფოიერვერკულ სიჭრელესა და სიმსუბუქეში, ამ თავბრუდამხვევად აცეტებულ სიუჟეტში, რომ მაყურებელს სასცენო გამონაგონის ვარდისფერი სიტკბოების ილუზია გაუქროს და რუხ რეალობაში დააბრუნოს. საინტერესოდ შესრულებული დარეჯან ხარშილაძის როლიტ, აგრეთვე რეალობაში დაგვაბრუნა რეჟისორმა და მსახიობმა. **დავით დარჩია** თამაშობს იუმორით, ტაქტით, ქვეტექსტით დამუხტული გამომსახველობითი საშუალებებით.

სანახაობის პროტაგონისტი, მისი სული და გული, აზრი და გრძნობა **ზაზა პაპუაშვილია**. ის მაღალი რანგის ოსტატია, გონიერი ბერიკაა, მოქალაქე ხელოვანია. ბიდერმანის როლში მთელი ძალიტ იფეთქა არა მარტო ნიჭმა და ოსტატობამ, არამედ იმ გამოცდილებამ და სიბრძნემ, რაც შესძინეს შექსპირის,

კალდერონის, გოცის, კლდიაშვილის, ბეკეტის, სხვათა პიესებში თამაშმა, „სტურუას თეატრმა“, საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურმა მოვლენებმა. ასეთი სიმსუბუქე, სილაღე, სითამამე, იმავდროულად, ასეთი სიმახვილე, სიბრძნე, დრამატიზმი – ასე ორგანულად შერწყმული, გადახლართული, ჩანსული ერთი პერსონაჟის სასცენო ბიოგრაფიაში, მეტისმეტად იშვიათია. თითქოს, განსხეულდა აკაკის ფრაზა: „რომ სიცილი ბევრჯერ ცრემლზე მწარეა“... ეს სიმწარე და სიხალისე, სიცილი და ცრემლი, აზარტი და ტემპერამენტი ჯადოქრულ ქურაშია გადადნობილი და ერთ მთლიანობაშია წარმოდგენილი. არლეკინების მთელი მოდგმის ჭირვარამი და სიხარულია წარმოსახული სცენაზე, მათი მოდგმის მთელი არსენალია ჩაქსოვილი ბიდერმანის ბალღურად მიამიტურ და ჯიუტ სიცელქეში, ბრძენის მიერ ნაამბობ გონიერსა და მშვენიერ არაკში. მდიდარი მიმიკა, მრავლისმთქმელი უესტი, მაცდური და ირონიული ღიმილი, გულღია და ალალი სიცილი, თბილი და გამკენწლავი მზერა – ზაზას გამოსახვის ფორმები კი არა, ის არტისტული არსენალია, რომლითაც მონუსხული ჰყავს მაყურებელი და რომლის შემწეობითაც ცდილობს „თავის სჯულზე მოქცევას“. სტურუას რისკიან, თამამ, ამბივალენტურ გამომგონებლობას, რებუსებს, იგავ-არაკებს თანაშემოქმედებითი ნიჭის მქონე არტისტი ანიჭებს დინამიურ სცენურ სიცოცხლეს. სასცენო „პრიმიტივიზმის“, ფიროსმანისეული მონახაზისა და ფერების ზემოქმედების მსგავსი განწყობა იქმნება სცენაზე სტურუა-პაპუაშვილის ტანდემით. რად ღირს ბიდერმანის „მმართველად კურთხევის“ ეპიზოდი!

ზევიდან დაშვებულ სავარძელში მოკალათდება კეთილი, გონიერი, დემოკრატი, მზრუნველი ბიდერმანი – „მწითური ჯამბაზი“. მას ანგელოზის ფრთები აქვს, მიამიტად ირგებს სავარძლის სიამეს, ზეცისაკენ ამალღებული ზემოდან უკვე მედიდურად დაჰყურებს თანამო-

ქალაქებს, მასში უზურპატორის ვნება იღვიძებს და სასიკვდილო განაჩენით ემუქრება ყველას. ანგელოზის ფრთები აღარ ამშვენებს აბობოქრებულ ბიდერმანს. ასეთი „უბრალო“ მეტაფორის შექმნა, თანაშემოქმედ რეჟისორსა და აქტიორს ითხოვს. იმასაც ითხოვს, რომ სპექტაკლს დგამდეს, სცენაზე იდგეს პიროვნება, მამულიშვილი, მოქალაქე. თანამედროვე სცენა ასეთ ხელოვანთა გაერთიანებას გულისხმობს, რადგან მხოლოდ ნიჭი, ოსტატობა, სასცენო კულტურა სადღეისოდ საკმარისი აღარ არის! ამის დასტურია რუსთაველის თეატრის ახალი წარმოდგენა, თუნდაც, მისი ფინალი: ცეცხლის ალში გახვეული მოედანი, ბალღის გამოუცდელი ხელით შესრულებულ ცეცხლის „ენას“ რომ ჩამოჰგავს, ამ ხანძარშია გახვეული საკუთარი სახლ-კარი, ქუჩა, ქალაქი, ბიდერმანმა საკუთარი ხელით რომ ნაუკიდა ცეცხლი ფითილს და გადაბუგა... ღამის გასათევად შემოხიზნულმა სტუმარმა სრულიად შეცვალა ბიდერმანის ცხოვრება, რეჟისორმაც და მსახიობმაც არჩევანის წინაშე დააყენეს პერსონაჟი...

სტურუას პოლიტიკური თეატრიბალაგანი განვითარების ახალ ფაზაში ვიხილეთ. ეს სანახაობა არაა მხოლოდ წარმატებული დადგმა. აქ ბრძენი ოსტატი ფოიერვერკული სიჭრელითა და აზრის ძალოვანებით, სასწაულმოქმედ, მჭევრმეტყველ, კეთილ მეზღაპრედ გვევლინება, რათა სერიოზულ პრობლემებზე მსუბუქი ირონიით, ჯამბაზის მიამიტობითა და მორალიტეს სიმახვილით ესაუბროს თავის მაყურებელს, თავის თანამოქალაქეებს, თავის მრევლს.

„გოდო“ და „ბიდერმანი“ რობერტ სტურუას ყველაზე კეთილი, გულისხმიერი, თბილი სპექტაკლებია...

რობიკო – „მწითური ჯამბაზი“ – ქმნის სასცენო ფოიერვერკს: „მარტივს“, „უბრალოს“, „პრიმიტიულს“, სიბრძნით გაძეძგილს!..

ფოტოები დაცულია
რუსთაველის თეატრის მუზეუმში



ნ 86 / 59

საგამომცემლო ჯგუფი

ეთერ ბაიდოშვილი
ვლადიმერ პერანიძე
ბადრი ტალახაძე
მარტა ნიკლაური
ალექსანდრე ჯიქურიძე



გამომცემლობა ინტელექტი




0179, თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №17ბ

25-05-22, 91-22-83, 8(99) 55-66-54

ფაქსი: 25-05-22, 91-22-83

www.intelekti.ge info@intelekti.ge

რედაქტორი: 8(99) 90-37-22



სერგო
წერეთლიანი
დავითაძე

დალი
ფანჯიკიძის
მასტერკლასი

სორხე ლუის
ბორხესის
„უკვდავი“

საბიბლიოთეკო მომსახურე სოფარები